ეროვნული ბიბლიოთეკა

სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან შაბათი, 15 ნოემბერი 1997 №145 (510) ფასი 50 თეთრი



ჩივაძე პრეზიდენტია

ოღონდ დროებით, ნოდარ ახალკაცის გამოჯანმრთელებამდე

12 ნოემბრით დათარიღებული და ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივნის დავით კვინიკაძის მიერ ხელმოწერილი ბრძანების თანახმად, ახალკაცის სამსახურში გამოსვლამდე ფედერაციის პრეზიდენტის მოვალეობას, სფფ-ის წესდების შესაბამისად, დროებით, ვიცე-პრეზიდენტი ალექსანდრე ჩივაძე შეასრულებს. რამდენ ხანს გასტანს ზემოხსენებული „დროებით", ძნელი სათქმელია. ფედერაციაში დარხეულ ხმებს თუ ვერწმუნებით, შესაძლოა, ახალკაცის მკურნალობას ერთი თვე დასჭირდეს. თუმცა, არც ისაა გამორიცხული, ამ დრომ არ იკმაროს და ჩივაძესაც პრეზიდენტობა გაუხანგრძლივდეს.

გუშინ 11 საათზე პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის სამუშაო ოთახში ფედერაციის თანამშრომლები შეიკრიბნენ, ათწუთიანი წათათბირების შემდეგ დაიშალნენ და ყველა თავისი მოვალეობის შესრულებას შეუდგა.

ჩივაძის დროებით გაპრეზიდენტებასთან დაკავშირებით ჯერ დავით კვინიკაძეს ვთხოვეთ კომენტარი. მოგვიანებით კი თავად ბატონი საშაც შევაწუხეთ. ისიც უმალ დაგვთანხმდა საუბარზე, რითაც გვაგრძნობინა, რომ კარგად ესმის ფედერაციის თუნდაც დროებითი პრეზიდენტობა საზოგადოების წინაშე რაოდენ ვალსაც აკისრებს. მითუმეტეს, ასეთ კრიტიკულ მომენტში.

— ერთი კვირის წინ ნოდარ ახალკაცი გერმანიაში გაემგზავრა სამკურნალოდ — გვითხრა დავით კვინიკაძემ — გერმანულ კლინიკაში ნაწვევ კონსილიუმზე გადაწყდა, რომ ახალკაცს ერთთვიანი სტაციონარული მკურნალობა ესაჭიროება. რამდენიმე დღის წინ შემეხმიანა ბატონი ნოდარი და ეს ამბავი მაცნობა. მკურნალობის ხარჯებს, შეპირებისამებრ, მთლიანად გერმანიის საფეხბურთო კავშირი გაიღებს. რამდენი დაჯდება, არ ვიცი, მაგრამ, ფაქტია, მეტისმეტად ძვირი ეღირება.

ბევრჯერ ყოფილა შემთხვევა, როცა ნოდარ ახალკაცი ჯანმრთელობის გაუარესების გამო სამსახურში არ გამოცხადებულა, თუმცა რეაბილიტაციის პერიოდი ერთ კვირას, ათ დღეს არ აჭარბებდა, თანაც თბილისში, შინ წამლობდა. საჭირო მითითებებს და დავალებებს ხან ტელეფონით გვაძლევდა, ხანაც შინ ვაკითხავდით ხოლმე. ახლა სხვაგვარი ვითარებაა, პრეზიდენტი გერმანიაშია. ჰოდა, ფეხბურთის ფედერაციის წესდების თანახმად, მისი მოვალეობის შესრულება საშა ჩივაძეს დაეკისრა. ყველაფერი წესდების ერთ-ერთი მუხლის შესაბამისად მოხდა. წესდებაში შავით თეთრზე წერია, პრეზიდენტის არყოფნის შემთხვევაში მის ფუნქციებს, პრეზიდენის დავალებით, ასრულებს ერთ-ერთი ვიცე-პრეზიდენტი ან გენერალური მდივანი. არის მეორე პუნქტიც, პრეზიდენტის ვადამდე ადრე გადადგომის ან სამსახურიდან სხვა ფორმით წასვლის შემთხვევაში, პრეზიდენტის მოვალეობას მომდევნო ყრილობამდე ასრულებს რომელიმე ვიცე-პრეზიდენტი ან გენერალური მდივანი, რომელსაც აღმასკომის წევრთა ორი მესამედი აირჩევს.

— ბატონი ნოდარ ახალკაცი ღმერთმა ჯანმრთელად ამყოფოს, მაგრამ მის გამოჯანმრთელებას თუ თვეზე მეტი დასჭირდა, ისევ ალექსანდრე ჩივაძე შეასრულებს მის მოვალეობას?

— ბრძანებაში ასე წერია, ნოდარ ახალკაცის გამოჯანმრთელებამდე და სამსახურში გამოსვლამდე პრეზიდენტის მოვალეობის დროებით შესრულება დაეკისროს ჩივაძეს. აქედან გამომდინარე, ჩივაძის დროებითი პრეზიდენტობა ახალკაცის გამოჯანმრთელებამდე გასტანს. იმ შემთხვევაშიც, თუ პრეზიდენტი ყრილობამდეც ვერ იქნება ჯანზე.

— ყრილობაო, ახსენეთ, რიგგარეშე ყრილობას გულისხმობთ?

— სხვათა შორის, თქვენი გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში თქვა კახი ასათიანმა, თუ რიგგარეშე ყრილობას არ მოიწვევენ, მაშინ ჩვენ მოვიწვევთ — გუნდების ორ მესამედს შევკრებთ და ყრილობას ჩავატარებთო.

რიგგარეშე ყრილობის ჩასატარებლად ფედერაციის აღმასკომის, საექსპერტო კომისიის ან ფედერაციის იურიდიულ პირთა ორი მესამედის თანხმობაა საჭირო. ბატონმა კახიმ ეს კარგად იცის, სულ თუ არაფერი, მასაც დიდი წვლილი მიუძღვის ჩვენი წესდების შემუშავებაში.

ახლა რა ხდება? რა და, აღმსკომი რიგგარეშე ყრილობის მოწვევის წინააღმდეგია, ამავე აზრისაა საექსპერტო კომისია, რჩებიან იურიდიული პირები. თუ ესენი თანხმობას განაცხადებენ, მაშინ, რასაკვირველია, რიგგარეშე ყრილობა ჩატარდება.

— თქვენ როგორ ფიქრობთ, დათანხმდებიან იურიდიული პირები რიგგარეშე ყრილობის ჩატარებას?

— ჩემი აზრით, ეგ გამორიცხულია. ისინი არ მოიწონებენ ყრილობის ჩატარებას. სხვათა შორის, რამდენიმე დღის წინ გუნდების წარმომადგენლებმა საზოგადოებას მიმართეს, ამ მიმართვის ტექსტს თითქმის ყველა პირველ ჯგუფში მონაწილე გუნდმა მოაწერა ხელი. მათ არ სურთ, ფედერაციის საქმიანობაში ვინმე ჩაერიოს. გარდა ამისა, სურვილი გამოთქვეს და მზად არიან კონსტრუქციული დიალოგისთვის, ოღონდ თუ ყველაფერი წესრიგიანად ჩატარდება. სპორტის დეპარტამენტის კოლეგიის სხდომა და პარლამენტში ფეხბურთის საკითხის მოსმენა კი არ არის დიალოგისთვის მიზანშეწონილი, თვლიან ისინი.

ერთსაც დავამატებ: რატომღაც გამოიკვეთა აზრი, თითქოს ჩვენ ცუდად ვმუშაობთ. ვსვამ კითხვას — კონკრეტულად რაში გამოიხატება ფეხბურთის ფედერაციის ცუდად მუშაობა? გამაგებინეთ, საქართველოს კანონმდებლობის რომელი პუნქტი დავარღვიეთ? თუ ჩვენი დადანაშაულება სურთ, კონკრეტული დოკუმენტებით დაგვისაბუთონ. ღმერთმა ქნას, როგორც ფეხბურთის ფედერაცია მუშაობს, სხვებმაც ისე იმუშაონ, მაგრამ რატომღაც ჩვენ გვიტევენ, ალბათ იმიტომ, რომ ყველას ყურადღების ცენტრში ვართ.

თუ ოპონენტებს ქართული ფეხბურთის კეთილდღეობა სურთ, რატომ ერთხელ არ წარმოადგინეს რაიმე იმგვარი წინადადება, ჩვენში ფეხბურთის განვითარებას რომ წაადგება? ასეთი არასდროს ყოფილა. შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ბატონებმა ასათიანმა და მაჩაიძემ იციან ჩვენთვის სასიკეთო გზა. თუ იციან და არ ამბობენ, მაშინ არ ყოფილან კაი ხალხი, არადა, ვიცი, ცუდები არ არიან. გამოდის, უბრალოდ, არ იციან, უკეთესი როგორ იქნება. და კიდევ: რამდენადაც ჩემზე ძლიერები იყვნენ ბატონი კახი და მანუჩარი როგორც ფეხბურთელები, იმდენად ძლიერი ვარ მე როგორც სპორტული მუშაკი. ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული.

— 18 იანვარს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის კენჭისყრა უნდა გაიმართოს. ფედერაციის პრეზიდენტი ავადაა, ყიფიანი ნაკრებში მობრუნებას არ აპირებს. ბელგიაში, კენჭისყრაზე უმწვრთნელოდ დასწრება კი არა მგონია, კარგი იყოს.

— უმწვრთნელოდაც შეიძლება, მაგრამ სასურველია, მანამდე გავარკვიოთ მწვრთნელის ვინაობა. ჯერჯერობით თავისი გადადგომის შესახებ დავით ყიფიანმა მხოლოდ პრესას განუცხადა, ფედერაციაში ოფიციალური განცხადება არ შემოუტანია. აღმასკომის სხდომა, სადღაც 10 დეკემბრისთვის გვაქვს დაგეგმილი, მაშინ, როცა კოპალეიშვილისა და კოსტავას ნაკრებები შესარჩევ ციკლ! ჩაამთავრებენ...

კობა ინასარიძე

თქვენი პრეზიდენტობის პერიოდში, 1 დეკემბერს იწურება დეპარტამენტის მიერ ფედერაციისადმი წაყენებული ულტიმატუმის ვადა რიგგარეშე ყრილობის თაობაზე — ამით დავიწყეთ ალექსანდრე ჩივაძესთან საუბარი.

— რიგგარეშე ყრილობის ჩატარებას არ ვეთანხმები. ეს გაუმართლებლად მიმაჩნია, რადგანაც, არა მგონია, ქართულ ფეხბურთში ისეთი საგანგაშო ვითარება იყოს შექმნილი, რომ ასეთი რადიკალური ნაბიჯი გადავდგათ. ყრილობა ჩატარდება ფედერაციის წესდების დაცვით — მსოფლიოს ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ. მისი თარიღი ჯერ არ დაგვიდგენია.

— არც დეპარტამენტთან ურთიერთობაში აპირებთ სიცხადის შეტანას?

— თანამშრომლობას ყველასთან ვაპირებ, ვისაც ქართულ ფეხბურთზე შესტკივა გული. ასეთები კი დეპარტამენტის ხელმძღვანელთა შორის ნამდვილად არიან. მთავარია, ურთიერთობა იყოს საქმიანი და ამან ჩვენს ფეხბურთს არგოს. იზოლაციაში ყოფნას ჩვენ ნაღდად არ ვაპირებთ.

— ასათიანთან შეხვედრა და მოლაპარაკება თუ გაქვთ ჩაფიქრებული?

— კახის საქმიანი საუბრის გარეშეც ხშირად ვხვდები. ჩვენ დიდი ხნის მეგობრობა გვაკავშირებს, ჯერ კიდევ იქიდან, როცა მე „დინამოში" ჩავირიცხე, ის მაშინ გუნდის ვეტერანი იყო. შემდეგ „დინამოს" ერთ-ერთი ხელმძღვანელი და ბოლოს მწვრთნელიც გახლდათ. ასე რომ, კახისთან არანაირი კონფლიქტი არ მაქვს.

— ეს გასაგებია, მაგრამ ახლა თქვენ თავკაცობთ იმ ორგანიზაციას, რომელთანაც ასათიანის დეპარტამენტს, ნამდვილად არა აქვს ნორმალური ურთიერთობა და თქვენ მოგიხდებათ ამ ურთიერთობის გაუმჯობესებაზე ზრუნვა.

— მე ეს კარგად მესმის. მესმის ისიც, რომ კახი ასათიანი ცნობილი ფეხბურთელი იყო და ქართული ფეხბურთის დღევანდელ მდგომარეობაზე თავისი აზრი გააჩნია, ისევე, როგორც მე. მაგრამ ჩვენ აუცილებლად უნდა მოვილაპარაკოთ. ეს ისევ ქართულ ფეხბურთს წაადგება. ჩვენი მეგობრობა ფეხბურთის სამსახურში უნდა ჩავაყენოთ და ეს ასეც იქნება.

— ვფიქრობთ, ოპოზიციას თქვენთან მოლაპარაკება უფრო გაუადვილდება, ვინემ ახალკაცთან...

— არა მგონია, რომ ახალკაცთან ურთიერთობა რთული იყოს. თავადაც შევეცდები საქმე უკეთესობისკენ წარვმართო.

— ფედერაციის აღმასკომის მოწვევას როდის აპირებთ?

— ჯერ თარიღი არ დაგვიზუსტებია, თუმცა ეს დეკემბრის დასაწყისისთვის დავგეგმეთ და ამის შესახებ გაცნობებთ. დამთავრდება ეროვნული ჩემპიონატის პირველი წრე, 18 და 16 წლამდელთა ნაკრების გუნდებიც სეზონს ჩაამთავრებენ და აღმასკომის გამართვის დროც მაშინ დადგინდება. ეროვნული გუნდის მწვრთნელის საკითხიც აღმასკომზე გადაწყდება.

ბოლოს ბატონმა საშამ კიდევ ერთხელ გაიმეორა, ყველასთან, ვისაც ქართული ფეხბურთის მომავალი აწუხებს, თანამშრომლობა მსურსო. იმედია, ასეც იქნება.

მერაბ გამულაშვილი

მას შემდეგ, რაც დავით ყიფიანმა ეროვნული ნაკრების მწვრთნელად დარჩენაზე უარი განაცხადა, ბუნებრივად გაჩნდა კითხვა — ვინ შეცვლის ყიფიანს? შესაძლო კანდიდატები არც ისე მრავლადაა, მაგრამ აქამდე ვისაც მივმართეთ, რატომღაც ყველამ თავი შეიკავა. გუშინწინ კი ვლადიმერ გუცაევმა თქვა:

თუ ნაკრებს მანდობენ, სიამოვნებით დავთანხმდებიო

რა თქმა უნდა, ეროვნული გუნდის მწვრთნელის ვინაობა ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის დასამტკიცებელია, მაგრამ კაცმა რომ თქვას, ყველაზე რეალური კანდიდატი გოგა გუცაევია. მით უმეტეს, თავადაც თანახმაა, ნაკრები ჩაიბაროს. გუცაევმა ხომ ახალგაზრდულ ნაკრებშიც შედეგიან-ნაყოფიერად იმუშავა.

ჰოდა, ბუნებრივია, მოახლოებული აღმასკომის სხდომის წინ, რომელიც, დავით კვინიკაძის თქმით, დაახლოებით 10 დეკემბრისთვის არის დაგეგმილი, ჩვენც ვლადიმერ გუცაევს მივაკითხეთ. ეგებ საქმე ისე აეწყოს, რომ ბრიუსელს საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელის რანგში სწორედ გუცაევი ესტუმროს.

— ნაკრებს სიამოვნებით ჩავიბარებ, თქვით. დავუშვათ, აღმასკომმა თქვენი კანდიდატურა დაამტკიცა. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეროვნულ ნაკრებშიც თამაშის იგივე სტილი დაინერგება, როგორც ახლაგაზრდულში?

— რა თქმა უნდა. სისულელეა, მწვრთნელმა, რომელმაც თავისი თავი იპოვა და გუნდის თამაშზე თავისი აზრი ჩამოუყალიბდა, რაიმე შეცვალოს. მით უმეტეს, როცა ასეთმა სტილმა, ბევრი თუ არა, ოდნავი სარგებლობა მაინც მოუტანა. არეცოში, იტალიასთან მარცხის შემდეგ სულ სხვა ტაქტიკური მონახაზის იდეა გაჩნდა.

ქართველები ტრადიციულად შემტევ ფეხბურთს ვთამაშობდით, იმპროვიზაციის საშუალება ფეხბურთელებს არ უნდა წავართვათ. თუ უმაღლეს სათამაშო დისციპლინას, ბრძოლისუნარიანობას, მწვრთნელის დავალების ზუსტ შესრულებას დავუმატებთ, მაშინ კარგი შედეგი გვექნება. სხვანაირად საქართველოს კი არა, ნებისმიერ ქვეყანას გაუჭირდება ნორმალური თამაში. ვინც იქნება ნაკრების მწვრთნელი, პირველ ყოვლისა, სწორედ ეს უნდა გაითვალისწინოს.

— როცა ძოძუაშვილი ითვლებოდა ნაკრების მწვრთნელობის კანდიდატად, ამბობდა, ჩემი ხელმძღვანელობით ეროვნული გუნდი საფრანგეთში ითამაშებსო. თქვენ რას გვპირდებით?

— მე ვერავის ვერაფერს შევპირდები. რომ გითხრათ, მთვარეზე გავფრინდებით-მეთქი, დამიჯერებთ და მერწმუნებით? არა, მხოლოდ ერთის გარანტიას მოგცემთ — ჩემი ხელმძღვანელობის შემთხვევაში ნაკრები იმ ოთხივე საფეხბურთო კომპონენტის შერწყმით ითამაშებს, რაც ზემოთ ჩამოვთვალე. ფეხბურთელებმა შემტევი ფეხბურთი უნდა ითამაშონ და დაცვაშიც ყურადღება გვმართებს. ახალგაზრდულის მატჩებს თუ გავიხსენებთ, გამოდის, რომ იტალიელებთან პირველი მარცხის შემდეგ ჩვენებმა შვიდ თამაშში ოთხი გოლი გაუშვეს. ეს ციფრი სტაბილურ დაცვაზე მეტყველებს. გატანით კი ათი გავიტანეთ, ესეც თავდასხმის შედეგიანობაზე მიგვანიშნებს. აგრესიული შეტევის მიმდევარი ვარ. თუ შეტევაა, შეტევა იყოს და არა ისე, მოსაჩვენებლად მივდიოდეთ საიერიშოდ. ორი თავდამსხმელი, ოთხი ნახევარმცველი, ორიც მცველი თავდასხმისას უნდა უტევდნენ. დაცვაშიც — ანალოგიურად. თანამედროვე ფეხბურთი ამას ჰქვია, ყველა ნორმალური გუნდი მეტ-ნაკლებად ასე თამაშობს.

— სურვილი ერთია, საშუალება მეორე.

— სურვილი ხომ არის და არის, არანაკლებ — საშუალებაც. შესარჩევი ციკლის მიმდინარეობისას ჩემს განცხადებებს სკეპტიკურად აღიქვამდნენ, მაგრამ მე ჩვენი ფეხბურთელების მჯეროდა. ის დრო წავიდა, ჯგუფიდან გაუსვლელობას ძლიერ ნაკრებთა კომპანიას რომ აბრალებდნენ. ნებისმიერი ჯგუფიდან შეიძლება ფინალურ ეტაპზე თამაში. ნახეთ, რა პლეადაა ქართულ ფეხბურთში. ნაკრები, ფაქტობრივად, სამი ასაკისაგან უნდა შედგეს. შედარებით უფროსები, გამოცდილი ფეხბურთელები — ცხადაძე, ქეცბაია, შელია ტოლები არიან, შემდეგ — ქინქლაძე ნემსაძე, ჯამარაული, ყაველაშვილი, არველაძეები მოდიან. უფრო პატარები კი ახალგაზრდული ნაკრებიდან შეემატებიან ეროვნულს. ამათი სინთეზი რომ მოხდეს, მაშინ ნახავთ, როგორი ნაკრები გვეყოლება. მინდა, ყველა დარწმუნდეს: ქართველთა გუნდს ბევრი შეუძლია, ცინიკოსებს ქილიკის უფლება არ უნდა ჰქონდეთ...

ასეთია ვლადიმერ გუცაევის მოსაზრება. ღმერთმა უსმინოს — რაც გუცაევმა თქვა, ეს ხომ ყველა ქართველი გულშემატკივრის სურვილია.

კობა ინასარიძე

კობიაშვილი სიტიში არ გადავა

„დინამოს" პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ უარყო გავრცელებული ინფორმაცია საქართველოს ნაკრებისა და „დინამოს" ნახევარმცველ ლევან კობიაშვილის „მანჩესტერ სიტიში" შესაძლო გადასვლის თაობაზე — „ეს ტყუილია და არავითარ შემთხვევაში არ მოხდება". კობიაშვილის ბედი კი მისი განკურნების შემდეგ გაირკვევა.

ლატვიაში ნაჯაფნი ესპანეთში ლაღობენ

ახლახან დასრულებულ ლატვიის ჩემპიონატში ქართველებით გაძლიერებულმა „სკონტომ" იმარჯვა და ჩემპიონობა შეინარჩუნა. გარდა ამისა, ტრადიციული პრიზების უმრავლესობაც რიგელებმა მოიპოვეს. ჩვენთვის საინტერესო ის გახლავთ, რომ საუკეთესო ლეგიონერად ლევან სილაგაძე დასახელდა. 25 ბურთით კი ბომბარდირი დავით ჩალაძე გახდა და ახლა, მომქანცველი სეზონის შემდეგ, ეს ორნი რეზო ძოძუაშვილთან და ალეკო რეხვიაშვილთან ერთად ესპანეთში ისვენებენ. მომავალ სეზონში „სკონტოში" „ვენდსპილსის" მცველი მამუკა წერეთელიც გამოჩნდება. მისი გუნდი (სადაც კიდევ სამი ჩვენებური — სოსო გრიშიკაშვილი, თამაზ პერტია და არმაზ ჯელაძე თამაშობენ) მეოთხე ადგილს დასჯერდა. მეორე ადგილზე გასულ „დაუგავაშიც" ქართველები ირიცხებიან — ცეზარ ზუროძე და ივანე ჯუღელი. სწორედ ამ უკანასკნელმა მოგვითხრო ყველაფერი და ისიც დასძინა, ლატვიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი რეზო ძოძუაშვილი საქართველოს ნაკრებთან ამხანაგურად თამაშს გეგმავსო.

გრიგოლ ჭანტურიაც — ტორპედოში

მცირე ხნის წინ „სარბიელის" კორესპონდენტთან საუბრისას ქუთაისის „ტორპედოს" მთავარმა მწვრთნელმა სერგო კუტივაძემ მეკარეების პრობლემა ახსნა: „მართალია, ასლანაძე მშვენიერი ახალგაზრდაა, მაგრამ ფაქტობრივად მეორე მეკარე არ გვყავს, მთელი სეზონი კი მარტოოდენ მის იმედად ვერ ვიქნებით". თუმცა, კუტივაძეს არ უთქვამს ის, რაც ჩვენთვის გახდა ცნობილი — მას „სამტრედიისა" და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილ მეკარე გია ჭანტურიასთვის ქუთაისში გადასვლა შეუთავაზებია და პირობებზეც უსაუბრიათ. ჭანტურია, რომელიც ბოლოს გივი ნოდიას სანქტ-პეტერბურგის „ლოკომოტივში" თამაშობდა, შესაძლოა, მალე კვლავ იმერთა გუნდში ვიხილოთ.

დღესვე გაიმართება

საზეიმოდ დანიშნული ორი მატჩიც დღეს შედგება. წესისამებრ „მარგვეთი" „ლოკომოტივს" უმასპინძლებს, „მერანი" — „მალაროელს". დღესვე ჩატარდება „დინამო" — „მორკინალი" და „ოდიში" — თსუ-ც.

გვიშველიან რუმინელები?

UEFA UNDER-18 Championship

ჩვენი თვრამეტწლამდელთა ნაკრების ბედი მთლიანად რუმინელი თანატოლების მონდომებაზე და პატიოსნებაზეა დამოკიდებული. ასე იმიტომ მოხდა, რომ ბერძნებმა მაკედონიას ორივე თამაში მოუგეს, სტუმრად 2:0 და შინ 4:1. თუ საბერძნეთმა რუმინელებთან გასვლით შეხვედრაში ფრეს გამოკრა ხელი, მაშინ მოგვჭამათ ჭირი პირველ ადგილზე აღზევების ოცნებამ. მოკლედ, კოპალეიშვილის გუნდის ბედი 19 ნოემბერს ბუქარესტში გაირკვა.

დღეისთვის გათამაშების ცხრილი ასე გამოიყურება:

საბერძნეთი	4	4	0	0	9:2	12
რუმინეთი	5	2	0	3	9:9	6
საქართველო	4	2	0	2	5:6	6
მაკედონია	5	1	0	4	8:14	3

ამასობაში თვრამეტწლამდელთა ნაკრების ხელმძღვანელობამ გამოაქვეყნა იმ ოცეულის სია, ვინც 22 ნოემბერს მაკედონიას დახვდება:

მეკარეები — ზურაბ ბათიაშვილი (თსუ), გიორგი ლომაია (დინამო)

მცველები — რეზო ქემოკლიძე (დინამო), ზურაბ მენთეშაშვილი (ვაკე), დათო ბაქრაძე (ლოკომოტივი), გიორგი შაშიაშვილი (დინამო), გურამ ხარებავა (თსუ 2), მამუკა წერეთელი (ვენდსპილსი, ლატვია)

ნახევარმცველები — გივი კვარაცხელია (დინამო), მიხეილ ხუციშვილი, ლევან კორღალიძე, ოლეგ გველესიანი (სამივე დინამო 2), კახა ახალაძე (ლოკომოტივი), თორნიკე აფციაური (ლოკომოტივი)

თავდამსხმელები — ლაშა ჯაკობია (სტანდარდი, ბელგია), ბიძინა ივერიანი (ოდიში), გიორგი შენგელია (ტორპედო), გოგა ფარქოსაძე (არმინია, გერმანია), დავით დიდმელაშვილი (დინამო 2), შალვა აფხაზავა (ბათუმი)

მალაღურაძე დაასვენეს

მე-13 ტურის ბოლნისური ამბები ყველამ გაიგო. კიდევ ერთხელ გახდა საჭირო მსაჯების დაცვა. შეგახსენებთ, რომ 11 ნოემბერს მსაჯობით აღშფოთებული ბოლნისელი გულშემატკივრები არბიტრს ჩაქოლვით ემუქრებოდნენ. მსაჯები სტადიონიდან პოლიციამ გაიყვანა და მერე ქალაქის ბოლომდეც მშვიდობით მიაცილა. ბუნებრივია, ფედერაციამ მეორე დღესვე ყველაფერი უწყოდა, მაგრამ 12 ნოემბერს საკითხი სადისციპლინო კომიტეტის სხდომაზე არ გაუტანია. ნათქვამია, სადაც წვრილია, იქ გაწყდებო — საკითხავია, რისთვის არსებობს სადისციპლინო კომიტეტი? მათ ხომ არაერთი გადაწყვეტილება არასწორად მიუღიათ. სამაგიეროდ, ფედერაციამ თავის შინაურ ატმოსფეროში გამოიტანა განაჩენი — „სიონ" — „მერანის" მთავარ განმსჯელს მერაბ მალაღურაძეს ერთი წლით აეკრძალა პირველი ჯგუფის მატჩებში მსაჯობა. როგორც ფედერაციაში გვითხრეს, მალაღურაძე ფედერაციის დებულების დარღვევისთვის დასჯილა და არა არაკვალიფიციური მსაჯობისთვის. დებულებაში გარკვევით წერია, რომ შეხვედრის მსაჯი და დელეგატი დანიშნულების ადგილზე თამაშის დაწყებამდე ერთი საათით ადრე უნდა ჩავიდნენ. მალაღურაძე კი მატჩამდე 5 წუთით ადრე გამოცხადდა ბოლნისში. მოკლედ, ასე ძვირად დაუჯდა დაუდევრობა ფიფას არბიტრს.

გოგოლაძე მომჯობინდა

„დინამოსთან" შეხვედრამ „მორკინალის" თავდამსხმელ კახა გოგოლაძეს კინაღამ გეგმები აურია — ჩიხრაძესთან შეჯახებამ მოედანი დაატოვებინა: „საბედნიეროდ, შიში არ გამიმართლდა — გვითხრა გოგოლაძემ, — თავდაპირველად ვეჭვობდი, რომ ფეხი მქონდა მოტეხილი. გამოკვლევის შემდეგ ექიმებმა დამამშვიდეს, მხოლოდ დაჟეჟილობა აღმომაჩნდა. ახლა უკვე ტკივილებიც აღარ მაწუხებს და დღე-დღეზე ვარჯიშსაც შევუდგები". ეს ამბავი გოგოლაძეს იმდაც უხარია, რომ მენეჯერ ილია კოკაიას ის და „მორკინალის" კიდევ ერთი თავდამსხმელი ზაზა ზირაქიშვილი თურქეთში უნდა წაეყვანა რომელიმე კლუბში მოსაწყობად და, ალბათ, მცირედი ტრავმა ხელს ვეღარ შეუშლის.

ეღირსება მიხოსა?!

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების თავდამსხმელ მიხეილ აშვეთიას ექვსთვიანი კონტრაქტის ვადა დაუმთავრდა ვლადიკავკაზის „ალანიასთან". დაუმთავრდა და გუნდიდანაც წამოვიდა, რადგან შინ მყოფი უკეთესი გუნდების წინადადებებს ელოდება. ქუთაისის „ტორპედოს" მთავარი მწვრთნელის სერგო კუტივაძის თქმით, აშვეთიას გადაბირებას მოსკოვის „სპარტაკი" და ვოლგოგრადის „როტორი" ცდილობენ. გეხსომებათ, აშვეთიას „სპარტაკთან" დაკავშირების ცდა ადრეც იყო. ახლა რა გამოვა ამ საქმიდან, ცოტა ხანში ენახავთ, მანამდე კი ეს გაირკვა — ტორპედოელი ფორვარდი ლევან ქებაძე საქართველოს ჩემპიონატის პირველი წრის ჩამთავრებისთანავე „ალანიას" შეუერთდება.

მეორე ჯგუფი

XV ტური

აკადემია — სამეგრელო 5:0
კოლხეთი — სქური 3:1
საპოვნელა — ასკ 2:5
თორი — მერცხალი 3:0
ფაზისი — ცხინვალი 1:0
იბერია — მეშახტე 4:2
იმერეთი — ივერია 0:4
კოდაკო — ჯუბა 0:3

ასკ	14	12	2	0	49:10	38
ივერია	15	11	2	2	46:15	35
ჯუბა	14	9	3	2	27:13	30
კოლხეთი	14	9	2	3	31:20	29
აკადემია	14	8	4	2	37:16	28
ცხინვალი	15	9	0	6	38:23	27
თორი	15	8	3	4	36:19	27
მერცხალი	15	8	1	6	29:27	25
სქური	14	7	1	6	25:33	22
ფაზისი	15	6	1	8	27:32	19
მეშახტე	15	4	2	9	24:27	14
სამეგრელო	15	4	2	9	19:38	14
კოდაკო	15	3	1	11	15:38	10
იმერეთი	14	2	1	11	18:52	7
იბერია	15	3	1	11	19:39	5
საპოვნელა	15	1	0	14	14:52	3

მესამე ჯგუფი

დასავლეთი

X ტური

ბათუმი 2 — სულორი 3:0
სალხინო — ენგური 0:4
ეგრისი — გაგრა 1:0
ოდიში 2 — ტორპედო 2 2:1
სამგურალი 2 — შუქურა 0:0

ეგრისი	9	8	1	0	22:8	25
ენგური	9	7	2	0	21:3	23
შუქურა	9	4	4	1	14:7	16
გაგრა	9	4	2	3	20:12	14
ოდიში 2	9	4	1	4	12:12	13
ოქროს საწმისი	9	4	0	5	16:14	12
სამგურალი 2	9	3	3	3	16:15	12
ბათუმი 2	9	3	2	4	12:13	11
ტორპედო 2	10	2	2	6	9:18	8
სალხინო	9	2	1	6	13:24	7
სულორი	9	0	0	9	5:34	0

ცენტრი

IX ტური

მრეტები — ქინერი 0:2
დილა 2 — დინამო 2 2:1
ბაია ქასქი — ვარძია 4:0
ლოკომოტივი 2 — მესხეთი 2:2
35 სტუ — თსუ 2 0:6

თსუ 2	9	6	2	1	22:7	20
დინამო 2	9	6	1	2	34:11	19
ქინერი	9	5	2	2	18:13	17
დილა 2	9	5	1	3	16:14	16
მესხეთი	9	4	2	3	27:17	14
ლოკომოტივი 2	9	4	1	4	17:13	13
ბაია ქასქი	9	3	2	4	11:13	11
ვარძია	9	2	2	5	12:24	8
მრეტები	9	2	0	7	9:30	6
35 სტუ	9	1	1	7	8:32	4

აღმოსავლეთი

IX ტური

ხალიბი — სამგორი 3:0
ყვარელი — ჭაბუკიანი 2:0
ალგეთი — თელეთი 3:0
იბერია — ალაზანი 1:1

ყვარელი	7	6	1	0	16:1	19
ალგეთი	8	5	2	1	11:5	17
იბერია	7	5	1	1	16:4	16
შირაქი	8	4	3	1	19:7	15
ალაზანი	8	3	2	3	10:9	11
სამგორი	8	3	1	4	12:15	10
ხალიბი	8	3	0	5	9:10	9
ჭაბუკიანი	8	1	0	7	2:15	3
თელეთი	8	0	0	8	6:35	0

გიო ახვლედიანის

სვეტი

NEVER-SAY-DIE და GIANT-KILLER

რას ნიშნავს ეს ერთ აზრად შეკრულ სამი სიტყვა, რომელიც მალიმალ იელვებს ხოლმე საერთაშორისო სააგენტოთა ფ რცლებზე?

NEVER-SAY-DIE — სიტყვასიტყვით რომ გადმოვთარგმნოთ, ასე გამოდის: არა სოდეს თქვა სიკვდილი.

საზოგადოდ კი, ეს სიტყვათა შეთანხ მება გულისხმობს ურეკ, ასე ვთქვა გაუტეხელ კაცს, იმას, ვისი ხასიათიც ა კარად გამოჩნდება ძნელბედობის ჟამს.

საფეხბურთო კონტექსტში ეს NEVER SAY-DIE მოიხმარება იმ მოთამაშეთა შ საქებად და დასაფასებლად, თავიანთი ჯ გრით და მებრძოლი სულით გუნდს რო წაუძღვებიან და წაგებულ თამაშს არა მხ ლოდ ოსტატობით, არამედ დაუდგრომელ გულითაც შემოატრიალებენ. ანდა, ხომ ხდ ბა ასეთი რამეც, რომ გუნდი გატყდებ დალდება და თამაში წაგებული აქვს. ა დროს კი აღმოჩნდება ერთი ვინმე ამ გ ნდიდან, რომელიც არ ისვენებს, წინ დ უკან დარბის და სურს, მარტომ შეც ლოს თამაშის ბედი. აი, ასეთი მოთამაშე NEVER-SAY-DIE-ა.

ახლა კი გავარკვიოთ, რა არის GIANT KILLER? ეს სიტყვათა შეთანხმებაც ხშ რად გაიელვებს ხოლმე საერთაშორისო ა ბების აღწერილობაში. „ქილერი" იმგვარ სიტყვა გახლავთ, რომ სადღეისოდ ქარ ველი არ მეგულება, მისი მნიშვნელობა ა იცოდეს. ეს საყოველთაოდ ცნობილია „ქ ლერი" — მკვლელია და აბა ამას რა სწა ლა და გაგება უნდა? „ჯაიანთ" კიდევ გოლ ათს ნიშნავს. ასე რომ, ვისაც სამი კლას ინგლისური გაუვლია, ყველა მიხვდება „GIANT-KILLER" გოლიათთა მკვლელ

საფეხბურთო ამბავში GIANT-KILLER- ის პატარა, უსახელო გუნდია, რომელი სადღაც დაბალ ლიგაში ჩაკარგულა დიდ გუნდებთან თამაში პრაქტიკულად უწევს, მაგრამ როგორც კი მოახერხებ ასეთ შეხვედრას, ვთქვათ, სათასო მატჩში ადგება და დიად გუნდს ჰოტლაყსა ჰკრავ ამ პატარა გუნდს არა აქვს მაღალ ლიგ ბში ასპარეზობის საშუალება, ქომაგად ორიათასამდე კაცი თუ შერჩენია და მ თამაშეთა სახელებიც საგრაფოს იქით არ ვის სმენია. მაგრამ ამ პატარა გუნდს ერ ჯიგრიანი ამბავი აქვს, სანამდეც გული ფილტვი გასწვდება, დიადი და სახელ ვანი კლუბები უნდა ამარცხოს. ამიტომ მათ გოლიათთა მკვლელებს ეძახიან.

ეს ორი საფეხბურთო ტერმინი ლამ ზიცაა, მოხდენილიც და მავანთა საფეხბ რთო სულსაც საუცხოოდ გამოხატავს. ყ ველ შემთხვევაში, მე ასე მგონია, რომ ს ფეხბურთო ქვეყანა, რომელსაც ამგვარი ტ რმინები არ გააჩნია (რა თქმა უნდა, ის ჟურნალისტთა მიერაა მოგონილი), ვერ ც ხოვრებს ჯანსაღი საფეხბურთო ცხოვრ ბით. NEVER-SAY-DIE-სა და GIANT KILLER-ის არსებობა საფეხბურთო ს ლის უკვდავებას გულისხმობს და ყოვე გვარ რომანტიკას რომ შევეშვათ, ეს სი ყვები ფეხბურთის და საერთოდ სპორტ საც, მამოძრავებელ ძალად უნდა დავსახო

აბა, რა შეჯიბრზე, რომელ კონკურე ციასა და გამარჯვების წყურვილზე ილ პარაკებ, როცა ქვეყანაში GIANT KILLER-ი კი არა, ერთი NEVER-SAY DIE-ც არ მოიძებნება. შეიძლება ვიდავო ქართული ფეხბურთის პრობლემებზე, გუ ნდების რაოდენობაზე ჩვენს სერია ა-ში სათასო გათამაშების პრინციპებზე და ა. მაგრამ ყველაფერი რომ მოვაწესრიგო თუ ეს ორი რამ არ გვეყოლა, უდრეკ ბიჭი და გოლიათების დამარცხებით ანთ ბული პატარა გუნდი, საქმე ვერ აეწყობ

ძნელად რამე თუ შეედრება მოედანზ NEVER-SAY-DIE-ს ცქერას. ის ხომ იმ დის უპირველესი ფაქტორია მოედანზე. იმ დი კი იმგვარი რამ გახლავთ, კაცს რო ფეხბურთის ცქერის სურვილს უნარჩუ ნებს, რადგან თუ ქომაგს იმედი არა აქვ ტრიბუნა ცარიელი იქნება. ცარიელი ტრი ბუნა კი ფეხბურთის სიკვდილს ნიშნავს

და განა, GIANT-KILLER-ი. იმედი არ არის? იმედი პატარა ქალაქის, თუნდაც ერთი პატარა უბნის აღზევებისა. მაგრა ეს არა მხოლოდ იმედი, არამედ ღირსებ ცაა. საკუთარი ღირსების შეგრძნება, პატა რა კლუბი რომ გადასდებს ქალაქს. ან კი დევ, NEVER-SAY-DIE არ მოსწმენდს ხო ლმე ნამუსს არათუ კლუბსა და ქალაქ არამედ ხშირად მთელს ქვეყანასაც?

ასეა, ფეხბურთს თავისი გმირები რო ჰყავს, ახალი ამბავი სულაც არ არის მაგრამ ეს გმირები ერთგვაროვანნი სუ ლაც არ არიან. სიტყვა „ვარსკვლავი", რ თქმა უნდა, არ მოიცავს ყველას და ყვ ლაფერს. ის საკმაოდ ხშირად ფერმკრთა ლდება ხოლმე, რადგან ფეხბურთი არ კ თდება მხოლოდ ვარსკვლავების მიერ. უ რალოდ, ვარსკვლავები ფეხბურთის ხშ მაღალი ბიჭები არიან.

ამ თამაშს კი ხშვა უამრავი მსახურ ჰყავს.

ამათ შორის: NEVER-SAY-DIE და GI ANT-KILLER-ი.

ისინი, ვინც იმედსა და ღირსებას უნ რჩუნებენ თამაშს.

13 ტური

მოვლენა

შვიდიდან შვიდი მშვიდობით

„სიონი" და „მერანი" ეროვნულ ჩემპიონატში შვიდი შეხვედრა ჩაუტარებიათ. გაგონილა? შეიძლება, ერთმა მეორეს შვიდიდან შვიდი მოუგოს, ისიც შეიძლება, ყველა ერთნაირი ანგარიშით, მაგრამ შვიდიდან შვიდივე ფრედ დასრულდეს, თითქოს წარმოუდგენელია. თუმცა, ესაც შესაძლებელი ყოფილა.

ეს გუნდები ერთმანეთს პირველად მეორე ჯგუფში შეხვდნენ. ეს 1993 წლის შემოდგომაზე იყო და ამის ჩათვლით ზედიზედ ორ წელიწადს ოთხჯერ დაზავდნენ. შარშანწინ „სიონი" მარტოკა აღზევდა პირველ ჯგუფში და ამ წყვილსაც წელი გაუცდა. შარშანდლიდან მოყოლებული კი ბოლო სამშაბათამდე კიდევ სამჯერ შეთანხმდნენ ყაიმზე. შეთანხმდნენო ხატოვნად ითქმის, თორემ ამათი ორთაბრძოლები ყოველთვის უშეღავათოა. მერე რა, რომ განგების ძალით ეს ბრძოლები შვიდიდან შვიდჯერვე მშვიდობიანად დასრულდა.

მოულოდნელობა

კოლხეთი 0:1 ოდიში

საოცარი გუნდია წელს „კოლხეთი" — გასვლაზე ქულებს აგროვებს და შინ კი არიგებს. არიგებს და თანაც როგორ. გუნდმა, რომელსაც სამი საშინაო წაგება ერთად აღებულ სამ ჩემპიონატში ძლივს უგროვდებოდა, წელს უკვე სამჯერ წააგო.

„ოდიში", ბევრს რომ ეგონა, თამაშს ნელ-ნელა უკლებსო, კვლავაც ლიდერებში რჩება. მართალია, ორიოდ წუთში ზუგდიდელები ფრეს უნდა დასჯერებოდნენ, მაგრამ სტუმრად ესეც ხომ საქმეა. ისე კი მოხდა, რომ „ოდიშმა" სრულიად მოულოდნელად, თუნდაც თამაშის შინაარსიდან გამომდინარე, მოიგო.

სკანდალი

სიონი 2:2 მერანი

კი ვთქვით, ბოლნისელები და თბილისელები ერთმანეთს მშვიდობიანად დასცილდნენო, მაგრამ ამათ ბრძოლაში მშვიდობიანი მხოლოდ ანგარიში დაფიქსირდა.

„სიონს", 2:0 რომ იგებდა, მესამის გატანის შანსიც მიეცა, მაგრამ მსაჯმა უტყუარი ბურთი წინაალმდეგ თამაშისას წესის დარღვევა არ დააფიქსირა და მობრუნებული ბურთი ბოლნისელთა კარში გავიდა. ბოლო წუთზე „მერანმა" კიდეც გაათანაბრა და მსაჯები პოლიციის ესკორტით რომ არ გაეყვანათ მინდვრიდან, სტადიონიდან, ქალაქიდან და რაიონიდან, გულშემატკივრები თავში ნათავაზებ მხოლოდ „კოკა-კოლას" ბოთლს არ დააჯერებდნენ.

გმირი და ანტიგმირი

ამ ტურს არ ჰყოლია

სარეკლამო სააგენტო
კოჭი და კომპანია
რეკლამის დამზადება
1. ფარების დამზადება, მოხატვა და განთავსება მოკლე ვადაში
2. განათებული აბრების დამზადება
3. ფერადი წებოვანი რეკლამები
4. სარეკლამო საათებზე რეკლამის განთავსება
კომპიუტერული მომსახურება
ესკიზების, ბუკლეტების, სავიზიტო და მოსაწვევი ბარათების დამზადება
25% ფასდაკლებით!!!
მისამართი: ალ. ყაზბეგის 42
ვაჭრობის სამინისტრო, 2 კორ. 3 სარ.
ტელ. 95 96 56

ესპანეთი

XI ტური

კომპოსტელა 2:3 რეალი
0:1, 0:2 მორიენტესი (41, 58), 1:2 ბელიდო (62), 1:3 მიატოვიჩი (66), 2:3 პენევი (72)

მერიდა 1:0 სპორტინგი
1:0 საბასი (83)

სელტა 1:0 მალიორკა
1:0 ევენი (73)

ვალიადოლიდი 0:0 რასინგი

ესპანიოლი 3:0 ვალენსია
1:0 არტეგა (14), 2:0 პოჩეტინიო (21), 3:0 გალკა (66)

სარაგოსა 1:2 დეპორტივო
0:1 ჯალმინია (17), 1:1 იორდი (51), 1:2 ფრანი (90)

ოვიედო 1:0 ტენერიფე
1:0 გონსალესი (57)

ბეტისი 0:0 სოსიედადი

ბილბაო 3:0 ბარსელონა
1:0 სიგანდა (39), 2:0 ალკისა (50), 3:0 ურსაისი (72)

ატლეტიკო 1:1 კომპოსტელა
0:1 პაულეტა (69), 1:1 ანდრეი (80)

REUTERS ბარსელონიდან

ესპანიოლი — ვალენსია. მასპინძლებმა რომარიო ძლიერ დაჩაგრეს

კატალონია შოკშია. მათმა სიამაყემ — „ბარსელონამ" ბოლო თამაშებში სამი საშინელი მარცხი იწვნია. თითქოს ჩემპიონთა ლიგაში კიევის „დინამოსთან" შერცხვენა არ ეყოფოდაო და აგერ დაუმარცხებელი სელის შემდეგ „ბარსელონა" ბასკეთში გაანადგურა 0:3. „მფრინავი ჰოლანდიელი" ლუის ვან გაალი ალბათ ისევე გაფრინდება პირინეის ნაპირებიდან შინ, როგორც ჩამოფრინდა. „ბარსელონას" გულშემატკივრები (და არა მარტო ისინი) არაა ის ხალხი, რომელიმე მწვრთნელს, ვინც არ უნდა იყოს იგი, ასეთი საშინელი მარცხები მოუთმინონ. ჯერ ვან გაალის წასვლაზე ოფიციალურად არაფერი თქმულა, მაგრამ არაა გამორიცხული, იგი გაანთავისუფლონ. ყოველ შემთხვევაში, მოვლენები საამისოდ ვითარდება.

თასების თასის მფლობელის ბილბაოში განადგურების წინა დღეს, „ბარსელონას" დაუძინებელმა მტერმა „რეალმა" სტუმრად „კომპოსტელა" დაჩაგრა, თუმცა, „სამეფო გუნდს" ნაკლებსახელოვანი მეტოქის დამარცხება ერთობ გაუჭირდა. სეზონის წინ „სარაგოსადან" შეძენილ ახალგაზრდა თავდამსხმელ ფერნანდო მორიენტესს „რეალის" სათადარიგოთა სკამის ხეხვას უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ ფორვარდი მძაფრ კონკურენციას არ შეუშინდა და კლუბის ძირითადშიც ჰპოვა ადგილი. ცხადია, თამაშის უფლება დიდი ბრძოლის შემდეგ მოიპოვა, რომელსაც იგი ახლაც აგრძელებს. რაც შეეხება „კომპოსტელასთან" მატჩს მან ამ თამაშში ჩემპიონატის მეექვსე-მეშვიდე გოლები შეაგდო, რითაც ბომბარდირთა ლიდერ, ტრავმირებულ კრისტიან ვიერისთან ჩამორჩენა გოლამდე შეამცირა. მოკლედ, „რეალმა" მთავარი მისია — სამი ქულის მოპოვება პირნათლად შეასრულა. გუნდის გერმანელმა თავკაცმა იუპ ჰაინკესმა კი განაცხადა, მეტად დაძაბული მატჩი იყო, მოხარული ვარ, რომ მოვიგეთო.

„ბარსელონასგან" განსხვავებით, იმარჯვა ქალაქის მეორე გუნდმა „ესპანიოლმა", რომელმაც დაბეჩავებული „ვალენსია" არ დაინდო. ზღვისპირელებმა თავდასხმაში რომარიო ათამაშეს, მაგრამ შესამჩნევად შესუქებულმა მსოფლიოს ჩემპიონმა მასპინძელთა მცველებთან ვერაფერი გააწყო და „ესპანიოლის" კარისკენ მხოლოდ ერთხელ დაარტყა, ისიც საკმაოდ ააცილა. ვალენსიელებს არგენტინელები, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მატჩში სათამაშოდ ნაკრებში გამოძახებული არიელ ორტეგა და კლაუდიო ლოპესი აკლდათ, მაგრამ ესენიც რომ ყოფილიყვნენ, სტუმრებს მაქსიმუმ გოლი შეეგდოთ, თორემ წაგებისგან კლუბს ვერ იხსნიდნენ. მარცხის მიუხედავად სუბისარეტას საზეიმო მიზეზი მაინც ჰქონდა — ჩემპიონატში მან მეექვსასედ ითამაშა.

ბოლო წუთზე იმარჯვა „დეპორტივომ" ვეტერანი ნახევარმცველის ფრანის გოლის წყალობით. ვიერის გარეშე დარჩენილმა დედაქალაქის „ატლეტიკომ" კი შინ „სალამანკა" ვერ სძლია, ეგ კი არა, ანდრეის ბრწყინვალედ შესრულებული ჯარიმა რომ არა, წააგებდნენ კიდეც. ტურის სხვა შეხვედრებიდან აღსანიშნავია „სოსიედადის" ავსტრიელი ლეგიონერის დიტმარ კუხბაუერის მორიგი ტრავმა. ივნისში, ვენის „რაპიდიდან" შეძენილმა ნახევარმცველმა „ბეტისთან" თამაშისას კვლავ გაიტეხა ლავიწი, არადა იგივე 2 სექტემბერს დაემართა, ნაკრებში ვარჯიშისას. ჯერჯერობით კლუბის ექიმებმა პროგნოზებისგან თავი შეიკავეს, მაგრამ არაა გამორიცხული კუხბაუერის დაბრუნება საკმაოდ გაგრძელდეს.

მოკლედ, გაილია ესპანეთის ჩემპიონატის მორიგი ტურიც და ჩემპიონობისთვის ბრძოლაც უფრო გაცხარდა. პირველ-მეორე ადგილებს შორის სხვაობა ქულაღაა, მაგრამ თუ „ბარსელონამ" ასე გააგრძელა, უეჭველად დაქვეითებას ვერ ასცდება.

ონისე შინჯიკაშვილი

ბარსელონა	11	8	1	2	24:13	25
რეალი	11	7	3	1	19:7	24
სელტა	11	7	3	1	20:10	24
ესპანიოლი	11	6	4	1	20:6	22
ატლეტიკო	11	6	3	2	27:12	21
სოსიედადი	11	6	3	2	16:8	21
მალიორკა	11	5	4	2	20:9	19
ბილბაო	11	4	5	2	14:12	17
ოვიედო	11	4	5	2	14:15	17
ბეტისი	11	3	5	3	14:17	14
მერიდა	11	4	2	5	9:15	14
დეპორტივო	11	2	6	3	12:12	12
სარაგოსა	11	2	5	4	16:21	11
რასინგი	11	3	2	6	12:17	11
ტენერიფე	11	3	2	6	11:20	11
კომპოსტელა	11	2	4	5	18:20	10
ვალიადოლიდი	11	2	3	6	8:20	9
ვალენსია	11	2	2	7	9:17	8
სალამანკა	11	1	3	7	5:17	6
სპორტინგი	11	0	1	10	7:27	1

მეორე დივიზიონი

მე-13 ტური. ლას პალმასი — ლეიდა 0:0; ეიბარი — ორენსე 3:0; ალბასეტე — ხაენი 2:2; ტოლედო — ხერესი 0:0; ვილიარეალი — ელჩე 1:1; რაიო — ესტრემადურა 5:2; ერკულესი — ბადახოსი 3:1; ოსასუნა — ლოგრონიესი 1:0; ლევანტე — სევილია 0:0; ალავესი — ატლეტიკო 2:1; ნუმანსია — ლეგანესი 1:1

ორენსე	13	6	4	3	14:8	22
ესტრემადურა	13	6	4	3	16:12	22
რაიო	13	5	6	2	20:11	21
ატლეტიკო	13	5	6	2	18:12	21
ალავესი	13	6	3	4	15:9	21
ერკულესი	13	5	4	4	18:15	19
ოსასუნა	12	5	3	4	12:10	18
ლეგანესი	13	4	6	3	9:14	18
ლას პალმასი	13	3	8	2	21:18	17
სევილია	13	4	5	4	16:13	17
ეიბარი	13	4	5	4	13:11	17
ლეიდა	13	4	5	4	15:18	17
ვილიარეალი	13	3	8	2	9:12	17
ალბასეტე	13	3	7	3	17:17	16
ხერესი	13	3	6	4	9:8	15
ელჩე	13	4	3	6	18:18	15
ნუმანსია	13	3	5	5	8:17	14
ბადახოსი	12	1	10	1	11:8	13
ტოლედო	13	2	7	4	15:20	13
ლევანტე	13	2	5	6	11:19	11
ხაენი	13	1	7	5	11:18	10
ლოგრონიესი	13	1	7	5	7:15	10

ჰოლანდია

XIV ტური

აიაქსი 1:0 ტვენტე
1:0 ფ. დე ბური (19)
აიაქსი: ვან დერ სარი, ტობიასენი, ბლინდი, ფ. დე ბური, ოლისე, რუდი, ლიტმანენი, დანი, გორი (სიერი 85), სიბონი (არველაძე 44), პუქსტრა (ვან დერ მეიდი 81)

ვიტესი 2:0 სპარტა
1:0 რუიზერი (34), 2:0 კორსტენი (90)

ჰერენვენი 3:1 ვოლენდამი
0:1 ვალკი (17), 1:1, 2:1 დე ვუიზერი (52, 62პ), 3:1 ვან ნისტელრუი (90)

ნაიმეგენი 2:1 როდა
1:0 მესი (43), 2:0 კიონინგი (41), 2:1 უერი (73)

გრააფსხაპი 1:2 მაასტრიხტი
1:0 ვისკაალი (7), 1:1 დე იონგი (49), 1:2 ჯორდენსი (90)

აიაქსი	14	13	1	0	49:4	40
ეინდჰოვენი	14	9	5	0	45:14	32
ვიტესი	14	8	4	2	33:21	28
ჰერენვენი	15	8	4	3	26:18	28
ფეიენოორდი	14	7	3	4	21:17	24
ტვენტე	13	5	5	3	17:12	20
როდა	14	5	4	5	23:22	19
ნაიმეგენი	15	6	1	8	17:30	19
გრააფსხაპი	15	4	4	7	19:16	16
ბრედა	12	4	3	5	15:16	15
სპარტა	14	3	6	5	24:27	15
გრონინგენი	13	3	5	5	17:21	14
უტრეხტი	13	4	2	7	21:32	14
სიტარდი	13	4	2	7	16:28	14
მაასტრიხტი	14	4	1	9	15:34	13
ტილბურგი	12	3	3	6	17:21	12
ვალვაიკი	14	2	5	7	18:28	11
ვოლენდამი	15	1	4	10	9:41	7

რა დროს ტკბილი სიბერეა

იტალიური „სამპდორიას" თავკაცად არგენტინელი ლუის ჩეზარ მენოტის გადადგომის შემდეგ დანიშნეს ცნობილი იუგოსლაველი მწვრთნელი ვუიადინ ბოშკოვი. საამისოდ „სამპდორიას" პრეზიდენტი ენრიკო მანტოვანი ბელგრადში ჩაფრინდა, სადაც 66 წლის ბოშკოვს გაურიგდა. იტალიური გაზეთების ცნობით, გენუელებს იუგოსლაველის მიწვევა 415 ათასი დოლარი დაუჯდათ. შეგახსენებთ, რომ 1978 წლის მსოფლიოს ჩემპიონი მწვრთნელი მენოტი იმიტომ გადადგა, რომ კლუბის ხელმძღვანელებს ორი ახალი ფეხბურთელის ყიდვა სთხოვა, მათ კი იუარეს. რაც შეეხება ბოშკოვს, იგი ადრეც ყოფილა „სამპდორიას" სათავეში და გუნდის ოქროს ხანაც სწორედ მასთან და 1986-92 წლებთანაა დაკავშირებული. ამ პერიოდში „სამპდორიამ" მოიპოვა ისტორიაში ერთადერთი სკუდეტო (ქვეყნის ჩემპიონობა), იტალიის ორი და ერთიც ევროპის ქვეყნების თასების თასი. ბოშკოვმა „სამპდორია" 1992 წელს დასტოვა, მას მერე, რაც „უემბლიზე" ჩემპიონთა თასის ფინალში „ბარსელონასთან" წააგო.



ვუიადინ ბოშკოვი

„წავიკითხე, მენოტის უთქვამს, გუნდი ძლიერი ფეხბურთელებით არაა დაკომპლექტებულიო. ეს სიმართლე არ გახლავთ. მე ახალი ფეხბურთელი არ მჭირდება. ფეხბურთელებმა ერთმანეთს თვალებში უნდა შეხედონ და მიხვდნენ, რომ თავად არიან ძლიერები. მე მათ საკუთარი ნიჭის აღმოჩენაში დავეხმარები" — უთხრა ბოშკოვმა გაზეთ „ლა რეპუბლიკას". „სამპდორიას" უახლოესი თამაში იტალიის თასზე ოთხშაბათს „მილანთან" აქვს. ჩემპიონატის ბოლო მატჩში კი მან „ლაციოსთან" 0:3 წააგო და დღეისათვის სერია A-ს ცხრილში მე-10 ადგილზეა.

ფეხბურთის რუქასთან

ინგლისში „შეფილდ უენსდეის" მწვრთნელად, პირველი უარის მიუხედავად, შესაძლოა, მაინც რონ ატკინსონი დაინიშნოს. ატკინსონი ამ გუნდს ექვსი წლის წინ ედგა სათავეში, შემდეგ კი კონფლიქტი მოუვიდა და „ასტონ ვილაში" გადავიდა. ბოლოს 58 წლის მწვრთნელი „ქოვენთრი სიტის" საფეხბურთო დირექტორად მუშაობდა, მაგრამ ექვსი თვის წინ კონტრაქტი ამოეწურა. საბოლოო გადაწყვეტილებას რამდენიმე დღეში იტყვიან.

ესპანელი მწვრთნელი ხოსე ანტონიო ბაროსი პორტუგალიური „სეტუბალის" მწვრთნელად დანიშნეს. „ბარსელონას" ყოფილი ფეხბურთელი „სეტუბალში" წინამორბედს, მანუელ ფერნანდეს შეცვლის. ფერნანდესი თანამდებობიდან სამშაბათს გაანთავისუფლეს ცუდი შედეგების გამო. „სეტუბალი" პორტუგალიის ცხრილში მე-14 ადგილზეა.

შვედეთის ნაკრების ფეხბურთელი პერ ზეტერბერგი მუხლის ოპერაციის შემდეგ, იანვრამდე ვერ ითამაშებს, განაცხადა მისმა ბელგიურმა კლუბმა „ანდერლეხტმა". მწვრთნელის შემცვლელმა რობერტ დე პოტმა განაცხადა, ზეტერბერგის მუხლიდან ხრტილის ნატეხები ამოიღეს და ამიტომ იგი ალბათ საშობაო არდადეგების შემდეგ დაგვიბრუნდებაო. ბელგიაში საშობაო არდადეგები 21 დეკემბრიდან 17 იანვრამდეა.

ბრაზილიური „ატლეტიკო მინეიროს" მწვრთნელი, ქვეყნის ეროვნული გუნდის ყოფილი მეკარე ემერსონ ლეაო განრისხებულია. მას არგენტინაში, „ლანუსთან" კონმებოლის თასის შეხვედრის დროს ამტყდარ გაწევ-გამოწევაში ყბა გაუტეხეს. „ეს ყველაფერი „ლანუსს" ძვირად დაუჯდება, სასამართლოშიც ვიჩივლებ და ფიფაშიც" — უთხრა ლეაომ ტელეჟურნალისტებს თვალჩალურჯებულმა მწვრთნელმა განაცხადა, რომ ჩხუბის შემდეგ დაზიანებული ყბა საოპერაციო გაუხდა და ექიმებმა 14 ნაკერი დაადეს. ექიმებმავე ურჩიეს ლეაოს დაშავებული ადგილი მზისთვის არ მიეშვირა, რის გამოც ოთხშაბათს, „ატლეტიკოს" ვარჯიშზე იგი სომბრეროთი და ქოლგით გამოცხადდა. რაც შეეხება ზემოხსენებულ აყალმაყალს, იგი ბუენოს აირესში, ფინალის პირველ შეხვედრაში ატყდა. ბრაზილიურმა გუნდმა გაიმარჯვა 4:1, მაგრამ თამაშის მიწურულს მოედნის კიდესთან, გუნდი-გუნდზე საშინელი ჩხუბი გაჩაღდა, რასაც ტრიბუნიდან საგნების სროლაც მოჰყვა. ლეაომ განაცხადა, იმ საშინელების ჩანაწერი არ მინახავს, რადგან რომ მენახა, უარესად გავხდებოდიო. „ატლეტიკოსა" და „ლანუსის" საპასუხო შეხვედრა 26 ნოემბერს გაიმართება.

ურუგვაის ჩემპიონი ზედიზედ მეხუთედ გახდა „პენიაროლი", რომელმაც ფინალის მეორე შეხვედრაში 3:0 მოუგო „დეფენსორ სპორტინგს". პირველი გოლი 30-ე წუთზე საჯარიმო დარტყმით ნახევარმცველმა პაბლო ბენგოეჩეამ გაიტანა. მეორე მსაჯის საფინალო სასტვენამდე 10 წუთით ადრე ანტონიო პაჩეკომ შეაგდო, მესამე კი ეფექტური ინდივიდუალური თამაშით მარსელო სალაიეტამ 88-ე წუთზე დაამატა. პირველი მატჩი „პენიაროლმა" 1:0 მოიგო. საინტერესოა, რომ მომავალ ჩემპიონს წლევანდელი ორი ჩემპიონატიდან პირველი ადგილი ერთშიც არ დაუკავებია. ეგრეთწოდებული „აპერტურას" პირველობა "ნასიონალმა" მოიგო, „კლაუსურასი" კი „დეფენსორ სპორტინგმა", რომლისგანაც ამას არავინ ელოდა. ფინალში კი „პენიაროლი" იმიტომ მოხვდა, რომ ორივე ჩემპიონატის ჯამში იმდენივე ქულა დააგროვა, რამდენიც „ნასიონალმა".

ინგლისის გუნდები იტალიელ ფეხბურთელებზე ნადირობას განაგრძობენ. „ვესტ ჰემმა" რომის „ლაციოსგან" ცნობილი ჯუზეპე სინიორის თხოვება უნდოდა. მაგრამ ფეხბურთელმა დიდძალი გასამრჯელო მოითხოვა. საკუთრივ „ლაციოსთვის" ლონდონელებს 200 ათასი გირვანქა უნდა გადაეხადათ, მაგრამ სინიორის თავისთვის 800 ათასი მოუნდა, რაც დოლარებში 1,3 მილიონის ტოლფასია. „ვესტ ჰემის" მწვრთნელმა ჰარი რედნეპმა ამასთან დაკავშირებით განაცხადა: „ის ჩვენი კლუბისთვის საუცხოო შენაძენი იქნებოდა, გუნდში წამყვან და მეტად თავისებურ როლს შეასრულებდა, მაგრამ სამწუხაროდ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა".

ფრანგი ნახევარმცველი პატრიკ ვიეირა, რომელიც ლონდონის „არსენალში" თამაშობს, მოედანს ექვსი კვირით ჩამოშორდება. ვიეირამ ტრავმა მეტად უცნაურ ვითარებაში მიიღო: კვირას, „მანჩესტერ იუნაიტედის" კარში გოლის გატანით ისე გაიხარა, რომ მუხლი დაიზიანა. „მეთოფეთა" მწვრთნელმა არსენ ვენგერმა ამასთან დაკავშირებით თქვა: „მადლობა ღმერთს ვიეირას საოპერაციო არაფერი სჭირს, მაგრამ რამდენიმე მნიშვნელოვან თამაშს გამოსტოვებს, რაც ჩვენთვის მეტად უსიამოვნო ფაქტია". „არსენალს" უახლოესი ორი მატჩის განმავლობაში არ ეყოლება ვიეირას თანამემამულე ემანუელ პეტიც, რომელიც დისკვალიფიცირებულია. სამთამაშიანი სასჯელიდან ერთი დარჩა მოსახდელი ჰოლანდიელ დენის ბერხკამპსაც. დისკვალიფიცირებულია მცველი სტივ ბოულდი. ერთადერთი კარგი ამბავი, რაც ვენგერმა ბოლო დროს შეიტყო ისაა, რომ ინგლისის ნაკრების წევრი ტონი ადამსი მარჯვენა მუხლის ხელახალ ოპერაციას არ გაიკეთებს.

ბრაზილიურმა „კრუზეირომ" სამი ფეხბურთელი „ისესხა". ერთ-ერთი მათგანი მსოფლიოს ჩემპიონი ბებეტო. ამ სამეულით კოპა ლიბერტადორესის თასის მფლობელი ტოკიოში, 2 დეკემბერს, დორტმუნდის „ბორუსიას" ძლევასა და საკონტინენტთაშორისო თასის მოპოვებას აპირებს. ბებეტოს გარდა ნასესხებთა შორის არიან ეროვნული გუნდის მცველი გონსალვეში, რომელიც „ბოტაფოგოსგან" ითხოვეს და „კორინთიანსის" თავდამსხმელი დონიზეტე. რაც შეეხება ბებეტოს, მას მერე რაც ესპანურ „დეპორტივო ლა კორუნიაში" დაბრუნება ჩაეშალა, „ვიტორიას" კუთვნილება იყო და „კრუზეიროში" იქიდან მოხვდა. ბრაზილიური პრესის თქმით, ტოკიოს მატჩის შემდეგ სამივე თავის გუნდს დაუბრუნდება.

ინგლისური „საუთჰემპტონის" თავდამსხმელი ეგილ ოსტენსტადი კოჭის ოპერაციის შემდეგ მოედანზე დაბრუნებას აპირებს, არადა ექიმების თქმით მას კიდევ ერთი თვე უნდა დაესვენა. გასულ სეზონში 15 გოლის ავტორმა ნორვეგიელმა განაცხადა: „კოჭი სწრაფად მირჩება. ერთადერთ პრობლემად ახლა გუნდში რაც შეიძლება მალე დაბრუნება მესახება, რადგან ისინი ძალიან კარგად თამაშობენ და ვშიშობ უსარგებლო კაცად არ დავრჩე".

ჰოლანდიის ფეხბურთის ფედერაციამ დისკვალიფიკაციით დასაჯა არბიტრი იან პეტერ კრემერი, რომელმაც ერთ-ერთი მატჩის სჯისას რეკლამიანი მაისური ჩაიცვა. თურმე კრემერი აღშფოთებულა, ფეხბურთელებს თუ აქვთ შემოსავალი იმ სპონსორთაგან, რომელთა სახელწოდებაც მაისურზე აწერიათ, მსაჯებმა რაღა დაგვიშავეთო. „ფეხბურთელები სხვა საქმეა, მსაჯები კი ყოველმხრივ ნეიტრალურნი უნდა იყვნენ" — განაცხადა ფედერაციის პრეს-მდივანმა.

დედამ გადაარჩინა

ინგლისელი როი სატკლიფი ამ დღეებში მიხვდა, რომ 1958 წლის დეკემბერში სიკვდილს გადარჩა. თურმე, მაშინ 16 წლის დამწყები ფეხბურთელი აწგარდაცვლილ დედას გადაურჩენია. საქმე ის გახლავთ, რომ ჭაბუკი როი, რომელიც ახლა 63 წლისაა, „მანჩესტერ იუნაიტედში" გასინჯეს და თავიდან დაიწუნეს, შემდეგ კი „იუნაიტედის" მაშინდელი ბოსის ასისტენტმა ჯიმი მერფიმ სატკლიფს შინ წერილი გაუგზავნა, მეორე ტესტზე ჩამოდი და გუნდში აგიყვანთო. ეს წერილი მოთამაშის დედას, მეიბელს სადღაც დაუდია და დავიწყებია მისი არსებობა. სწორედ ეს წერილი იპოვნა რომ ამ დღეებში. თავიდან ეწყინა. დედას მეტი გულისყური რომ გამოეჩინა, მთელს კარიერას სამოყვარულო „გლოსპოში" არ ჩავკლავდიო, მაგრამ რომ დაფიქრდა, გაახსენდა ბასბისეული „იუნაიტედის" 1958 წლის ტრაგედია და მიხვდა, რომ სიკვდილს იყო გადარჩენილი. კიდევ, სატკლიფი მთელი ცხოვრება „მანჩესტერ სიტის" გულშემატკივრობდა და აბა „იუნაიტედში" როგორ უნდა ეთამაშა.

მათი გზა პარიზში მიდის

1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური ეტაპის 24 მონაწილე უკვე ცნობილია. დღეს და ხვალ კიდევ შვიდის ვინაობას გავიგებთ: ოთხის — ევროპიდან, თითოს — აზიიდან, სამხრეთ ამერიკიდან და კონკაკაფიდან. ასე, რომ ოცდათორმეტიდან მხოლოდ ერთი ვაკანტური ადგილიღა დარჩება, რომელსაც აზიის მეოთხე გუნდი და ავსტრალიის ნაკრები გაითამაშებენ.

აზიის ამბები უფრო დავაზუსტოთ: ხვალ მალაიზიაში იაპონიისა და ირანის გუნდები გაარკვევენ ვინ წავა საფრანგეთში და ვინ შეებრძოლება 22 და 29 ნოემბერს ავსტრალიას. ამრიგად, 29 ნოემბერს საქვეყნოდ გამოცხადდება ოცდამეთორმეტე ფინალისტის ვინაობა 4 დეკემბერს კი მარსელში, ფიფას მოხელეები ოცდათორმეტ უძლიერესს ჯგუფებში გაანაწილებენ.

ჯერჯერობით გამოვლენილი ფინალისტები არიან:

ევროპა

ავსტრია. წინა ფინალები: 1934, 1954, 1958, 1978, 1982, 1990. საუკეთესო შედეგი: 1954 — მე-3 ადგილი.

ბულგარეთი. წინა ფინალები: 1962, 1966, 1970, 1974, 1986, 1994. საუკეთესო შედეგი: 1994 — მე-4 ადგილი.

დანია. წინა ფინალები: 1986. საუკეთესო შედეგი: მეორე ეტაპი

ინგლისი. წინა ფინალები: 1950, 1954, 1958, 1962, 1966, 1970, 1982, 1986, 1990. საუკეთესო შედეგი: 1966 — მსოფლიოს ჩემპიონი. 1966 წელს უმასპინძლა მსოფლიოს ჩემპიონატს.

საფრანგეთი. წინა ფინალები: 1930, 1934, 1938, 1954, 1958, 1966, 1978, 1982, 1986. საუკეთესო შედეგი: 1958, 1986 — მე-3 ადგილი. 1938 წელს უმასპინძლა მსოფლიოს ჩემპიონატს.

გერმანია. წინა ფინალები: 1934, 1938, 1954, 1958, 1962, 1966, 1970, 1974, 1978, 1982, 1986, 1990, 1994 (გავიდა ყველა ფინალურ ეტაპზე, რომლის შესარჩევშიც მიიღო მონაწილეობა). საუკეთესო შედეგი: 1954, 1974, 1990 — მსოფლიოს ჩემპიონი. 1974 წელს უმასპინძლა მსოფლიოს ჩემპიონატს.

ჰოლანდია. წინა ფინალები: 1934, 1938, 1974, 1978, 1990, 1994. საუკეთესო შედეგი: 1974, 1978 — ვიცე ჩემპიონი.

ნორვეგია. წინა ფინალები: 1938, 1994. საუკეთესო შედეგი — პირველ ეტაპს არ გასცდენია.

რუმინეთი. წინა ფინალები: 1930, 1934, 1938, 1970, 1990, 1994. საუკეთესო შედეგი: 1994 — მეოთხედფინალი.

შოტლანდია. წინა ფინალები: 1954, 1958, 1974, 1978, 1982, 1986, 1990. საუკეთეს შედეგი: პირველ ეტაპს არ გასცდენია.

ესპანეთი. წინა ფინალები: 1934, 1958, 1962, 1966, 1978, 1982, 1986, 1990, 1994. საუკეთესო შედეგი: 1950 — მე-4 ადგილი. 1982 წელს უმასპინძლა მსოფლიოს ჩემპიონატს.

სამხრეთი ამერიკა

არგენტინა. წინა ფინალები: 1930, 1934, 1958, 1966, 1974, 1978, 1982, 1986, 1990, 1994. საუკეთესო შედეგი: 1978, 1986 — მსოფლიოს ჩემპიონი. 1978 წელს უმასპინძლა მსოფლიოს ჩემპიონატს.

ბრაზილია. წინა ფინალები: 1930, 1934, 1938, 1950, 1954, 1958, 1962, 1966, 1970, 1974, 1978, 1982, 1986, 1990, 1994 (ერთადერთი ქვეყანაა ყველა ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე რომ ითამაშა). საუკეთესო შედეგი: 1958, 1962, 1970, 1994 — მსოფლიოს ჩემპიონი. 1950 წელს უმასპინძლა მსოფლიოს ჩემპიონატს.

კოლუმბია. წინა ფინალები: 1962, 1990, 1994. საუკეთესო შედეგი: 1990 — მე-2 ეტაპზე გავიდა.

პარაგვაი. წინა ფინალები: 1930, 1950, 1958, 1986. საუკეთესო შედეგი: 1986 — მე-2 ეტაპზე გავიდა

აფრიკა

კამერუნი. წინა ფინალები: 1982, 1990, 1994. საუკეთესო შედეგი: 1990 — მეოთხედფინალი

მაროკო. წინა ფინალები: 1970, 1986, 1994. საუკეთესო შედეგი: 1986 — მე-2 ეტაპზე გავიდა.

ნიგერია. წინა ფინალები: 1994. საუკეთესო შედეგი: მეორე ეტაპი.

სამხრეთი აფრიკა. პირველად მონაწილეობს ფინალურ ეტაპზე

ტუნისი. წინა ფინალები: 1978. საუკეთეს შედეგი: პირველი ეტაპიდან ვერ გავიდა.

აზია

სამხრეთი კორეა. წინა ფინალები: 1954, 1986, 1990, 1994. საუკეთესო შედეგი: პირველ ეტაპს არასდროს გასცდენია.

საუდის არაბეთი. წინა ფინალები: 1994. საუკეთეს შედეგი: მე-2 ეტაპზე გავიდა.

კონკაკაფი

მექსიკა. წინა ფინალები: 1930, 1950, 1954, 1958, 1962, 1966, 1970, 1978, 1986, 1994. საუკეთესო შედეგი: 1970, 1986 — მეოთხედფინალი. 1970 და 1986 წლებში უმასპინძლა მსოფლიოს ჩემპიონატს.

აშშ. წინა ფინალები: 1930, 1934, 1950, 1990, 1994. საუკეთესო შედეგები: 1930 — ნახევარფინალი. 1994 წელს მასპინძლობდა მსოფლიოს ჩემპიონატს.

18-თვიანი მოლოდინის და თითქმის 600-ზე მეტი თამაშის შემდეგ ჩვენ, გულშემატკივრები, მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილეებს შევიტყობთ და კვლავ, ვინ მოთვლის მერამდენედ, დავიწყებთ საკუთარი ნაზრევისა და პროგნოზების გამოთქმას.

ხორვატიიდან ჩილემდე, იამაიკიდან იაპონიამდე, უეჭველად და დაძაბულობა იქნება და, ალბათ, საფრანგეთში გამგზავრების კანდიდატებიდან რამდენიმე ბედნიერს თუ ერგება ის სანატრელი საგზური, რომლის გამოც ბრძოლა თითქმის ორი წელი გრძელდებოდა.

მსოფლიოს მე-17 ჩემპიონატის ბოლო, 32-ე მონაწილეს აზიის ზონის ფლეი-ოფში დამარცხებული გუნდის და ავსტრალიის ნაკრების ორმატჩიანი დუელი გაარკვევს, რომელიც მოგვიანებით, ნოემბერში გაიმართება.

ევროპაში იუგოსლავიამ ბუდაპეშტში 7:1 მოგების შემდეგ, შეიძლება ითქვას, მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაში გაინაღდა, მაგრამ ბებერ კონტინენტზე კიდევ სამი შესარჩევი მატჩია, რომლის წინასწარი შედეგის თქმა თვით ყველაზე გამოცდილ ფეხბურთის სპეციალისტსაც გაუჭირდება.

იტალია რუსეთს მასპინძლობს ნეაპოლში. თითქოს გასვლაზე 1:1 იტალიელთათვის კარგი ანგარიში უნდა იყოს, მაგრამ მათ არც ის უნდა დაივიწყონ, რომ ნეაპოლში არანაკლებ მნიშვნელოვან მატჩში — მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალში, 1990 წელს მათ არგენტინასთან 1:1 ითამაშეს, პენალტების გამო კი ფინალის მიღმა დარჩნენ.

ბელგიამაც ირლანდიასთან სტუმრად 1:1 ითამაშა, მაგრამ მათი შანსები გაცილებით დიდია. სხვათა შორის, ირლანდიელებს 1930 წლიდან მოყოლებული ბრიუსელში ზედიზედ სამი თამაშია არ მოუგიათ.

ხორვატია იუგოსლავიელების შემდეგ ყველაზე უკეთეს პოზიციაშია, მაგრამ ორბურთიანი სხვაობა ნამდვილად არაა ის უპირატესობა, რომლის გასაბათილებლად ბრძოლაც შეუძლებელია.

სანამ ევროპაში ოთხი ფინალისტი დარჩა გასარკვევი, სამხრეთ ამერიკაში ერთადერთი საგზურის პატრონის ვინაობაღაა გასარკვევი.

ჩილეს, საფრანგეთში წასვლის უპირველეს ფავორიტს, მსოფლიოს ჩემპიონატზე, 16-წლიანი არყოფნის შემდეგ დასაბრუნებლად შინ ბოლივიის ძლევა ესაჭიროება, გუნდისა, რომელმაც აქამდე სტუმრად მხოლოდ ქულა მოიპოვა.

არგენტინა — კოლუმბიის შესარჩევი მატჩი, რომელიც უფრო ამხანაგური იქნება, უკვე აღარაფერს წყვეტს, რადგან ორივე გუნდმა, პარაგვაისთან ერთად, უკვე გაინაღდა მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაში.

ასე თუ ისე, ჩილე, ალბათ, სამხრეთ ამერიკის ის მეოთხე გუნდი იქნება, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშებს. მათ თანაბარქულოვან პერუსთან შედარებით ბურთების სხვაობა გაცილებით უკეთესი აქვთ (+12), მაგრამ წაფორხილების შემთხვევაში ეს აღარაფერს წყვეტს. საფრანგეთში გამგზავრება ეკვადორსაც შეუძლია, რომელიც ჩილეს და პერუს ქულით ჩამორჩება, მაგრამ მათ აუცილებლად უნდა სძლიონ ურუგვაი, ზემონახსენებმა ორმა გუნდმა კი თავიანთი მატჩები არ უნდა მოიგონ. სხვათა შორის, ეკვადორს მსოფლიოს ჩემპიონატებზე აქამდე არასდროს უთამაშია.

პირველად ეძლევა ფეხბურთის უპირველეს ტურნირზე თამაშის შანსი იამაიკასაც. კონკაკაფის ზონაში მყოფმა იამაიკამ ხვალ, უბრალოდ არ უნდა წააგოს მექსიკასთან. იამაიკას მარცხის შემთხვევაშიც აქვს საფრანგეთში წასვლის შანსი, ეს მაშინ, თუ სალვადორი სტუმრად ვერ სძლევს აშშ-ს.

ამ უქმეებზე კიდევ ერთი მეტად მნიშვნელოვანი შეხვედრა გაიმართება. აზიის ზონის ორი შესარჩევი ჯგუფის მეორეადგილოსნები, იაპონია და ირანი მალაიზიაში ფლეი-ოფის პირველ მატჩს ითამაშებენ. ამ ზონიდან მსოფლიოს ჩემპიონატზე უკვე გავიდნენ საუდის არაბეთი და სამხრეთ კორეა. ირანმა და იაპონიამ კი დამატებითი მატჩები უნდა ითამაშონ. ისე, ისტორიას თუ გავითვალისწინებთ, უპირატესობა ირანის მხარესაა — მან იაპონია ხუთჯერ სძლია და მხოლოდ სამჯერ დამარცხდა.

მოკლედ, ახლოვდება მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილეთა დადგენის დრო — ეს 32 გუნდი სულ მალე, დეკემბერში გაირკვევა.

მაიკ კოლეტი, „როიტერი“

შესარჩევი ტურნირი

ევროპა

იტალია

1990 — მესამე, 1994 — მეორე, 1998 — ? საქმე ისე მიდის, იტალიელებმა საფრანგეთში მსოფლიოს ჩემპიონატის ტიტული მეოთხედ უნდა მოიპოვონ, მაგრამ შეძლებენ კი? მათ ხომ ჯერ მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურიც არ მოუპოვებიათ. არა, უპირველესი საფეხბურთო ტურნირი იტალიის და მისთანების გარეშე ალბათ არ შეიძლება, მაგრამ ყველაფერი ხდება.

საბედისწერო მატჩის წინ: ფერარა და რავანელი

შესარჩევი ტურნირის დაწყების დღიდან ბოლო ტურამდე იტალია თავის ჯგუფს ლიდერობდა, ფლეი-ოფში ოფლი თითქოს ინგლისს უნდა ეღვარა, მაგრამ ეწვია „სკუადრა აძურა“ თბილისს და წაიფორხილა. დღესდღეობით იტალია რომ ასეთ გასაჭირშია, ამის მთავარ მიზეზად სწორედ საქართველოში დატოვებულ ორ ქულას ასახელებენ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, აპენინელებს ინგლისელთა მოგების შემთხვევაში კვლავ შეეძლოთ საფრანგეთის საგზურის უპრობლემოდ მოპოვება, მაგრამ ვერც იქ იმარჯვეს და თავი გასაჭირში ჩაიგდეს.

ფლეი-ოფის პირველმა მატჩმა, რომელშიც იტალიელები ლამის თბილი ქურქებით თამაშობდნენ, სამხრეთელებს უფრო მეტი შანსები დაუტოვა, მაგრამ რუსეთის კერკეტი კაკლობა საკმაოდაა ცნობილი. მიუხედავად რუსების შეუვალი იმედებისა, მსოფლიოს ჩემპიონატზე ალბათ მაინც იტალიელები გაემგზავრებიან, რადგან თუ საკითხს ობიექტურად შევხედავთ, რუსეთის დაპროგრამებული და „შავ-თეთრი“ ფეხბურთის მოთამაშე ნაკრები არაა ის გუნდი, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონები სტუმრად რომ სძლიოს. მაგრამ კაცი იმედით ცოცხლობსო, ხომ გაგიგონიათ? ჰოდა, იტალიაში ჩასვლისთანავე, ბორის იგნატიევმა განაცხადა, შეხვედრა ფრედ 2:2 დასრულდება და საფრანგეთის საგზურს ჩვენ მოვიპოვებთო. ანგარიშის რა მოგახსენოთ, მაგრამ მას შემდეგ, რაც იტალიამ შესარჩევ ტურნირში ერთ მატჩში ორი გოლი გაუშვა, დაახლოებით ოთხი წელი გამოხდა. ეგეც არ იყოს, რუსეთსა (ყოფილი სსრკ-ს ჩათვლით) და იტალიას შორის აქამდე ჩატარებულ 13 შეხვედრაში გოლზე მეტი მხოლოდ ოთხჯერ გავიდა, უკანასკნელად ევროპის გასულ ჩემპიონატზე. მაშინ ლივერპულის „ენფილდ როუდზე“ პიერლუიჯი კაზირაგიმ ორჯერ ივაჟკაცა და „სკუადრა აძურა“ 2:1 ამარჯვა, მაგრამ დღეს მისი თამაში სათუოა. სერია A-ს ბოლო ტურში, გენუის „სამპდორიასთან“ თამაშისას, მან ფრანგ მეტოქე უმარ დენგთან შეჯახებისას მუხლის ტრავმა მიიღო,რის გამოც ნაკრებთან ერთად ხუთშაბათამდე ვერ ივარჯიშა, გუშინ კი სხვებთან შედარებით მსუბუქად ივარჯიშა. გუნდში არ იქნება კრისტიან ვიერიც, რომელმაც მოსკოვში მეტოქეთა მთელი შეხვედრების ისტორიის მანძილზე იტალიელთა პირველი გოლი შეაგდო. კაზირაგის დარად ისიც ჩემპიონატში დაშავდა — მისი „ატლეტიკო“ „კომპოსტელას“ ხვდებოდა, ესპანეთის ჩემპიონატის ბომბარდირთა ლიდერმა კი ბარძაყი დაიზიანა. მოგვიანებით „ატლეტიკოს“ ექიმმა ხოსე მარია ვილალონმა განაცხადა, ვიერის იტალიაში კი გავუშვებთ, რადგან ნაკრებშია გამოძახებული, მაგრამ მისი თამაში მინიმუმ ერთი თვის მანძილზე არ შეიძლებაო. რა თქმა უნდა, ვიერი და კაზირაგი დიდი ძალაა, მაგრამ საეჭვოა, მსოფლიოში საუკეთესო ლიგის პატრონებს მათი დონის შემცვლელების გამოძებნა გაუჭირდეთ. ეს ორი თავდამსხმელი თითქმის ერთი კვირის წინ დაშავდნენ, ატილიო ლომბარდომ კი ტრემა გუშინ, ვარჯიშზე მიიღო. ჩეზარემ იგი თავისთან კი დაიტოვა, მაგრამ გუნდის ექიმების თქმით ლომბარდოს ტრავმა იმდენად მძიმეა, რომ იგი მინიმუმ ერთი თვე ველარ ითამაშებს. ვინ იქნება ტრავმირებულთა შემცვლელი, ეს მხოლოდ ჩეზარე მალდინიმ იცის, მისმა ჰოლანდიელმა კოლეგამ, „ჩელსის“ თავკაცმა რუდ გულიტმა კი სიტყვა შეაშველა, ჯანლუკა ვიალი ბრწყინვალე ფორმაშია, აგერ „ტრომსოს“ ხუთჯერ გაუტანაო. ვიალის ნაკრებში მიწვევა ალბათ გამორიცხულია, ა, „იუვენტუსის“ კაპიტნის კონტეს გუნდში დაბრუნება კი ნამდვილად მოსალოდნელია. კონტემ ნაკრებში ბოლოს, შარშან საქართველოსთან ითამაშა, მაგრამ პერუჯაში იგი პირველ ტაიმში დაშავდა, მას შემდეგ კი თითქმის რვა თვე საერთოდ არ გაკარებია ფეხბურთს. უფროსმა მალდინიმ კონტე თბილისშიც იახლა, მაგრამ „იუვენტუსის“ კაპიტანს არ უთამაშია. ნაკრებშია ჩირო ფერარაც, რომელმაც ბოლო ორი შესარჩევი მატჩი ტრავმის გამო გამოტოვა.

სანამ ფეხბურთელები დღევანდელი მატჩისთვის ემზადებოდნენ, ფეხბურთის მეფედ შერაცხულმა პელემ ნაზრევი ვადმოაფრქვია: „მე, როგორც ბრაზილიელს, ძლიერ მეწყინება თუ იტალია საფრანგეთში ვერ მოხვდება. მსოფლიოს ჩემპიონატი იტალიის გარეშე წარმოუდგენელია. რაც შეეხება რუსებს, მათ დიდ პატივს ვცემ, მაგრამ ვგონებ ისინი საფრანგეთს მიღმა დარჩებიან.“

მოკლედ, სიტყვა რომ არ გაგვიგრძელდეს, ნეაპოლის „სან-პაოლოს“ სტადიონზე მეტად დაძაბული მატჩი უნდა გაიმართოს, თუმცა, არავის გაუკვირდეს, შეხვედრა 0:0 რომ დასრულდეს. საერთოდ, როცა იტალია ნეაპოლში თამაშობს, ყოველთვის სასურველ შედეგს აღწევს. ამჯერად რას იზამს, დღეს გამოჩნდება, ჩვენ კი მანამდე ჩეზარე მალდინის რჩეულებს გავეცნოთ: მეკარეები — ანჯელო პერუცი (იუვენტუსი), ჯანლუიჯი ბუფონი (პარმა); მცველები — ფაბიო კანავარო (პარმა), ალესანდრო კოსტაკურტა, პაოლო მალდინი (მილანი), ჩირო ფერარა, ჯანლუკა პესოტო (იუვენტუსი), ალესანდრო ნესტა (ლაციო), ლუიჯი სარტორი (ინტერი); ნახევარმცველები — დემეტრიო ალბერტინი (მილანი), დინო ბაჯო (პარმა), სანდრო კოისი (ფიორენტინა), ანტონიო კონტე (იუვენტუსი), ლუიჯი დი ბიაჯიო (რომა), რობერტო დი მატეო (ჩელსი), დიეგო ფუზერი (ლაციო), ატილიო ლომბარდო (კრისტალ პალასი); თავდამსხმელები — პიერლუიჯი კაზირაგი (ლაციო), ენრიკო კიეზა (პარმა), ალესანდრო დელ პიერო (იუვენტუსი), ფაბრიციო რავანელი (ოლიმპიკი), ჯანფრანკო ძოლა (ჩელსი).

რუსეთი

იტალია-რუსეთი — დღევანდელი ფლეი-ოფის ალბათ, ცენტრალური მატჩი. შეხვედრის ფავორიტებად მასპინძლები ითვლებიან, მაგრამ განა იშვიათად მომხდარა, სტუმარს ფავორიტად შერაცხული მასპინძელი რომ გაუმწარებია? ხვალ ყველა პროგნოზს აზრი დაეკარგება — ნეაპოლში დაფიქსირებული შედეგი მსოფლიოს ჩემპიონატის მორიგ მონაწილეს გაარკვევს. ნუთუ ისე მოხდება, რომ რუსები 1978 წლის შემდეგ ფეხბურთის უპირველესი ტურნირის მიღმა დარჩებიან? რა იქნება, არავინ იცის, მხოლოდ ერთი რამაა ნათელი — თუ საბჭოთა კავშირის იურიდიულ მემკვიდრეთ საფრანგეთში თამაში სურთ, ნეაპოლის მატჩი არ უნდა წააგონ, ამასთანავე, არც 0:0 უნდა ითამაშონ. რუსებს თავკაცმა ბორის იგნატიევმა მეტად საპასუხისმგებლო მატჩისთვის მოსამზადებლად თავდასხმელად 23 ფეხბურთელი იხმო, თუმცა მოგვიანებით რამდენიმე მათგანი უარყო და 20 დაიტოვა. პირველი შეხვედრისგან განსხვავებით, იტალიაში ვერ ითამაშებენ ანდრეი კანჩელსკისი და ახრიკ ცვეიბა. „ფიორენტინას“ ნახევარმცველმა პირველ მატჩში პალიუკასთან შეჯახებისას მუხლის მძიმე ტრავმა მიიღო, ერთ დროს თბილისის დინამოელმა ცვეიბამ კი ბარძაყი დაიზიანა. ბევრმა ცვეიბას ნაკრებიდან ამოგდება იმ შეცდომას მიაწერა, რომლის წყალობითაც ვიერიმ მოსკოვში ანგარიში გახსნა, მაგრამ რუსეთის ფეხბურთის კავშირის წარმომადგენელმა იური იუდინმა განაცხადა, ის შემთხვევა არაფერ შუაშია, უბრალოდ, „ალანიას“ ერთ-ერთ ბოლო მატჩში ცვეიბა დაშავდაო. ნაკრებში დაბრუნდა ესპანეთში მოთამაშე, ხიხონის „სპორტინგის“ მცველი იური ნიკიფოროვი, რომელმაც პირველი შეხვედრა გამოტოვა. ნაკრებში ახალწვეულიცაა — ბორის იგნატიევმა სპარტაკელი იგორ ტიტოვის ძლიერი თამაში რომ იხილა, არ დააყოვნა და იგიც გუნდში მოიწვია, სავარაუდოდ, კანჩელსკისის შემცვლელად. იგნატიევმა განაცხადა ნეაპოლში უნდა ვიომოთ, ნამდვილ ბრძოლაში უნდა მოვიგოთ, თორემ იტალიამ შინ რომ წააგოს, ეს ათასში ერთხელ ხდებაო. ასეა თუ ისე, რუსები აპენინებს ეწვივნენ, თუმცა ერთხელაც ვერ ივარჯიშეს სრული შემადგენლობით. იტალიაში ჩასვლის მეორე დღეს იურანმა და კოლივანოვმა ფეხის ტკივილი მოიმიზეზეს, მოგვიანებით კი ვოლგოგრადელებმა ვერეტენიკოვმა და იესიპოვმა ვარჯიში არ ისურვეს აქაოდა ახლადგასრულებულმა ჩემპიონატმა ძლიერ დაგვღალა, ცოტა დასვენება გვჭირდებაო. დადგება თუ არა ნეაპოლში აპენინელთათვის ის ავადსახსენებელი მეათასე შემთხვევა არავინ უწყის, თუმცა ერთი რამ ცხადია, რომ რუსების ოცკაციანი არმია ამის მოსახდენად იბრძოლებს: მეკარეები — სერგეი ოვჩინიკოვი (ბენფიკა), სტანისლავ ჩერჩესოვი (ტიროლი); მცველები — დმიტრი ხლესტოვი (სპარტაკი), იური ნიკიფოროვი (სპორტინგ ხიხონი), იგორ ჩუგაინოვი, ანდრეი სოლომატინი (ლოკომოტივი), ვიქტორ ონოპკო (ოვიედო), იური კოვტუნი (დინამო), დმიტრი პოპოვი (კომპოსტელა); ნახევარმცველები — ვალერი იესიპოვი, ოლეგ ვერეტენიკოვი (როტორი), დმიტრი ალეინიჩევი, ანდრეი ტიხონოვი, იგორ ტიტოვი (სპარტაკი), დმიტრი ხოხლოვი (ტორპედო), იგორ იანოვსკი (ალანია), ვლადისლავ რადიმოვი (სარაგოსა), სერგეი სემაკი (ცსკა); თავდამსხმელები — იგორ კოლივანოვი (ბოლონია), სერგეი იურანი (ბოხუმი), ვლადიმერ ბესჩასტნიხი (სანტანდერი), იგორ სიმუტენკოვი (რეჯანა).

უკრაინა

გახსოვთ 70-80-იანი წლები? ვინც ფეხბურთში ჩახედულია, მათ კარგად უწყიან, რომ საბჭოთა კავშირის ნაკრების ბირთვს, ძირითად ძალას ამ დროს კიევის „დინამო“ წარმოადგენდა, ხოლო ზოგჯერ ისეც მომხდარა კიევის „დინამო“ უცვლელი შემადგენლობით რომელიმე ნაკრებს შეპაექრებია. ამას ხშირ შემთხვევაში წარმატება არ მოჰქონდა, მაგრამ მაინც კიეველები კლუბშიც იყვნენ და ნაკრებშიც. ახლაც, თავისუფალი და სუვერენული უკრაინის ნაკრებში უმეტესი ფეხბურთელები კვლავ კიევის „დინამოდან“ არიან. შეიძლება ითქვას, უკრაინული ფეხბურთი კიევის „დინამოზე“ დგას.

როგორია 19 კაციან გუნდში 12(!) ერთი კლუბიდან იყოს? ასე რომ, დინამოელებს თავიანთი კლუბის და გაცილებით მნიშვნელოვანი — ქვეყნის ღირსების დაცვაც უწევთ.

თუ ამ სეზონის მიხედვით ვიმსჯელებთ, ფეხბურთელები თავიანთი კლუბის სახელს ზედ დაჰკანკალებენ. ნაკრებს კი ზოგჯერ ჩავარდნები აქვს. ზაგრების მატჩის წინ „დინამომ“ „ბარსელონა“ 3:0 გაანადგურა, მაგრამ ხორვატიაში რამდენიმე ფეხბურთელით გაძლიერებული „დინამო“, რომელიც ამჯერად ნაკრების სახელს ატარებდა, 0:2 დამარცხდა. ამაშიც იყო კანონზომიერება. დამეთანხმებით, ნაკრები და კლუბი ძლიერ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, შეიძლება ითქვას, სხვადასხვა განზომილებისანი არიან. ამჯერად, დღევანდელი მატჩის წინ „დინამომ“ კვლავ შეარცხვინა „ბარსელონა“, ოღონდ სტუმრად,

თან უფრო დიდი ანგარიშით. თუ ცრურწმენას მივყვებით, კიევში უკრაინამ უნდა წააგოს, მაგრამ ეს ალბათ ნაკლებ სავარაუდოა. თანაც, თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ გუნდს პირველ შეხვედრაში დისკვალიფიცირებული დინამოელები — „კამპ ნოუზე“ კატალონიელთა სამჯერ დამლახვრელი ანდრეი შევჩენკო და ნახევარმცველი იური კალიტვინცევი დაუბრუნდნენ, ნათელი გახდება, რომ ხორვატებს შინ 2:0 მოგება მშვიდად ყოფნის საშუალებას არ მისცემს. ნაკრების მწვრთნელს იოზეფ საბოს ამ ორის შემატება, ცხადია, გაახარებდა, მაგრამ საპასუხო მატჩისათვის მზადების პერიოდში მან ორი მოთამაშე მოისაკლისა — იური მაქსიმოვი კიევში დისკვალიფიკაციის გამო ვერ ითამაშებს, სერგეი ნაგორნიაკს კი ამ დღეებში დოპინგ-კონტროლზე ჩაფლავება ამცნეს. პირველ მატჩში მე-60 წუთზე შეცვლილი ნაგორნიაკი აკრძალულ ნივთიერებებზე შეამოწმეს და აღმოჩნდა, რომ ფეხბურთელს სტიმულატორი „ბრომანტანი“ მიეღო. ჯერ მსოფლიოს თასის ორგანიზაციის კომიტეტმა, მოგვიანებით კი უკრაინის ფეხბურთის ფედერაციამ ნაგორნიაკი ორი წლის ვადით მოკვეთეს ფეხბურთიდან. ისე, ამ მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ფიფამ 19-ჯერ შეამოწმა ფეხბურთელები და პირველი ვინც დოპინგ-კონტროლზე ჩავარდა ნაგორნიაკი გამოდგა. სხვათაშორის, რაც 1994 წელს, აშშ-ი მარადონა მოკვეთეს მას შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონატთან დაკავშირებულ მატჩებში ნაგორნიაკამდე დოპინგ-კონტროლზე არავინ გამოუჭერიათ. ფედერაციის პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა ვიქტორ ბანიკომა განაცხადა, ფიფაში აპელაციის შეტანას არ ვაპირებთ, დოპინგ-კონტროლის შედეგები სიმართლედ მიგვაჩნიაო. მანვე განაცხადა, რაც შეეხება ნაგორნიაკს, იგი, ცხადია, გარკვეული ვადით დისკვალიფიცირებული იქნება, მაგრამ მისი შემდგომი სანაკრებო კარიერა ჩვენი კი არა, საბოს ხელშიაო. მოკლედ, სერგეი ნაგორნიაკი ორი წელი, 1999 წლის 31 დეკემბრამდე ვერ ითამაშებს. გუშინ, თითქოს ორი მოთამაშის დაკარგვა არ ეყოფოდაო და ვარჯიშზე, დნეპროპეტროვსკის „დნეპრის“ ტრავმირებული თავდამსხმლის, ივან გეცკოს თამაშიც გამოირიცხა — იგი ნაკრების ექიმებმა სახლში გააგზავნეს. მიუხედავად სამი ფეხბურთელის დაკლებისა, საბო იმედს არ კარგავს — „ხორვატებს პირველივე წუთებიდან უნდა შევუტიოთ. ჩვენი მიზანი მეტოქის შეცდომების აზრიანად გამოყენებაა, ცხადია თავად რაიმე გაუთვალისწინებელი არ უნდა მოგვივიდეს.“ უკრაინის ნაკრებს რაც შეეხება, იგი ასეთი შემადგენლობით ემზადება: მეკარეები — ალექსანდრ შავკოვსკი (დინამო), ილია ბლიჟნიკი (დნეპრი); მცველები — ვლადისლავ ვაშჩუკი, ოლეგ ლუჟნი; ალექსანდრ გალოვკო, სერგეი ბეჟენარი, იური დმიტრულინი (დინამო), მიხაილ სტაროსტიაკი (შახტიორი), ვიქტორ სკრიპნიკი (ვერდერი); ნახევარმცველები —იური კალიტვინცევი, ანდრეი გუსინი, დმიტრი მიხაილენკო, ვიტალი კოსოვსკი (დინამო), სერგეი პოპოვი (ზენიტი), ვალერი კრივენცოვი (შახტიორი), დმიტრი პარფიონოვი (დნეპრი). თავდამსხმელები — ანდრეი შევჩენკო, სერგეი რებროვი (დინამო).

ხორვატია

დღევანდელ შეხვედრას ხორვატიაში თავიანთ საფეხბურთო ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვან მატჩად მიიჩნევენ. 2:0 მოგება პირველ შეხვედრაში იცოცხლე, კარგია, მაგრამ არც იმის დავიწყება ივარგებს, რომ საპასუხო შეხვედრაში მეტოქეებს ორბურთიანი სხვაობიდან კი არა, უფრო მეტიდანაც დაუძვრენიათ თავი. ასე რომ, კიევის სტუმრებს სულაც არა აქვთ თავი ქუდში. პირველი თამაშის შემდეგ მოყოლებული უკრაინის ნაკრებშიც და ხორვატებშიც უამრავი ცვლილება მოხდა, მაგრამ დანაკარგების მხრივ ექს-იუგოსლაველები უფრო დაზარალდნენ. ბელგრადში გამარჯვებას ნაკრების მცველები სლავენ ბილიჩი და მარიო სტანიჩი შეეწირნენ. ისინი დისკვალიფიცირებულნი არიან და დღეს გუნდს ვერაფრით დაეხმარებიან. გარდა ამისა, სათუოა ნახევარმცველების — ზვონიმირ სოლდოს, ზვონიმირ ბობანის და რობერტ იარნის, ასევე ალენ ბოქშიჩის თამაშიც. ესენი ნაკრებში კი არიან, მაგრამ ყველას ტრავმები აწუხებს. მოკლედ, არაა გამორიცხული, ხორვატებმა ერთობ შესუსტებული შემადგენლობით ითამაშონ. ესლა აკლდათ და ხუთშაბათს საბოლოოდ გადაწყდა, რომ გამოცდილი რობერტ პროსინეჩკი გუნდს უკრაინაში ვერ გაჰყვებოდა. მან მარცხენა ფეხის კუნთი დაიზიანა, ნაკრების მწვრთნელმა მიროსლავ ბლაჟევიჩმა კი ტრავმის გართულების შიშით ფეხბურთელი შინ გაგზავნა. ისე, პროსინეჩკის თამაში პირველი შეხვედრის წინაც სათუო იყო, მაგრამ მაშინ რობერტმა შეძლო, ახლა კი იგივე აღარ განმეორდება. „სამწუხაროდ, ჩვენ პროსინეჩკიც დავკარგეთ. ცხადია, იგი ნაკრებისთვის დიდი ძალა იყო, მაგრამ ამით არაფერი დასრულებულა. მიუხედავად რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელის ტრავმისა, ჩვენ საგზურის დაუფლებას შევეცდებით. ძნელი მატჩი იქნება, არავინ არაფერს დათმობს. მე თუ მკითხავთ, ეს მატჩი უფრო მნიშვნელოვანია ვიდრემსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში ბრაზილიასთან თამაში. ბრძოლა რომ შეგვიძლია, ეს მარტო ფეხბურთში არ დაგვიმტკიცებია. მე მწამს, რომ ნაკრები საფრანგეთში წავა!“ — სწორედ ასეთ ამაღლებულ ნოტზე დაასრულა ბლაჟევიჩმა ხორვატიის ყველაზე პოპულარულ გაზეთ „ვეჩერნი ლისტისთვის“ მიცემული ინტერვიუ. მთავარმა მწვრთნელმა ტრავმირებულთა შემცვლელებად უმალ ახალ მოთამაშეებს უხმო. ნაკრების ისედაც ზაგრების „კროაციულ“ დაცვას მან კიდევ ერთი დამირ კრჟნარი შემატა, იმ მოტივით, რომ კლუბში შეთამაშებულნი ნაკრებშიც კარგად გაუგებენ ერთმანეთს. ასევე მოგვიანებით დაიმატა მან სტეპან ტომასი, რომელსაც ხორვატიაში ბილიჩის მემკვიდრედ მიიჩნევენ.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ხორვატები უკრაინაში ზაგრებში მოპოვებული უპირატესობის შესანარჩუნებლად კი არა, მეტოქის საკუთარ მოედანზე დასამარცხებლად მიდიან, ხოლო თუ თამაშით მასპინძლებმა იძალეს და სტუმართათვის საქმეს ცუდი პირი გამოუჩნდება, მაშინ ხორვატები, თუ მწვრთნელს ვენდობით, არც ბრძოლაზე იტყვიან უარს. რა მოხდება დღეს კიევში, არავინ იცის. ბლაჟევიჩის გუნდი კი ასეთია: მეკარეები — დრაჟენ ლადიჩი (კროაცია), ტონჩი გაბრიჩი (ჰაიდუკი), მარიან მრმიჩი (ბეშიქთაში); მცველები —რობერტ იარნი (ბეტისი), გორან ჯურიჩი, დარიო სიმიჩი, სტეპან ტომასი, დამირ კრჟნარი, დანიელ სარიჩი (კროაცია), ნიკოლა იერკანი (რაპიდი), ნიკო კოვაჩი (ლევერკუზენი), იგორ ტუდორი (ჰაიდუკი); ნახევარმცველები — ზვონიმირ ბობანი (მილანი), ზვონიმირ სოლდო (შტუტგარტი). კრასიმირ ჯურჩიჩი (კროაცია), ალიოშა ასანოვიჩი (დერბი), ივან იურიჩი (სევილია); თავდამსხმელები —დავორ შუკერი (რეალი), ალენ ბოქშიჩი (ლაციო), გორან ვლაოვიჩი (ვალენსია), იგორ ცვიტანოვიჩი (კროაცია), ნიკოლა იურჩევიჩი (ზალცბურგი)

ბელგია

ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში „წითელმა ეშმაკუნებმა“ ზედიზედ ხუთი მატჩი მოიგეს და ნაადრევად გაინაღდეს ამერიკის საგზური, მაგრამ ამჯერად ჯგუფის ერთპიროვნულ ლიდერად ქცეულ ჰოლანდიას დიდი წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს და ფლეი-ოფებს დასჯერდნენ. ნაკრების მწვრთნელმა ჟორჟ ლიკენსმა სავარაუდო შემადგენლობა ჯერ კიდევ კვირას დაასახელა, მაგრამ მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა და რამდენიმე ფეხბურთელიც „თან გაიყოლა“. ჯერ კიდევ შეკრებამდე გაცხადდა, რომ ნახევარმცველები — „ლიერსის“ ერიკ ვან მეიერი და „ბრიუგეს“ ლორენცო სტაალენსი ირლანდიელებს ვერ დახვდებოდნენ. პირველმა ჩემპიონთა ლიგის მატჩში, ფრანგული „მონაკოს“ წინააღმდეგ მუხლის ტრავმა მიიღო და დაახლოებით თვენახევარი ველარ ითამაშებს, ვეტერანი სტაალენსი კი საზარდულმა შეაწუხა. მოგვიანებით, როცა ლიკენსმა ნაკრებში მოხვედრილთა ვინაობა ამცნო ქვეყანას, გუნდმა მეტად გამოცდილი, „ანდერლეხტის“ ვეტერანი ენცო შიფო მოისაკლისა, რომელმაც საწვრთნელ მატჩში მარჯვენა ფეხის კუნთი გაიწყვიტა. ერთი დღის შემდეგ კი ბელგიელებმა მორიგი დანაკლისი განიცადეს — ეს მცველი ბარტ დე რუვერია. თითქოს ეს არ კმაროდა, იმავე დღეს, საღამოს ვარჯიშზე კოჭი იღრძო ნიკ ვან კერკჰოვენმა, ოთხშაბათს კი უეფას თასის მფლობელი მარკ ვილმოტსიც დაშავდა, მაგრამ იგი ირლანდიელების წინააღმდეგ ალბათ, ითამაშებს. ამდენი ფეხბურთელის დაკარგვა ნებისმიერ მწვრთნელს ააღელვებდა და ამიტომაც იყო, ბელგიელთა თავკაცმა მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრის შანსები 50X50-ზე რომ შეაფასა.

ერთი სიტყვით, ბელგიელთა ტრავმები ირლანდიელთათვის სწორედ რომ მისწრებაა, მაგრამ იმარჯვებენ თუ არა ისინი, ამას შაბათს შევიტყობთ. მანამდე კი ბელგიელთა მატჩებზეც ვთქვათ. გუნდს დაუბრუნდა პირველი შეხვედრიდან დისკვალიფიცირებული, „ფიორენტინას“ გაბელგიელებული ბრაზილიელი ლუის ოლივეირა. კვლავ ნაკრებში არიან გლენ დე ბეკი და ფილიპ ლიონარდი, სულ ბოლოს კი გუნდს შეუერთდა ანდერლეხტელი ოლივერ დოლი, რომელიც აჩიკო არველაძის ტრავმირებულ თანაკლუბელის, „ბრედას“ ბარტ დე რუვერის ნაცვლადაა.

მოკლედ, მიუხედავად დუბლინური ზავისა, შეიძლება ითქვას, რომ მეტოქეთა შანსები თანაბარია. ახლა კი ბელგიელთა იმ შემადგენლობას გაგაცნობთ, დღეს ბრიუსელის „მეფე ბაუდინის“ სტადიონზე ირლანდიელებთან სათამაშოდ რომ ემზადება: მეკარეები — ფილიპ დე ვილდე (სპორტინგი), ფილიპ ვანდე ვალე (ლიერსი); მცველები — ვიტალ ბორკელმანსი (სპორტინგი), ერიკ დეფლენდრე (ბრიუგე), ოლივერ დოლი, გლენ დე ბეკი (ანდერლეხტი), რეჯის ჟენო (უდინეზე), ფილიპ ლიონარდი (მონაკო), მაიკ ვერსტრატენი (ეკერენი), გორან ვიდოვიჩი (მუსკრონი); ნახევარმცველები — დენი ბოფინი (მეცი), გერტ კლაესენსი, ფრანკი ვან დერ ელსტი, გერტ ვერხეინი (ბრიუგი), ნიკო ვან კერკჰოვენი (ლიერსი); თავდამსხმელები — ლუკ ნილისი (ეინდჰოვენი), ლუის ოლივეირა (ფიორენტინა) მიხაელ გუსენსი (შალკე 04).

ირლანდია

90-იან წლებში ირლანდია მსოფლიოს ჩემპიონატის მუდმივი მონაწილე იყო, რაც უდაოდ ინგლისელი მწვრთნელის ჯეკი ჩარლტონის დამსახურებაა. ფეხბურთელობაში დიდად არაფრით გამორჩეულმა, ბრწყინვალე ბობი ჩარლტონის ძმამ მწვრთნელობისას უფრო გაითქვა სახელი, მაგრამ დროის უწყვეტ დინებას ცვლილებებიც თან მოაქვს. მსოფლიოს მეთექვსმეტე ჩემპიონატის შემდეგ ჯეკი ჩარლტონი ირლანდიის ნაკრებს ჩამოშორდა, რასაც გუნდის წარმატებების გაიშვიათება მოჰყვა. მისმა მემკვიდრემ მიკ მაკგართიმ ნაკრებს გარკვეულწილად კი შეუნარჩუნა ჩარლტონისეული ხელწერა, მაგრამ ნათელია, რომ ირლანდია ის აღარაა, რაც ოთხი-ხუთი წლის წინ იყო. ბრიტანეთის იმპერიასთან მუდამ მოქიშპე ირლანდია ადრინდელთან შედარებით დასუსტდა, თუმცა, არც იმ დონეზე დაჩაჩანაკებულა, მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშის უფლების მოსაპოვებლად ველარ იბრძოლოს. ირლანდიელთა ჯგუფში თავიდანვე რუმინეთი გაიჭრა წინ. სწორედ ამის გამო მოხვდა ირლანდია ფლეიოფში, სადაც წილისყრამ სხვებთან შედარებით მისაღები მეტოქე არგუნა — ბელგია. დუბლინში ფრედ 1:1 დამთავრებული შეხვედრა უფრო ბელგიელებს რომ გაუხარდათ, ეს საეჭვო არაა, მაგრამ მთლად იმედდაკარგულნი არც ირლანდიელები დარჩენილან. გუნდის თავკაცმა მიკ მაკგართიმ განაცხადა, ჩვენთან ფრე ბელგიელებისთვის უფრო ცუდია, რადგან მათ ბრიუსელში აუცილებლად უნდა მოიგონ, ეს კი უეჭველი სულაც არაა. „ჩვენ ჩვენსას ვეცდებით, რა გამოვა, ამას ენახავთ, მაგრამ ერთი რამ ცხადია, იმედი იოტისოდენადაც არ დაგვიკარგავს“ — განაცხადა მან. ისე, ირლანდიელებმა ვერ იქნა და სტაბილური შემადგენლობით ვერ ივარჯიშეს. საბელგიოდ გუნდს ალბათ დააკლდება 35 წლის ვეტერანი რეი ჰაუთონი, რომელმაც რამდენიმე ვარჯიში გააცდინა აქილევსის მყესის ტრავმის გამო. მან ტრავმა ზუსტად ერთი კვირის წინ „სტოკპორტთან“ 1:0 მოგებულ მატჩში მიიღო. ბელგიელებთან ვერ ითამაშებენ, აგრეთვე „მანჩესტერ იუნაიტედის“ კაპიტანი როი კინი, რომლის არყოფნა კარგა ხნით ადრე იყო ცნობილი და ამავე კლუბის მცველი დენის ირვინ:. ტრავმები აწუხებთ „ევერტონის“ მცველ ფილანს და „ტრანმერის“ თავდამსხმელ კელისაც. მოკლედ, ირლანდიის ნაკრები ლამის ლაზარეთს დაემსგავსა, მაგრამ მაკგართის გასახარად, გუნდს შეუერთდა „ფეიენოორდის“ თავდამსხმელი დევიდ კონოლი, რომელმაც მართალია „მანჩესტერ იუნაიტედთან ჩემპიონთა ლიგის წაგებული მატჩი გამოტოვა,

ჰოლანდიის ჩემპიონატზე „ვოლენდამთან“ 5:1 მოგებული მატჩში ითამაშა.

პრედრაგ მიატოვიჩი გულშემატკივარს გოლებს დაპირდა

იუგოსლავია

პირველ მატჩში მასპინძლები არ დაინდეს, საპასუხო შეხვედრას ფორმალური სახე მისცეს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იუგოსლავია ალბათ კვლავ დიდი ანგარიშით გაიმარჯვებს. ძნელია იმის თქმა, ბუდაპეშტში მიღწეულს გუნდი ბელგრადში გადააჭარბებს თუ არა, მაგრამ ერთი რამ ცხადია — უნგრეთის დაუძლურებული და უფანტაზიო გუნდი იუგოსლავიის საკმაოდ ძლიერი ფეხბურთელებით სავსე ნაკრების მძლეველი არ არის. ასე რომ, ამ შეხვედრაში გამარჯვებას და თან რეაწლიანი შესვენების შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრას ალბათ იუგოსლავიელები იზეიმებენ, რაც, დამეთანხმებით, მათზე ალალია.

კონკრეტულად გუნდს რაც შეეხება, ნაკრების მწვრთნელი სლობოდან ზანტრაჩი ძლიერ დააფიქრა ესპანეთში მოთამაშე იუგოსლავიელთა ბედმა. ამ კვირაში ესპანეთში ტურის მატჩებია, კლუბებს კი ფეხბურთელთა ნაკრებში გაშვება არ უნდოდათ. მიზეზად ბუდაპეშტში 7:1 მოგებულ მატჩს ასახელებდნენ, მაგრამ ზანტრაჩმა იმდენი ქნა, პირინეის ნაპირებზე მობურთალი ყველა სასურველი ფეხბურთელი შეკრებაზე ჩამოიყვანა. „რამდენიმე გუნდმა მოთამაშეთა განთავისუფლებაზე უარი განმიცხადა, მაგრამ არ დავთანხმდი. ორი მატჩის ჯამში გამარჯვება გავინაღდეთ, მაგრამ, ვფიქრობ, ნაკრებისთვის აჯობებს, ყველა წამყვანი ფეხბურთელით ვითამაშოთ. ბოლოს და ბოლოს, წინ მსოფლიოს ჩემპიონატი გველის. ტურნირამდე დარჩენილი დრო რაც შეიძლება ნაყოფიერად უნდა გამოვიყენოთ. დღესდღეობით იუგოსლავია ევროპის საფეხბურთო ელიტას არ განეკუთვნება, მაგრამ მერწმუნეთ, თუ ძალებს არ დავზოგავთ და არ ვიზარმაცებთ, ჩვენი ნაკრები მარტო ჩვენს კონტინენტზე კი არა, მსოფლიოშიც ერთ-ერთი უძლიერესი იქნება“ — განაცხადა ზანტრაჩმა. სხვათა შორის, არ იყო გამორიცხული, მწვრთნელს იტალიაში მოთამაშე იუგოსლავიელებზეც ჰქონოდა პრობლემები, მაგრამ რადგან თავად აპენინელებს აქვთ სათამაშო შესარჩევი მატჩი, იქ ტური გადაიდო და ფეხბურთელებიც ავტომატურად განთავისუფლდნენ.

მოკლედ, იუგოსლავია მეტოქეს უძლიერესი შემადგენლობით დახვედრას აპირებდა, მაგრამ გუშინ ლაციოელი ვლადიმირ იუგოვიჩის თამაში სათუო გახდა. ერთი პირობა ნაკრების ძირითად მეკარეს ივიცა კრალს ჩამოწერა ემუქრებოდა, მაგრამ მუცლის ტკივილმა გაუარა და მანაც ვარჯიში განაახლა. რაც შეეხება დღევანდელ მატჩს, თუ სამეფო გუნდის — „რეალის“ თავდამსხმელს პრედრაგ მიატოვიჩს დავუჯერებთ, მასპინძლები უნგრეთს იგივეს უპირებენ, რაც ბუდაპეშტში დამართეს. თავად მიატოვიჩი კი გოლის, თან არა ერთის, გატანაზე ფიქრობს.

გუნდი: მეკარეები — ივიცა კრალი (პარტიზანი), [illegible] მარნოკი), ალექსანდრ კოჩიჩი (პერუჯა); მცველები — რისტო ვიდაკოვიჩი, ალბერტ ნადი (ბეტისი), ზორან მირკოვიჩი (ატალანტა), სინიშა მიხაილოვიჩი (სამპდორია), მიროსლავ ჯუკიჩი (ვალენსია), გორან ჯოროვიჩი (სელტა), ბრანკო ბრნოვიჩი (ესპანიოლი), ნიშა სავლიჩი (ბორდო); ნახევარმცველები — სლავიშა იოკანოვიჩი (ტენერიფე), ვლადიმირ იუგოვიჩი (ლაციო), დრაგან სტოიკოვიჩი (ნაგოია გრამპუს ეითი), ზელიკო პეტროვიჩი (ეინდჰოვენი), ლუბინკო დრულოვიჩი (პორტუ), დეიან გოვედარიცა (ლეჩე), დეიან სტანკოვიჩი (ცრვენა ზვეზდა); თავდამსხმელები — დეიან სავიჩევიჩი (მილანი), პრედრაგ მიატოვიჩი (რეალი), სავო მილოშევიჩი (ასტონ ვილა). ზორან იოკიჩიჩი (ცრვენა ზვეზდა).

უნგრეთი

ორი კვირის წინ ბუდაპეშტში მასპინძლები იუგოსლავიამ 7:1 გაანადგურა და საპასუხო მატჩს აზრი დაუკარგა. ასეთი წაგება უნგრელებმა [illegible]ოლოს 88 წლის წინ ინგლისთან იწვნიე[illegible]. მას შემდეგ მათ შინ ამ ანგარიშით [illegible]ედი არავისთვის მოუხრიათ, მაგრამ დადგა ჟამი და...იუგოსლავია რომ კარგი ნაკრებია, ამას დიდი ბჭობა არ უნდა, მაგრამ მეტოქეს ასე თუ დაჯაბნიდა, ძნე[illegible]ი წარმოსადგენი იყ[illegible]. რაც უნდა კარგი გუნდი იყოს, შვიდ გოლს შეგდება უნდა. მოკლედ, უნგრელთა ოცნება, გაისად საფრანგეთში მსოფლიოს ჩემპიონატზე ეთამაშათ, ორი კვირის წინ უკვალოდ გაქრა. მაგრამ რადგან თავიდანვე ორი შესარჩევი მატჩის გამართვა იყო დათქმული, დამარცხებულებმაც ბელგრადის შეხვედრისთვის იწყეს მზადება.

გუნდის მწვრთნელმა იანოშ ცანკმა გაითვალისწინა ნაწვნევი მარცხი და ნაკრების რამდენიმე წამყვან ფეხბურთელს თავის საქმეში ხელი აღარ შეუშალა, გუნდში არ დაუძახა. ისინი ახალწვეულებით შეცვალა. დღეს, ბელგრადში მყოფი უნგრეთის ნაკრები, პირველ შეხვედრაში ძლეული გუნდისგან მინიმუმ ხუთი ახალი მოთამაშით განსხვავდება. ამათგან ყველაზე მნიშვნელოვანია ნაკრების ძირითადი მეკარის შაბოლც შაფარის და თავდამსხმელის ლასლო კლაუშის არყოფნა. ორივე ავსტრიულ კლუბებში თამაშობენ და რადგან ჩემპიონატში მეტად მნიშვნელოვანი მატჩები ჰქონდათ, ცანკმა მათ გამოძახებაზე თავი შეიკავა. ასევე არ არიან ბელგიურ „აალსტში“ მოთამაშე იანოშ ბანფი და ბუდაპეშტის მტკ-ს მცველი ემილ ლორინცი, რომელთაც ტრავმები აწუხებთ. „ფერენცვაროშის“ ნახევარმცველის ერიკ ნილაშის არყოფნას კი სრულიად სხვა მიზეზები აქვს — იგი ისრაელს გაფრინდა თელ ავივის „მაკაბისთან“ კონტრაქტის გასაფორმებლად. ზემოჩამოთვლილთა სანაცვლოდ ცანკმა ნაკრებში დააბრუნა ატილა დრაგონერი, ატილა კუტორი და ზოლტან გერეში, რომელთაც პირველი მატჩი არ უთამაშიათ. რაც შეეხება მეკარის პრობლემას, ცანკი შაფარის შემცვლელს ალბათ გაბორ ბაბოშიდან და ზოლტან ვეგიდან აარჩევს. ისინი ნაკრებში ძალზე იშვიათად თამაშობენ, მაგრამ რადგან გუნდის მეორე მეკარე ბუდაპეშტის „უპეშტის“ კარის დარაჯი ლაიოშ შუცი გერმანიის „კაიზერსლაუტერნთან“ აგვარებს სატრანსფერო საკითხებს, მათაც ქვეყნის ღირსების დაცვისკენ გზა გაეხსნათ.

უნგრეთის ნაკრები იუგოსლავიას ასეთი შემადგენლობით ეწვია: მეკარეები — გაბორ ბაბოში (მტკ), ზოლტან ვეგი (ვაშაში); მცველები — მიხაილ მრაჩკო (გიორ ეტო), ატილა დრაგონერი (ფერენცვაროში), ატილა კუტორი (მტკ), ვილმოშ სებოკი (უპეშტი), ზოლტან გერეში (ვაშაში); ნახევარმცველები — ფლორიან ურბანი (ანდერლეხტი), ტიბორ დომბი (დებრეცენი), ანდრაშ კერესტური (სლოვანი), ზოლტან შლეზაკი (უპეშტი), პალ ლაკოში (გიორ ეტო), პეტერ ლიპჩეი (ფერენცვაროში), ბელა ილეში, გაბორ ჰალმაი (მტკ); თავდამსხმელები — ფერენც ოროში (მტკ), ზოლტან კოვაჩი (უპეშტი), ფერენც ხორვატი (ფერენცვაროში), ფერენც ამორი (ვაშაში).

ლაშა გოდუაძე

მშვიდი ინგლისის სამზადისი

„მანჩესტერ იუნაიტედის" თავდამსხმელი ტედი შერინგემი სამშაბათს სკამზე ჩამომჯდარი უცქერდა თავისი ქვეყნის ეროვნული გუნდის ვარჯიშს. იმ დღეს ინგლისელები პირველად შეიკრიბნენ მას მერე, რაც 11 ოქტომბერს იტალიის დედაქალაქში „სკუადრა აძურასთან" ფრე 0:0 ითამაშეს და საგაისოდ, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მონაწილეობის უფლება მიიღეს. შაბათს გლენ ჰოდლის გუნდი „უემბლიზე" კამერუნს ეთამაშება. მას სანერვიულო არაფერი აქვს, გულდამშვიდებით ემზადება ივნისისთვის.

31 წლის შერინგემს უბრძანეს ნაკრების ბანაკში უნდა გამოცხადდეო, არადა მისი კლუბის „მანჩესტერ იუნაიტედის" მწვრთნელი ალექს ფერგიუსონი ყოველმხრივ ცდილობდა თავისი მუხლნატკენი ფორვარდი „სამშობლოს სამსახურისთვის" აერიდებინა. ამის შესახებ ფერგიუსონმა კვირა საღამოს ჰოდლს საგანგებოდ დაურეკა კიდეც და კარგა ხანს ელაპარაკა. მიუხედავად მანჩესტერელი ბოსის თხოვნისა, ჰოდლმა თავისი გაიტანა და შერინგემი შეკრებაზე დაიბარა.

თავდამსხმელი, რომელმაც კვირას „არსენალის" კარში ორი გოლი გაიტანა („იუნაიტედმა" ლონდონში 2:3 წააგო) ინგლისურ ბანაკში კი გამოცხადდა, მაგრამ ერთი იმ ხუთთაგან იყო, ვისაც არ უვარჯიშია. მიუხედავად ჟურნალისტების ცდისა კომენტარი დაეტყუებინათ შერინგემისთვის, ფეხბურთელმა სამარისებურ სიჩუმეს არ გადაუხვია. მასავით უმოქმედოდ ისხდნენ „არსენალის" ტონი ადამსი და შერინგემის თანაკლუბელებლი ნიკი ბათი, გარი ნევილი და გაცივებული პოლ სქოულზი.

ეროვნული გუნდის შეკრებაზე პირველადაა „ნიუკასლ იუნაიტედის" მცველი სტივ უოტსონი, რომელიც ბოლო წამს გამოიძახეს. წესითა და რიგით მის ნაცვლად კიდევ ერთ მანჩესტერელს გარი პალისტერს უნდა ევარჯიშა, მაგრამ პალისტერმა ზურგი იტკინა.

მოგვიანებით ინგლისელთაბანაკს მცველი ტონი ადამსი საბოლოოდ გამოაკლდა. 31 წლის არსენალელს, მოგეხსენებათ, მარჯვენა ფეხის კოჭზე ოპერაცია გაუკეთეს, რის გამოც ექვსი კვირა ისვენებდა. ახლა თითქოს უკვე მწყობრში იყო დაბრუნებული, მაგრამ ექიმებმა კიდევ შვიდი დღით დასვენება ურჩიეს. ტრავმებით გაწვალებულ ადამსზე ახლა იმასაც კი ამბობენ, კაცმა არ იცის მსოფლიოს ჩემპიონატისთვის შეძლებს თუ ვერა კარგი ფორმის აღდგენასო.

— გვსურს ადამსი რაც შეიძლება სწრაფად დავიბრუნოთ — განაცხადა ჰოდლმა.

სხვათა შორის ადამსს მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე არასდროს უთამაშია. 1990 წელს ინგლისელთა მწვრთნელმა ბობი რობსონმა იგი იტალიაში არ წაიყვანა, 1994-ში კი ინგლისელები მსოფლიოს პირველობის ბოლო ეტაპზე ვერ მოხვდნენ.

ტრავმის გამო ვერ ითამაშებს „მანჩესტერ იუნაიტედის" მცველი გარი ნევილიც.

ინგლისის ნაკრების ფეხბურთელთა სრული სია ასეთია: მეკარეები — დევიდ სიმენი (არსენალი), იან უოქერი (ტოტენჰემ ჰოთსპური), ნაიჯელ მარტინი (ლიდს იუნაიტედი); მცველები — გარეთ საუთგეიტი (ასტონ ვილა), სოლ კემპბელი (ტოტენჰემ ჰოთსპური), ენდი ჰინჩკლიფი (ევერტონი), ფილიპ ნევილი (მანჩესტერ იუნაიტედი), რიო ფერდინანდი (ვესტ ჰემი); ნახევარმცველები — დევიდ ბექჰემი (მანჩესტერ იუნაიტედი), პოლ გესქოინი (გლაზგო რეინჯერსი, შოტლანდია), პოლ ინსი (ლივერპული), დევიდ ბეტი (ნიუკასლ იუნაიტედი), რობერტ ლი (ნიუკასლ იუნაიტედი), პოლ სქოულზი (მანჩესტერ იუნაიტედი); პოლ მერსონი (მიდლსბრო), სტივ მაკმანამანი (ლივერპული), ნიკი ბათი (მანჩესტერ იუნაიტედი); თავდამსხმელები — ტედი შერინგემი (მანჩესტერ იუნაიტედი), რობი ფაულერი (ლივერპული), იან რაიტი (არსენალი), ენდი კოული (მანჩესტერ იუნაიტედი), კრის სატონი (ბლექბერნ როვერსი).

საიდანღაც მოსული გერმანელები

გერმანელთა ბუნდესმწვრთნელმა ბერტი ფოგტსმა ექსპერიმენტს მიმართა. დიუსელდორფში სამხრეთ აფრიკელებთან დაგეგმილ ამხანაგურ შეხვედრაში მონაწილეობის მისაღებად მან არ მიიწვია რამდენიმე მქუხარე სახელის მქონე ფეხბურთელი, სამაგიეროდ კი ისეთი დაიბარა, რომელთაც სანაკრებო დონეზე თამაშის დიდი გამოცდილება არა აქვთ.

გერმანიის ეროვნული გუნდის განაცხადში ყველაზე მეტად ოლივერ ნიუვილის და მარკო რემერის გვარების გამოჩენამ გააოცა საზოგადოება. ვინ არიან ისინი? ისინი გახლავან ყოფილი გდრ-ის ქალაქ როსტოკის გუნდის „ჰანზას" ფეხბურთელები რომელთა ვინაობა არათუ საზღვარგარეთ, საკუთრივ გერმანიაშიც კი ბევრისთვის უცნობი გახლავთ. კიდევ, უჩვეულოთა შორის არიან დორტმუნდის „ბორუსიის" ცნობილ მეკარე შტეფან კლოსი, „შალკეს" ლიბერო თომას ლინკე, მიუნხენის „ბაიერნის" მოთამაშე დიტერ ჰამანი და „მიუნხენ 1860"-ის წევრი იენს იერემიესი.

— მინდა ჩვენი გუნდის მუდმივი წევრებიდან რამდენიმე შევაფუცხუნო, თანაც ახალგაზრდებს მივცე შანსი — განაცხადა ფოგტსმა, რომელმაც მართალია შესარჩევ ჯგუფში ნაკრები პირველ ადგილზე გაიყვანა, მაგრამ რალაც-რალაცეებით უკმაყოფილოც დარჩა. სახელდობრ, ბოლო თამაშში, რომელმაც გადაწყვეტა კიდეც გერმანელების საფრანგეთში გამგზავრების ბედი, გუნდმა ალბანეთთან 4:3 გაიმარჯვა. ასეთი შედეგით ბუნდესმწვრთნელი მთლად კმაყოფილი არ უნდა დარჩენილიყო.

— გაცილებით მეტია ისეთი ფეხბურთელი, რომელსაც შესწევს ნაკრებში თამაშის უნარი, მე კი შესარჩევ ტურნირში ჩატარებული მატჩებით დიდად კმაყოფილი სულაც არ დავრჩენილვარ. ალბანეთის ნაკრებთან შეხვედრაში გაშვებულ გოლებს რა დამავიწყებს — თქვა ნაკრების თავკაცმა.

ფოგტსი ერთობ გალიზიანებულია იმით, რომ შეკრების პირველ დღეს, მის განკარგულებაში არ იყვნენ მიუნხენის „ბაიერნის" ფეხბურთელები. ისინი მონაწილეობდნენ კლუბის სპონსორის მიერ მოწყობილ შეხვედრაში ლიპშტადტის „ბორუსიას" წინააღმდეგ. თურმე სპონსორს მოუთხოვია თითოეულ მათგანს 45 წუთი მაინც ეთამაშა, სპონსორის განაწყენება კი აბა სად გაგონილა.

დავუბრუნდეთ ნიუვილს. ამ ფეხბურთელის სადაურობით გერმანიაში საგანგებოდ დაინტერესდნენ. აღმოჩნდა, რომ ნიუვილი, რომელმაც ბუნდესლიგაში პირველი შეხვედრა სულ ახლახანს, 27 სექტემბერს ჩაატარა, წარმოშობით შვეიცარიელი ყოფილა და ჯიბეში გერმანულის გარდა იტალიური პასპორტიც სდებია. იგი თურმე კარგად ლაპარაკობს ესპანურად და ფრანგულად, გერმანული კი ისე ცუდად იცის, რომ ცოდნაც არ ქვია. ნიუვილის დედა იტალიელი ყოფილა, მამა კი ქალაქ აჰენის მკვიდრი, ქალაქისა, რომელიც გერმანიის, ჰოლანდიისა და ბელგიის საზღვართან მდებარეობს. კიდევ: როსტოკის გუნდში იგი ესპანური „ტენერიფედან" მივიდა.

საიდან სადაო? გერმანიის საფეხბურთო კავშირმა დაადგინა, რომ ნიუვილს შეუძლია მისი ქვეყნის ნაკრებში ითამაშოს, ბერტი ფოგტსი კი ჯერ კიდევ ესპანეთში აგზავნიდა სკაუტებს შვეიცარიელ-იტალიელ-გერმანელს თამაშის სანახავად?

— მას შეუძლია მოწინააღმდეგის კარისკენ უმოკლესი გზა გამონახოს და მეკარესთან იოლად რჩება პირისპირ. გარდა ამისა, იგი ჩვენი ფორვარდებისგან განსხვავებით სულ სხვა ყაიდის ფეხბურთს თამაშობს — დაახასიათა ნიუვილი ფოგტსმა.

სამხრეთ აფრიკასთან შეხვედრას ტრავმის გამო გამოსტოვებენ დორტმუნდელები მათიას ზამერი და იურგენ კოლერი, გენუის „სამპდორიაში" მოთამაშე იურგენ კლინსმანი კოჭის ტრავმის მოშუშების შემდეგ მოედანს დაუბრუნდა და ნაკრებში გამოიძახეს კიდეც.

რაც შეეხებათ სამხრეთაფრიკელებს, მათ შესაძლოა დიუსელდორფში ერთობ შესუსტებული შემადგენლობა ჩაიყვანონ. გერმანიაში გავრცელებულ ცნობათა თანახმად, იმის გამო, რომ შიდა ჩემპიონატში მნიშვნელოვანი მატჩების პერიოდია, აფრიკელებს ექვსი წამყვანი ფეხბურთელი არ ეყოლებათ.

თითქოს ყველაფერი რომ დალაგდა, გერმანელთა ბანაკში ტრავმებმა იჩინა თავი. დორტმუნდელმა ანდრეას მიოლერმა და „ბაიერნის" მარკუს ბაბელმა წვთრნისას ფეხი იტკინეს და დიუსელდორფიდან მიუნხენის კლინიკას მიაშურეს. ეჭვქეშაა ოლაფ ტონის ჯანმრთელობაც. „შალკეს" მცველმა მსუბუქი ვარჯიშიღა შეძლო. თუ ტონი სამხრეთაფრიკელებთან სათამაშოდ მზად არ იქნება, მის ადგილს მოედანზე ალბათ „ბაიერნის" თომას ჰელმერი დაიკავებს.

გერმანელთა ბანაკში ვარჯიშობენ: მეკარეები — ანდრეას კეპკე (მარსელი, საფრანგეთი), ოლივერ კანი (ბაიერნი), შტეფან კლოსი (დორტმუნდი).

მცველები — მარკუს ბაბელი (ბაიერნი), თომას ჰელმერი (ბაიერნი), თომას ლინკე (შალკე), მარკო რემერი (ჰანზა), შტეფან როიტერი (დორტმუნდი), ოლაფ ტონი (შალკე), კრისტიან ვიორნსი (ლევერკუზენი).

ნახევარმცველები — მარიო ბასლერი (ბაიერნი), დიტერ ჰამანი (ბაიერნი), მიხაელ ტარნატი (ბაიერნი), თომას ჰესლერი (კარლსრუე), იორგ ჰაინრიხი (დორტმუნდი), ანდრეას მიოლერი (დორტმუნდი), იენს იერემიესი (მიუნხენ 1860), დარიუშ ვოში (ბოხუმი), კრისტიან ციგე (მილანი, იტალია).

თავდამსხმელები — ოლივერ ბირჰოფი (უდინეზე, იტალია), ფრედი ბობიჩი (შტუტგარტი), ულფ კირსტენი (ლევერკუზენი), იურგენ კლინსმანი (სამპდორია, იტალია), ოლაფ მარშალი (კაიზერსლაუტერნი), ოლივერ ნიუვილი (როსტოკი).

ორი ოცისაც არ არის

რუმინეთის ნაკრების მწვრთნელმა ანგელ იორდანესკუმ ოთხშაბათს, ესპანეთის ნაკრებთან ამხანაგური მატჩის სათამაშოდ გამოიძახა ოთხი ისეთი ფეხბურთელი, რომელთაც ეროვნულ გუნდში ადრე არასდროს უთამაშიათ. ამ ოთხეულიდან ორი ოცი წლისაც არ არის.

— ჩვენ თავის გამოჩენის შანსს მივცემთ ალან სტოიჩას („ანდერლეხტი") და კატალინ მუნტიანუს („სტიაუა"). მერე რა, რომ ისინი ძალიან ახალგაზრდები არიან, თუ ნაკრებს მოერგნენ, ითამაშებენ კიდეც — განაცხადა იორდანესკუმ.

სტოიჩა 18 წლისაა, მუნტიანუ 17-ის. მუნტიანუმ თავი უეფას თასის ბოლო მატჩში გამოიჩინა. როდესაც „სტიაუას" შემადგენლობაში ფრანგულ „ბასტიას" ორი გოლი გაუტანა.

კიდევ ორი ახალწვეული გახლავთ ბუქარესტის „დინამოს" ნახევარმცველი მიჰაი ტარარაჩე და ბუქარესტისავე „რაპიდის" წევრი ლუჩან მარინესკუ.

თურქულ „გალათასარაიში" მოთამაშე თავდამსხმელი ადრიან ილიე კუნთის დაჭიმვის გამო ვერ მიიღებს ოთხშაბათის მატჩში მონაწილეობას.

ესპანეთში რუმინელები ასეთი შემადგენლობით ჩავლენ: მეკარეები — ბოგდან სტელეა (მალიორკა, ესპანეთი), დუმიტრ სტინგაჩუ (ქოჯაელისფორი, თურქეთი). მცველები: დან პეტრესკუ (ჩელსი, ინგლისი), დანიელ პროდანი (ატლეტიკო, ესპანეთი), ანტონ დობოში (აეკ, საბერძნეთი), ლივიუ ჩიბოტარიუ (ნაციონალი), იულიან ფილიპესკუ (გალათასარაი, თურქეთი), კრისტიან ძულჩა (რაპიდი), ტიბორ სელიმეში (ანდერლეხტი, ბელგია) ნახევარმცველები: გეორგ ჰაჯი, გეორგ პოპესკუ (გალათასარაი), მიჰაი ტარარაჩე (დინამო), კონსტანტინ გალჩა (ესპანიოლი, ესპანეთი), გაბი პოპესკუ (უნივერსიტატეა), ალინ სტოიჩა (ანდერლეხტი, ბელგია), კატალინ მუნტიანუ (სტიაუა), ოვიდიუ სტინგა (ეინდჰოვენი, ჰოლანდია) თავდამსხმელები — მარიუს ლაკატუში (სტიაუა), ვიორელ მოლდოვანი (გრასჰოპერი, შვეიცარია), გეორგ კრაიოვიანუ (სოსიედადი, ესპანეთი), ლუჩიან მარინესკუ (რაპიდი)

ამხანაგური მატჩები

ბრაზილია 3:0 უელსი

1:0 ზინიო (32), 2:0 რივალდო (37), 3:0 როდრიგო (50)

ამ გუნდების ბოლო შეხვედრა 1991 წელს უელსელებმა მოიგეს, ახლა კი ბრაზილია გამოდგა უფრო ძლიერი. მსოფლიოს ჩემპიონები მთელი თამაშის განმავლობაში ფლობდნენ უპირატესობას.

აღსანიშნავია რივალდოსა და როდრიგოს მიერ საჯარიმო დარტყმით გატანილი ულამაზესი გოლები. როდრიგოსთვის ეს პირველი გოლი იყო ნაკრებში.

— ჩვენ შვიდი საგოლე მომენტი გავუშვით ხელიდან და ჯარიმების დარტყმის გაკვეთილი მივიღეთ — თქვა მატჩის შემდეგ უელსელთა მწვრთნელმა ბობი გულდმა.

— გვსურდა ბრიტანულ გუნდთან თამაშის გამოცდილება მიგვეღო და მივიღეთ კიდეც. ჩვენს კართან უამრავი მაღალი პასი შესრულდა — განაცხადა ბრაზილიელთა თავკაცმა მარიო ზაგალომ.

საფრანგეთი 2:1 შოტლანდია

1:0 ლაილი (35), 1:1 დიური (36), 2:1 ჯორკაეფი (78პ)

შიპშენკსის გაავების მიზეზი

ინგლისური ფეხბურთის ბოსებმა ორი დღე ჩივილსა და მხარდაჭერის ძიებაში გაატარეს და როგორც ყველა, ვისაც უეფას წინააღმდეგ გალაშქრება სურს, ისინიც ბრიუსელში იყვნენ და ევროკომისიის წევრებს დახმარებას სთხოვდნენ. შველა სთხოვეს ბრიტანელ პარლამენტარებსაც.

პოლიტიკოსებთან ვოიაჟის შემდეგ ინგლისელთა დელეგაციის ხელმძღვანელმა დევიდ შიპშენკსმა, რომელიც ქვეყნის საფეხბურთო ლიგის თავმჯდომარედ მუშაობს, პრეს-კონფერენცია მოაწყო.

— ჩვენ ორი დღის განმავლობაში გვამხნევებდნენ — განაცხადა შიპშენკსმა — მხარდაჭერა გაგვეზარდა და საკითხის გაცილებით გაფართოებასაც ვაპირებთ. ჩვენი ჩივილის მიზეზი უეფას უპატიოსნო გადაწყვეტილება გახლავთ, რომლის თანახმადაც ინგლისის ლიგის თასის მფლობელს უეფას თასზე აღარ უშვებენ. მიზნად დასახული გვაქვს ევროპული ფეხბურთის ხელმძღვანელები ვაიძულოთ დაუყოვნებლივ გადათქვან თავიანთი განკარგულება და ჩვენი ქვეყნის ლიგის თასის ახალი მფლობელი უეფას თასის შემდგომ გათამაშებაშივე ჩართონ. ამით მივაღწევთ იმ ერთიანობას, რომელიც უნდა ჰქონდეთ ჩვენს სპონსორებს, კლუბებს და გულშემატკივრებს.

დავის საკითხი მართლაც ძალიან საინტერესოა. მოგეხსენებათ უეფას თასის გათამაშება უეფასია და მარტივად რომ ვთქვათ, მასში მონაწილეობის უფლებას ვისაც უნდა იმას დართავს, ინგლისელები კი ამის წინააღმდეგ ილაშქრებენ. დიახ, მათი ქვეყნის ლიგის თასის მფლობელი მონაწილეობდა ამ თასის გათამაშებაში, მაგრამ ახლა, როდესაც უეფა ცდილობს თავისი წევრი ქვეყნების უმაღლეს ლიგებში გუნდების რაოდენობა შეძლებისდაგვარად გაათანაბროს და მასზე დაფუძნებული ევროშეჯიბრებების ერთიანი სისტემა შემოიღოს, მან ლიგის თასებს მნიშვნელობა დაუკნინა. ამან ინგლისის საფეხბურთო ლიგის მოხელეები შეაშფოთა, რადგან ისედაც გადატვირთული კალენდრისთვის ფუჭი თამაშების ჩამოსაშორებლად რიგმა წამყვანმა გუნდებმა ლიგის თასის შეხვედრებში მეორე შემადგენლობები გაიყვანეს და წააგეს. ასე მოიქცნენ მაგალითად „არსენალი" და „მანჩესტერ იუნაიტედი". არადა ალბიონზე საფეხბურთო ლიგას დიდ შეჯიბრებათაგან ამ ერთის ჩატარება ევალებოდა, რადგან პრემიერლიგა მას არ ეკუთვნის. ახლა გამოდის, რომ შიპშენკსს და მის კოლეგებს პრესტიჟული შეჯიბრება აღარ დარჩათ და ამ აწ უკვე ლოკალური მნიშვნელობის თასის გარდა პირველი, მეორე და მესამე დივიზიონის პირველობათა გამართვაღა ეკისრებათ ეს, თავის მხრივ უფულობას ნიშნავს.

მარსელო სალასის შეჩერება მალე ევროპელ მცველთა თავსატეხადაც იქცევა

ვაჭრობა დასასრულს უახლოვდება

„მანჩესტერ იუნაიტედმა" ხელახლა გაუგზავნა არგენტინულ „რივერ პლეიტს" წერილი, თქვენთან მოთამაშე ჩილელი თავდამსხმელი მარსელო სალასის შეძენა გვსურს და მასში 30 მილიონ დოლარს გადაგიხდითო.

როგორც ყოველდღიური გაზეთი „კლარინი" იუწყება ამჯერად საქმეს შედეგიანი პირი უჩანს და მანჩესტერელთა თავმჯდომარე მარტინ ედვარდსი, მომავალ კვირაში, ალბათ გაემგზავრება კიდეც ბუენოს აირესს საიდანაც სალასთან ერთად დაბრუნდება.

როგორც ცნობილია, ინგლისის ჩემპიონი აგერ უკვე მერამდენე თვეა ჩილელი ფორვარდის ხელში ჩაგდებას ცდილობს, მაგრამ მოლაპარაკება მუდამ ჩიხს აწყდებოდა. ახლა კი, მას მერე რაც „რივერ პლეიტის" პრეზიდენტმა ალფრედო დავიცემ განაცხადა ინგლისელთა ადრინდელი წინადადება, 15 მილიონი დოლარი უარვყავით, თუმცა სალასის მიყიდვაზე უარს არ ვეუბნებით, ბრიტანელებს იმედი გაუძლიერდათ.

„მანჩესტერ იუნაიტედს" სალასის ყიდვაში ეჯიბრებოდნენ ესპანური „დეპორტივო", იტალიური „ლაციო" და „ინტერი" თუმცა ამ სამეულიდან ცნობილი მხოლოდ ის თანხა იყო, რომელსაც „დეპორტივო" იხდიდა — 23 მილიონი დოლარი.

22 წლის სალასი მსოფლიოს ერთ-ერთ უნიჭიერეს ახალგაზრდადაა მიჩნეული, რომელმაც როგორც კლუბში, ასევე ნაკრებში თამაშით ერთობ გაითქვა სახელი.

სტატუს-ქვო გერმანულად

ფიფამ დაადგინა: გერმანიის საფეხბურთო კავშირი სწორად არ მოიქცა, როდესაც „მიუნხენ 1860"-ისა და „კარლსრუეს" თამაში ხელახლა დანიშნა. მისი წესის თანახმად მსაჯის ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელსაც მატჩის შედეგზე გავლენა აქვს, მათ შორის გოლის ჩათვლა-არჩათვლა, საბოლოოა და გადათამაშების საბაბს არ იძლევა.

არადა გერმანიის საფეხბურთო კავშირმა უკვე უარჰყო „კარლსრუეს" პროტესტი და განაცხადა, მატჩი, რომელიც 5 აგვისტოს გაიმართა და 2:2 დასრულდა, უნდა გადათამაშდესო.

ასეთი არეულობის მიზეზი გახლდათ ის, რომ იმ, 5 აგვისტოს შეხვედრას „1860" იგებდა 2:1. მატჩის დამთავრებამდე სამი წუთი რჩებოდა, როდესაც „კარლსრუეს" ფეხბურთელმა შონ დანდიმ გოლი შეაგდო. გოლი კი თითქოს უწესოდ არ გასულა, მაგრამ საქმე ისაა, რომ არბიტრს უკვე დასტვენილი ჰქონდა. მას ჯარიმის დანიშვნა სურდა, მაგრამ რომ დაინახა ბურთი ბადეში შევარდაო, თავდაპირველი ჩასტვენილი გადათქვა და ცენტრისკენ მიუთითა. ამით აღშფოთებულმა „1860"-მა იჩივლა და გადათამაშების ვერდიქტსაც მიაღწია, მაგრამ...

გერმანიის საფეხბურთო კავშირს ბოლო წლებში უკვე მოუხდა ფიფას წესების საწინააღმდეგოდ წასვლა, რამაც მსოფლიო ფეხბურთის გამგებლები გაალიზიანა და ახლა მკაცრად შეუთვალეს ურჩებს, ჭკუით მოიქეცით, თორემ შესაძლოა თქვენმა ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატი ვერ ნახოსო.

— გერმანიის საფეხბურთო კავშირმა მიიღო ფიფას განკარგულება, რომ „მიუნხენ 1860"-ისა და „კარლსრუეს" შეხვედრა არ უნდა გადათამაშდეს — განაცხადა კავშირის პრეს-მდივანმა მიხაელ ნოვაკმა.

ეს იმას ნიშნავს, რომ ცხრილში დარჩება ძველი ანგარიში — 2:2.

— გადაწყვეტილება მსაჯების სასარგებლო გამოდგა, რადგან მათი მიუკერძოებლობა ფეხბურთისთვის ძალიან მნიშვნელოვანია — თქვა „კარლსრუეს" მწვრთნელმა ვინფრედ შეფერმა. — მსაჯის გადაწყვეტილება ხელშეუხებელია და ამიტომ ფიფას ვერდიქტი ყველასთვის სასარგებლოდ მიმაჩნია.

— სხვა რა გზაა, გადაწყვეტილებას უნდა დავემორჩილოთ — დაიჩივლა 1860-ის სპორტულმა დირექტორმა ედგარ გენემ.

აღსანიშნავია, რომ „ფიფა ნიუსის" ბოლო გამოცემაში ხაზგასმით წერია, რომ მართლაც ხშირია შემთხვევა, როდესაც მსაჯის გადაწყვეტილება სინამდვილეს არ შეეფერება და საამისოდ მსოფლიო ფეხბურთის მმართველი ორგანო ფეხბურთის საერთაშორისო კომიტეტს, რომელიც ოთხი ბრიტანული ფედერაციისა და თავად ფიფასგან შედგება, სთხოვს შეიმუშაოს ახალი მითითებანი, რომლებიც ეროვნულ ფედერაციებს დაურიგდებათ. ზემოხსენებული კომიტეტი ჩვეულებრივ ყოველ წელიწადს იკრიბება, მის მიერ მიღებული ახალი წესები კი ძალაში 1 ივნისიდან შედის.

«კოლხამაც» მოიგო

ვერის ბაღი
საქართველოს მე-7 ჩემპიონატი
13 ნოემბერი

კოლხა 105:80 მერანი

კოლხა: ბერიშვილი (8), აქირთავა (9), კეიდია (8), ძიძიგური (15), ცქიტიშვილი (14); კვაჭაძე (22), ქარუმიძე (11), უგრეხელიძე (16), ვაშაკიძე (2)

მერანი: მარხვაშვილი (20), ჩაჩუა (3), მჭედლიშვილი (10), ჩავლეიშვილი (25), ღვინიაშვილი (6); ღარიბაშვილი (3), გოცაძე (3), სანიკიძე (9), ბარბაქაძე, მთვარაძე (1)

კოლხელებმა პირველად გაიმარჯვეს ჩემპიონატში, თუმცა „მერანი" პირველ ნახევარში საკმაოდ გაუძალიანდა სოხუმელებს — 44:48 წააგო.

თსუ 110:96 სტუ

თსუ: ჟღენტი (2), წოწელია (12), ბაბიაშვილი (14), ცხვედიანი (21), ნიჟარაძე (10); გელაშვილი (12), არსიაშვილი (3), კიკაბიძე (8), ნიკოლაძე (14), ქარჩავა (2), მარკოიშვილი (12)

სტუ: ი. ბერიშვილი (28), გიგაშვილი (6), სპარსიაშვილი (24), ნოზაძე (8), ხარაძე (6); ჩაჩუა (2), ბათხაძე (3), სუხიშვილი (12), ლასარეიშვილი (4)

დიდი ხუთეულიდან ოთხმა დაამთავრა პირველი წრე, მხოლოდ თსუ განაგრძობს ასპარეზობას და თავის წილ ქულებს იღებს. ტექნიკურ უნივერსიტეტთან შეხვედრაშიც მატჩის ბედი პირველივე ტაიმში გადაწყდა, რომელიც თსუ-მ თოთხმეტი ქულით მოიგო 63:49.

ასკ 88:68 დინამო 2

ასკ: ქართველიშვილი (11), დ. მოისწრაფიშვილი (8), მინაშვილი (30), ჭყონია 1(4), ჩხაიძე (12); პაპასკირი (5), თაბუაშვილი (18)

დინამო 2: ვეფხვაძე (13), მშვილდაძე (7), უჩუმბეგაშვილი (26), მეგრელიშვილი (2), მანველიშვილი (12); გრძელიშვილი, ხეცურიანი (8), სიხარულიძე, ფსუტური

შევარდენი 92:71 რიონი

შევარდენი: გაგნიძე (14), ორჯონიკიძე (17), მაჭავარიანი (18), კაზანჯიანი (24), ღვინეფაძე (8); ჩარგეიშვილი (11), სურმავა, ცაგარეიშვილი

რიონი: წერეთელი (8), ჭეიშვილი (28), ჩიკვაშვილი (8), ჯალაღონია (16), შანიძე (1); ბერეკაშვილი (10), შალიკიანი

ქუთაისელებმა პირველი წრის მეორე ტურში აშკარად უმეტეს თამაშს და უფრო გამოცდილ შევარდენელებს პირველი ტაიმი მოუგეს კიდეც. მაგრამ მეორეში ყველაფერი თავის ადგილზე დადგა.

14 ნოემბერი

დინამო 2 88:68 მერანი

დინამო 2: გრძელიშვილი (9), ხეცურიანი (2), მეგრელიშვილი (2), ფსუტური (5), მანველიშვილი (6); ვეფხვაძე (17), მშვილდაძე (15), უჩუმბეგაშვილი (20), სიხარულიძე (12), ზასაშვილი

მერანი: მარხვაშვილი (9), მჭედლიშვილი (5), ჩავლეიშვილი (21), ჩაჩუა (8), ღვინიაშვილი (13); გოცაძე, სანიკიძე, მთვარაძე

თსუ 104:93 კოლხა

თსუ: ჟღენტი (28), წოწელია (21), ცხვედიანი (23), ბაბიაშვილი (23), ნიჟარაძე (3); გელაშვილი, არსიაშვილი, კიკაბიძე, ნიკოლაძე (2)

კოლხა: აბულაძე (28), ვაშაკიძე (2), ქარუმიძე (4), კვაჭაძე (20), ცქიტიშვილი (16); ბერიშვილი (7), უგრეხელიძე (14), ქვილითაია (2)

სტუ 92:75 რიონი

სტუ: დ. ბერიშვილი (17), ი. ბერიშვილი (6), ნოზაძე (12), გიგაშვილი (3), ხარაძე (11); სპარსიაშვილი (5), ენდელაძე (5), ლომიძე (2), ჩაჩუა, სუხიშვილი (21), ბათხაძე (3)

რიონი: წერეთელი (15), ჭეიშვილი (20), ჯალაღონია (10), შანიძე, ჩიკვაშვილი (15); ღიბრაძე, შალიკიანი (2), ჩიხლაძე (4), დარახველიძე (1), ცერცვაძე

მაკაბი 105:92 შევარდენი

დამატებით დროში

მაკაბი: ხუხაშვილი (26), იაშვილი (18), ანდღულაძე (21), ტალაბაძე (18), ფერიაშვილი (13); ახალკაცი (9)

შევარდენი: გაგნიძე (1), ორჯონიკიძე (15), კაზანჯიანი (35), მაჭავარიანი (12), ღვინეფაძე (6); ისაკაძე (7), ჩარგეიშვილი (1—), ესიტაშვილი (2), ცაგარეიშვილი (2)

ეს იყო ძალზე დაძაბული მატჩი. მეტოქეები მონაცვლეობით გადიოდნენ წინ. პირველ ტაიმში შევარდენელთა ლიდერმა — მაჭავარიანმა ცხვერი გაიტეხა და მატჩის გაგრძელება ვერ შეძლო. ამან, რა თქმა უნდა, თავისი კვალი დააჩნია შევარდენელთა თამაშს. პირველი ტაიმი „მაკაბიმ" სამი ქულით მოიგო 46:43.

მეორე ნახევრის შუაში მაკაბელებმა ტემპს უმატეს და ერთი ხანობა ცხრა ქულითაც დაწინაურდნენ, მაგრამ ამ დროს კარგად ითამაშეს ორჯონიკიძემ და კაზანჯიანმა და სამი წუთით ადრე ორჯონიკიძემ უკვე „შევარდენი" გაიყვანა წინ. კაზანჯიანის სამქულიანის შემდეგ ანგარიში 83:80 გახდა „შევარდენის" სასარგებლოდ, მატჩის დამთავრებას კი წუთნახევარიღა უკლდა. აქ ჩინებულად ითამაშა ხუხაშვილმა, რომელმაც თანაგუნდელთა იერიშები დაალაგა და „მაკაბიმ" კვლავ გაათანაბრა ანგარიში. ბოლო წუთზე ჩარგეიშვილმა ვერ გამოიყენა მატჩის მოგების შესაძლებლობა და ძირითადი დროც ფრედ დასრულდა 88:88.

„შევარდენი" სამქულიანების გუნდია. ამ დღესაც მათ 18 სამქულიანი ჩააგდეს (მარტო კაზანჯიანმა 11). დამატებით დროში ამით სურდათ მატჩის ბედის გადაწყვეტა მაგრამ უშედეგოდ. მაკაბელებმა უფრო გონივრულად ითამაშეს და დამატებით დროში მათი უპირატესობა აშკარა იყო.

კოტე მგალობლიშვილი

დღეს ითამაშებენ:
12.00 მერანი — შევარდენი
13.45 თსუ — დინამო 2
15.30 ასკ — კოლხა

სკამებზე სიარული არ შეიძლება!

უკვე მოზრდილ, 20-21 წლის ადამიანს ასეთი რამ ვინმემ ოჯახში რომ უთხრას, შეურაცხყოფად მიიღებს — ველური ხომ არა გგონივართო. ვერის ბაღში, კეკელიძის სახელობის დარბაზში საქართველოს ჩემპიონატის მაყურებლებისთვის და მონაწილეთათვის (მოთამაშეებიც დადიან სკამებზე თამაშიდან თავისუფალ დროს), რა გასაკვირიც უნდა იყოს, ასეთი შეგონება-უპრიანია. შეიძლება ეს თვითდამკვიდრების ახალი ფორმა იყოს, მაგრამ, საეჭვოა, ვინმემ ცხოვრებაში თავი სხვისი (ზოგჯერ თავისიც კი) ტანსაცმლის გაჭუჭყიანებით დაიმკვიდროს. ნუ ილით, ბატონებო, სკამებზე, მზესუმზირის კნაწუნსა და დარბაზში სიგარეტის მოწევაზე რომ არაფერი ვთქვათ!

ჩიკაგო ისევ შერცხვა

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

გოლდენ სტ. 71:102 დეტროიტი

გოლდენ სტეიტი: სპრიუელი (14), სმიტი (14)
დეტროიტი: ჰანტერი (22), უილიამსი (19), ჰილი (13 + 13 პასი)

ორლანდო 89:115 საკრამენტო

ორლანდო: სტრონგი (17 + 15 მოხსნა)
საკრამენტო: რიჩმონდი (25), აბდულრაუფი (20)

იუტა 98:80 ვანკუვერი

იუტა: მელოუნი (26), ჰორნაჩეკი (19)
ვანკუვერი: რივზი (15)



ლეიკერსი — სან ანტონიო. გიგანტთა ომი — შაკილ ონილი და დევიდ რობინსონი

ფინიქსი 103:95 მილუოკი

ფინიქსი: ჩეპმენი (21), მაკდაიესი (21), კიდი (16 + 13 მოხსნა + 8 პასი)
მილუოკი: რობინსონი (31)

ჩიკაგო 83:90 ვაშინგტონი

„ბულზმა" ისევ შინ წააგო. ჩიკაგოელ გულშემატკივრებს გული ამჯერად ვაშინგტონელმა თავდამსხმელებმა ჰოვარდმა (18 ქულა) და უებერმა (17 ქულა) დაუკოდეს. ამ მატჩმა კიდევ ერთხელ დაარწმუნა ყველა, რომ ჩიკაგო სკოტი პიპენის გარეშე არ არის ის გუნდი, რომელსაც სეზონში 72-ჯერ შეუძლია მეტოქეთა გამწარება. ჯორდანი, რა თქმა უნდა, დიდია, მაგრამ ეულს რომ ბევრი არ ძალუძს, ამ ერთხელაც გამოჩნდა. თავად განსაჯეთ: ჯორდანმა 28 ქულა კი დააგროვა, მაგრამ მისი 28 სროლიდან მხოლოდ ათმა მიაღწია მიზანს. ასევე აღსანიშნავია ჯორდანის და საერთოდ ჩიკაგოს უსუსური თამაში დაცვაში. ჩიკაგომ ბოლო მეოთხედი 14-25 დათმო, ეს კი ასეთი დონის გუნდს არ ეპატიება. „ჩიკაგო ბულზის" ბოსებს ალბათ დაფიქრება მართებთ, თუ პიპენის გაყიდვა დააპირეს — მეექვსედ ჩემპიონობას საეჭვოობა დაეტყო.

ტორონტო 70:93 ნიუ იორკი

ტორონტო: უოლესი (13)
ნიუ იორკი: ჯონსონი (27), იუინგი (17)

ბოსტონი 96:86 დენვერი

ბოსტონი: უოლკერი (19 + 12 მოხსნა), ნაითი (17)
დენვერი: ბეტი (14), გარეტი (11 + 13 მოხსნა)

ჰიუსტონი 100:114 ფილადელფია

წააგო ოქროს ბეჭდის კიდევ ერთმა მაძიებელმა. წააგო შინ იმ გუნდთან, რომლისთვისაც ეს მოგება სეზონში პირველია ზედიზედ ხუთი მარცხის შემდეგ. მასპინძლებისათვის საკმარისი არ აღმოჩნდა ბებრების — დრექსლერის (23 ქულა) და ბარკლის (19 ქულა) მონდომება. არადა, პირველ ნახევარში ჰიუსტონისთვის ცუდს არა მოასწავებდა რა. რაკეტებისთვის ცა მეოთხე მეოთხედში მოიქუფრა და მალე ზუსტი ტყორცნების წვიმა წამოვიდა. ფილადელფიელებმა მრისხანე მეტოქე სასტიკად დაჩაგრეს და საბოლოოდ მეოთხედი 31-14 მოიგეს. შეუჩერებელი იყო მათი ლიდერი ალენ აივერსონი (26 ქულა, 15 პასი). კვლავ ჩააფლავა მატჩი ოლაჯუონმა, რომელმაც 14 ქულის გაკეთებას 42 წუთი მოანდომა. „ეს იყო ჩვენი საუკეთესო თამაში" — თქვა გამარჯვებულთა გახარებულმა მწვრთნელმა ლარი ბრაუნმა.

ინდიანა 86:89 ატლანტა

ატლანტა იგებს და იგებს, მისი გამჩერებული გუნდი ჯერ არ ჩანს. ამ ჯერზე მისი მსხვერპლი ლარი ბიორდის ინდიანა აღმოჩნდა. ბრძოლა თითქოს თანაბარი იყო, მაგრამ ატლანტელებმა ფარქვეშ ივარგეს და [illegible] მუტომბოს დამსახურება (26 ქულა, 15 მოხსნა). მაგრამ ატლანტას ინდიანა ძალიან შორს არ გაუშვია. მესამე მეოთხედი 65:65 დასრულდა. დაძაბული იყო ბოლო თორმეტი წუთიც, მაგრამ ინდიანა რეჯი მილერის მეექვსე ჯარიმამ გატეხა, ბოლო წუთები კი სტივ სმიტისა (21 ქულა) და მუკი ბეილოკისა (18 ქულა, 9 პასი, 6 ჩაჭრა) იყო. სტივ სმიტმა თამაშის ბოლოს 5 ქულა გააკეთა, რითაც ატლანტას სტარტზე სარეკორდოდ, ზედიზედ მერვედ გაამარჯვებინა.

13 ნოემბერი

კლიპერსი 94:102 მილუოკი

კლიპერსი: მიურეი (28), როჯერსი (18)
მილუოკი: რობინსონი (32), ალენი (23)

სიეტლი 94:89 დეტროიტი

სიეტლი: პეიტონი (25 + 9 პასი + 9 მოხსნა), ბეიკერი (24 + 12 მოხსნა)
დეტროიტი: ჰილი (20 + 12 მოხსნა)

მინესოტა 88:91 ვაშინგტონი

ოვერტაიმში

მინესოტა: მარბერი (26 + 10 პასი), გარნეტი (20 + 20 მოხსნა)
ვაშინგტონი: უებერი (22 + 17 მოხსნა), სტრიკლენდი (21 + 8 პასი)

ვაშინგტონს როდ სტრიკლენდმა გაამარჯვებინა: ოვერტაიმში ვიზარდსის 9 ქულიდან 6 მის ანგარიშზეა.

ნიუ ჯერსი 72:85 კლივლენდი

ნიუ ჯერსი: კასელი (32), უილიამსი (13 + 26 მოხსნა)
კლივლენდი: პერსონი (20), ილგაუსკასი (20)

დალასი 98:99 ფილადელფია

დალასი: ბრედლი (20 + 13 მოხსნა), ფინლი (18)
ფილადელფია: აივერსონი (31), კოულმენი (25 + 14 მოხსნა), სტეკჰაუზი (21)

სან ანტონიო 100:109 ლეიკერსი

სან ანტონიო: რობინსონი (27 + 14 მოხსნა + 6 პასი), დანკანი (19 + 13 მოხსნა)
ლეიკერსი: ონილი (34 + 15 მოხსნა), ჯონსი (26)

ირაკლი ფირაშვილი



ჯორდანს არაფერი გამოსდის

აღმოსავლეთის კონფერენცია

ატლანტიკის დივიზიონი

მაიამი	5	2	71,4
ნიუ ჯერსი	4	2	66,7
ნიუ იორკი	5	3	62,5
ვაშინგტონი	4	4	50,0
ორლანდო	3	3	50,0
ფილადელფია	2	5	28,6
ბოსტონი	2	5	28,6

ცენტრალური დივიზიონი

ატლანტა	8	0	100,0
მილუოკი	5	2	71,4
შარლოტი	4	2	66,7
კლივლენდი	4	3	57,1
ჩიკაგო	4	4	50,0
დეტროიტი	3	6	33,0
ინდიანა	2	5	28,6
ტორონტო	1	6	14,3

დასავლეთის კონფერენცია

შუა დასავლეთის დივიზიონი

სან ანტონიო	6	2	75,0
მინესოტა	4	3	57,1
ჰიუსტონი	3	3	50,0
იუტა	3	4	42,9
დალასი	3	4	42,9
ვანკუვერი	3	5	37,5
დენვერი	0	6	—

წყნარი ოკეანის დივიზიონი

ლეიკერსი	6	0	100,0
პორტლენდი	5	1	83,3
ფინიქსი	4	1	80,0
სიეტლი	6	2	65,0
საკრამენტო	2	5	28,6
კლიპერსი	1	6	14,3
გოლდენ სტეიტი	0	7	—

ევროლიგა

A ჯგუფი

ცსკა (მოსკოვი, რუსეთი) — ოლიმპიაკოსი (პირეოსი, საბერძნეთი) 77:58, რეალი (მადრიდი, ესპანეთი) — მაკაბი (თელ ავივი, ისრაელი) 68:76, ეფეს პილზენი (სტამბოლი, თურქეთი) — ლიმოჟი (საფრანგეთი) 65:64

ოლიმპიაკოსი	7	6	1	509:485	13
ეფეს პილზენი	7	4	3	499:469	11
ცსკა	7	4	3	548:528	11
მაკაბი	7	3	4	523:529	10
რეალი	7	2	5	556:571	9
ლიმოჟი	7	2	5	464:512	9

B ჯგუფი

პორტუ (პორტუგალია) — ბენეტონი (ტრევიზო, იტალია) 84:91, პაოკი (სალონიკი, საბერძნეთი) — სპლიტი (ხორვატია) 89:60, ესტუდიანტესი (მადრიდი, ესპანეთი) — ტელეკომი (ანკარა, თურქეთი) 71:73

ბენეტონი	7	6	1	548:480	13
პაოკი	7	5	2	564:477	12
ესტუდიანტესი	7	4	3	520:538	11
ტელეკომი	7	4	3	512:498	11
სპლიტი	7	2	5	480:525	9
პორტუ	7	0	7	481:590	7

C ჯგუფი

პარტიზანი (ბელგრადი, იუგოსლავია) — ბარსელონა (ესპანეთი) 106:110, ულკერ გენჩლიკი (სტამბოლი, თურქეთი) — ჰაპოელი (იერუსალიმი, ისრაელი) 74:56, პოორტეზი (საფრანგეთი) — კინდერი (ბოლონია, იტალია) 65:67

კინდერი	7	6	1	548:468	13
ბარსელონა	7	5	2	594:467	12
პარტიზანი	7	4	3	590:571	11
ულკერი	7	3	4	512:536	10
პოორტეზი	7	2	5	509:537	9
ჰაპოელი	7	1	6	460:538	8

D ჯგუფი

პარიზი (საფრანგეთი) — ალბა (ბერლინი, გერმანია) 55:53, ტიმსისტემი (ბოლონია, იტალია) — ციბონა (ზაგრები, ხორვატია) 77:75, აეკი (ათენი, საბერძნეთი) — ოლიმპია (ლიუბლიანა, სლოვენია) 74:65

ტიმსისტემი	7	5	2	559:552	12
ალბა	7	4	3	530:492	11
აეკი	7	4	3	473:469	11
ოლიმპია	7	3	4	506:508	10
პარიზი	7	3	4	470:464	10
ციბონა	7	2	5	505:520	9

ევროპის თასი

A ჯგუფი

ოდესა (უკრაინა) — რაბოტნიჩკი (სკოპიე, მაკედონია) 78:63, ხუვენტუდი (ბადალონა, ესპანეთი) — პლუნგე (ლიტვა) 112:79, ტობასი (ბურსა, თურქეთი) — ტოპო (ჰელსინკი, ფინეთი) 84:73

ხუვენტუდი	7	7	0	638:543	14
ოდესა	7	5	2	526:455	12
ტობასი	7	4	3	552:494	11
ტოპო	7	4	3	506:516	11
პლუნგე	7	1	6	521:611	8
სკოპიე	7	0	7	479:557	7

B ჯგუფი

ოპავა (ჩეხეთი) — შლიონსკი (ვროცლავი, პოლონეთი) 79:85, ლემენი (საფრანგეთი) — ფენერბახჩე (სტამბოლი, თურქეთი) 88:92, პივოვარნა (სლოვაკეთი) — ბროცერნი (რიგა, ლატვია) 94:92

ლემენი	7	6	1	550:527	13
შლიონსკი	7	5	2	532:509	12
ფენერბახჩე	7	4	3	568:544	11
პივოვარნა	7	3	4	554:564	10
ბროცერნი	7	2	5	537:590	9
ოპავა	7	1	6	538:589	8

C ჯგუფი

ზაგრები — ჟალგირისი 76:57, ვილეურბანი — ტალინი 69:57, მცტ (სკოპიე, მაკედონია) — პრუსცკოვი (პოლონეთი) 79:85

ვილეურბანი	7	6	1	485:459	13
ჟალგირისი	7	5	2	511:492	12
პრუსცკოვი	7	4	3	580:550	11
ზაგრები	7	3	4	528:493	10
ტალინი	7	2	5	456:488	9
მცტ	7	0	7	456:591	7

D ჯგუფი

კასერესი (ესპანეთი) — ჟელეზნიკი (ბელგრადი, იუგოსლავია) 96:81, ლულეო (შვედეთი) — ოლივეირენსე (პორტუგალია) 79:76, კერავნოსი (ნიქოზია, კვიპროსი) — სამარა (რუსეთი) 80:79

კერავნოსი	7	5	2	479:494	12
სამარა	7	4	3	548:526	11
კასერესი	7	4	3	612:536	11
ჟელეზნიკი	7	3	4	536:536	10
ოლივეირენსე	7	3	4	508:545	10
ლულეო	7	2	5	556:593	9

E ჯგუფი

ჰონვედი (ბუდაპეშტი, უნგრეთი) — ბეობანკა (ბელგრადი, იუგოსლავია) 66:71, ტატამი (რონდოფი, გერმანია) — ჰაპოელი (ჰოლონი, ისრაელი) 80:82, სტეფანელი (მილანი, იტალია) — ლონდონ თაუერსი (ინგლისი) 102:82

ჰაპოელი	7	6	1	573:527	13
სტეფანელი	7	5	2	670:484	12
ბეობანკა	7	4	3	563:522	11
ტატამი	7	4	3	503:562	11
ჰონვედი	7	1	6	491:534	8
თაუერსი	7	1	6	498:570	8

F ჯგუფი

აპოლონი (საბერძნეთი) — პოლზელა (სლოვაკეთი) 84:59, უსკ (პრაღა, ჩეხეთი) — შარლერუა (ბელგია) 61:71, ზრინევაცი (ზაგრები, ხორვატია) — დენ ბოში (ჰოლანდია) 87:86

აპოლონი	7	6	1	693:504	13
შარლერუა	7	5	2	607:474	12
ზრინევაცი	7	4	3	614:619	11
პოლზელა	7	3	4	616:513	10
დენ ბოში	7	3	4	615:636	10
უსკ	7	0	7	478:617	7

G ჯგუფი

კანტუ — ტელეკომი (ლისაბონი, პორტუგალია) 104:86, ბაიერი (ლევერკუზენი, გერმანია) — სლობოდა (ტუზლა, ბოსნია) 79:75, კიორმენდი (უნგრეთი) — ოსტენდე (ბელგია) 82:77

კანტუ	7	7	0	641:533	14
ოსტენდე	7	4	3	591:565	11
კიორმენდი	7	4	3	563:562	11
ბაიერი	7	4	3	574:496	11
ტელეკომი	7	2	5	594:628	9
სლობოდა	7	0	7	530:635	7

H ჯგუფი

პანათინაიკოსი (ათენი, საბერძნეთი) — რაპანანა (ისრაელი) 89:70, სლოვაკოფარმა — (პეზინოკი, სლოვაკეთი) — ბუდიველნიკი (კიევი, უკრაინა) 87:73, ავტოდორი (სარატოვი, რუსეთი) — სტ. პოლტენი (ავსტრია) 97:78

პანათინაიკოსი	7	7	0	598:429	14
ავტოდორი	7	6	1	621:603	13
პეზინოკი	7	3	4	573:580	16
რაპანანა	7	2	5	449:467	9
ბუდიველნიკი	7	2	5	492:539	9
სტ. პოლტენი	7	1	6	517:572	8

ოჯახი უფრო მეტია...

ნუღარ დამალავთ ინდაურებს, შალვას გოგონები აღარ ჩამოივლიან

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ქეთევან ლოსაბერიძე მათემატიკოსია. უმაღლესი მათემატიკისა ბევრი არაფერი გამეგება, მაგრამ ის კი ვიცი, ოცდარვამდე თვლა არ გამიჭირდება. ჰოდა, ეს წერილიც ამიტომ დაიწერა. ქალბატონი ქეთევანი ხომ ერთი იმათგანია, საქართველოს ოლიმპიური ჩემპიონი რომ ჰქვია. ბოლოს და ბოლოს, 28 ოლიმპიური ჩემპიონი გვყავს! მათ შორისაა ქეთევან ლოსაბერიძეც, ქალი, რომელმაც, ოლიმპიური ჩემპიონობაც მოიპოვა და, სხვათაგან განსხვავებით, მარტოდენ სპორტს არ შესწირა პირადი ცხოვრება — პირიქით, სპორტი ანაცვალა ეგებ ოჯახს და დღეს ქეთევან ლოსაბერიძე — ოლიმპიური ჩემპიონი — საუკეთესო მეუღლე, დედა და დიასახლისია.

მაგრამ, „სარბიელის" მკითხველს ჯერ სპორტსმენი ქეთევან ლოსაბერიძე აინტერესებს.

1980 წელი. მოსკოვის ოლიმპიადა. ქეთევან ლოსაბერიძე მშვილდოსან ქალთა შეჯიბრების პირველივე დღიდან დაწინაურდა...

— ქალბატონო ქეთევან, ბევრმა კი იცის, მაგრამ ბევრმაც — ახალგაზრდამ — არა თქვენი სპორტული კარიერის შესახებ...

— სპორტში შემთხვევით მოვხვდი. ბავშვობაში სპორტი მაინცდამაინც არ მიტაცებდა, არც სპორტის რომელიმე სახეობაზე მივლია. მშვილდოსნობაშიც შემთხვევით მოვხვდი. ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში ვსწავლობდი და ერთ დღესაც, ფიზკულტურის ლექციაზე საშუალო სიმაღლის მამაკაცი, გადამდგარი პოლკოვნიკი შემოვიდა, რაღაც უცნაური და მანამდე არნახული ჯოხი ეკავა — თურმე მშვილდი იყო. მაშინ პირველად ვნახე ეს იარაღი. ამ პოლკოვნიკმა რამდენიმე გოგონა გაგვიხმო, მოგვაზიდინა ეს მშვილდი, მკლავის სიგრძეც შეგვიმოწმა და მოეწონა. ყველა მშვილდოსნობის სექციაში ჩაგვწერა და მას მერე ინსტიტუტისავე ტირში ვარჯიშიც დავიწყე მშვილდოსნობაში. ეს კაცი, გადამდგარი პოლკოვნიკი შალვა ჯიშიაშვილი იყო — საქართველოში მშვილდოსნობის ფუძემდებელი და ჩემი პირველი მასწავლებელი.

— ინსტიტუტის ტირს რომ გასცდით, სერიოზული წარმატებები მალე მოვიდა?

— თავის დროზე საბჭოთა კავშირში ხალხმა სპორტის ეს სახეობა 1957 წელს იხილა, მოსკოვში, ახალგაზრდობის ფესტივალზე. ამ ფესტივალიდან ათი წელი იყო გასული, რომ მე ვარჯიში დავიწყე და იმავე, 1967 წელს საქართველოს ჩემპიონი გავხდი. ეს ერთგვარი სტიმული იყო ჩემთვის, რათა ახალ წარმატებებზე მეფიქრა, თორემ იმ დროისთვის მშვილდოსნობაზე თავგადაკლული ნამდვილად არ ვიყავი. მაშინ ისრის სროლა უფრო გატაცებად მიმაჩნდა, ვიდრე პროფესიად და სერიოზულ საქმედ. თუმცა, ასე, მეტნაკლები ინერტულობით, მაგრამ საქმის პატივისცემით, გამარჯვებებიც არ მაკლდა და საბჭოთა კავშირის ჩემპიონატიც მოვიგე. ეს კი ხუმრობა საქმე არ იყო სპორტის არც ერთ სახეობაში.

ქეთევან ლოსაბერიძე რომ ტალანტი იყო, იმხანად აღარავინ მალავდა, ამიტომ ჰქონდა ამ მანდილოსანს გზა ყველგან ხსნილი. იმდენად წარმატებულად ასპარეზობდა შინაურ თუ საერთაშორისო შეჯიბრებებზე, რომ მალე საკავშირო ნაკრების თავკაცთა ყურადღებაც დაიმსახურა. რა თქმა უნდა, არა ამაოდ: საქართველოს საუკეთესო ჩუბინი მალე მოსკოვშიც მიიწვიეს, იმდროინდელ საბჭოთა კავშირის ნაკრებში გამოუძახეს და მშვილდოსანთა საბჭოურ გუნდს პირველი ქართველიც დაებედა — ქეთევან ლოსაბერიძე. ეს 1971 წელს მოხდა, როცა ქეთევან ლოსაბერიძე უკვე არა მარტო საქართველოსა და საკავშირო, არამედ მსოფლიოს რეკორდსმენიც იყო, თანაც, არაერთგზის, ამ დროისთვის კი იგი 1972 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის ემზადებოდა.

— 1972 წლის ოლიმპიადას ევროპის ჩემპიონატი უსწრებდა, ამ ჩემპიონატზე აბსოლუტური ჩემპიონი გავხდი, მაშინ საბჭოთა კავშირის ნაკრებში [illegible] კონკურენცია იყო, მაგრამ ჩემი [illegible] ტებით, ფაქტობრივად, განაღდებული [illegible]ონდა გუნდში ადგილი. სხვა რაღა გზა ჰქონდათ, მიუნხენის ოლიმპიადაზე წამიყვანეს და იქ მეოთხე ადგილი დავიკავე. არადა, ერთი ქულაღა დამაკლდა, პრიზიორებში რომ მოვხვედრილიყავი. ის დღე ახლაც მწარედ მახსოვს. მაშინ თქვა საბჭოთა კავშირის ნაკრების მწვრთნელმა: ქეთევანმა ოქრო დაკარგა, ვერცხლი დათმო და ბრინჯაო სულაც გააჩუქაო. მართლაც ასე იყო.

მაგრამ ქეთევან ლოსაბერიძეს, როგორც ნამდვილი სპორტული სულის ადამიანს, იმედი არ დაუკარგავს, მალევე დაამტკიცა, რომ ძალაც შესწევდა ქადილისა და მწვრთნელებსაც ტყუილად არ ეიმედებოდათ მისი: 1973 წელს ყველა მეტოქე პირწმინდად დაამარცხა და საბჭოთა კავშირის ჩემპიონიც გახდა. მეტიც შეეძლო სპორტულ სარბიელზე, იქნებ იმავე წლებში უფრო დიდი წარმატებებისთვის მიეღწია, მაგრამ რაკი ეს გამარჯვება იზეიმა, დროებით მშვილდი გვერდზე გადადო.

— 1973 წელს დავოჯახდი. კი ბატონო, სპორტი სპორტია, მაგრამ ჩემთვის ქართული ოჯახი უფრო მეტს ნიშნავდა, ამიტომაც გადავწყვიტე ჯერ ოჯახისთვის მიმეხედა და თუკი დრო დამრჩებოდა — სპორტისთვის. რაკი ოჯახმა პრობლემები შემიქმნა, თავადვე დავწერე განცხადება და მშვილდოსანთა საკავშირო ნაკრების თავკაცთ დავეთხოვე. 1976 წელი იყო, მაინც ვიასპარეზე იტალიაში, საერთაშორისო ტურნირზე და მაშინ ჩავუთქვი, ეს მშვილდოსან ქეთინო ლოსაბერიძის ბოლო შეჯიბრება იქნება-მეთქი. მაგრამ ვინ მოგასვენა. მართალია, ორი წელი არსად მეასპარეზა, მაგრამ საქართველოს მაშინდელი სპორტკომიტეტის თავკაცთა და სპორტის ქომაგთა თხოვნას დავყაბულდი და კვლავ დავუბრუნდი სარბიელს — ორი წლის უვარჯიშებელმა პირველსავე ტურნირში გავაუმჯობესე მსოფლიოს რეკორდი ერთ-ერთ დისტანციაზე. მახსოვს, გაკვირვებულმა და თვალებგაფართოებულმა საკავშირო ნაკრების მწვრთნელმა ესღა თქვა: ეტყობა, ლოსაბერიძე სადღაც ჩუმად იატაკქვეშეთში ვარჯიშობდა, თორემ ასეთი შედეგი ამდენი ხნის უვარჯიშებელ ადამიანს არ უნდა ეჩვენებინაო.

მაპატიონ ტიტულებით დახუნძლულმა სპორტსმენებმა, მაგრამ ვისაც ოლიმპიური ოქრო არ მოუგია, ქეთევან ლოსაბერიძეს მუდამ მათზე წინ დავაყენებ. ოლიმპიურ მედალს სხვა ეშხი და ხიბლი აქვს, სხვათაგან გამორჩეული, ამიტომაც არის, ეს წერილი რომ იწერება, თორემ, რომ არა ის, 1980 წელი, იქნებ ლოსაბერიძეც ქართულ სპორტს შემორჩენოდა ნიჭიერ, საუკეთესო, გნებავთ, დიდ სპორტსმენად, მაგრამ არა ოლიმპიურ ჩემპიონად. ეს კი ასე იყო:

— მოსკოვის ოლიმპიადამდე ნაკრების უპირველესი კანდიდატი ვიყავი. ამ დროს ნაკრების მწვრთნელი არსენ ბალოევი იყო — ყაბარდოელი, ნაღდი ვაჟკაცი. სამართლიანი პიროვნება იყო და მეც კეთილად მეპყრობოდა. ოლიმპიადამდე ერთი კვირით ადრე იგი იძულებული გახდეს, ჩემთვისა და უზბეკი მშვილდოსნისთვის საკონტროლო შეხვედრა მოეწყო. იმ უზბეკს, რა თქმა უნდა, ვძლიე. მერელა გავიგე: იქაური, უზბეკეთის მთავრობაც კი იყო ჩარეული, იქნებ მან ლოსაბერიძეს აჯობოს და ოლიმპიადაზე წავიდესო. ამაზე არსენ ბალოევმა, მახსოვს, მომიბოდიშა კიდეც, ისიც მითხრა — ვიცოდი, შენ გეკუთვნოდა ადგილი ნაკრებში, მაგრამ მეც რაღა მექნა, თავს ზემოთ ძალა აღარ იყოო...

მაინც, საკავშირო ნაკრებისა და მშვილდოსნობის მაშინდელი ფედერაციის თავკაცთ მოსკოვის ოლიმპიადის ჩემპიონად ელენა ბუტუზოვა ჰყავდათ შეგულებული. თავდაპირველად სროლაც ისე წარიმართა, თითქოს ბუტუზოვას უნდა გაემართლებინა ზედმეტად მზრუნველთა იმედი, მაგრამ ლოსაბერიძემაც გამოიღო ხელი და ამ ხანდომიანმა მანდილოსანმა ეს გოგონა უმედლოდ დატოვა.

ქეთევან ლოსაბერიძეს, როგორც ნაღდ ქუთაისელსა და იმერელს, იუმორის გრძნობა არ ღალატობს, მაგრამ ამ ნიჭს, როგორც ჭეშმარიტად იუმორის მოყვარული, უფრთხილდება. ერთს კი მომიყვა ქალბატონი ქეთევანი: შალვა ჯიშიაშვილთან ვარჯიში რომ დაიწყო, მაშინ თურმე ხშირად სტუმრობდნენ ქუთაისის ბაზარს. არა, სავაჭროდ და ხორაგის საყიდლად არა — ისრებს, მიზნისთვის რომ მიეღწიათ, ინდაურის ფრთა სჭირდებოდათ, იმ დროისთვის კი ისრისთვის უფრო ადვილად მოსარგები და ადვილად საშოვ[illegible] რამ შალვა ჯიშიაშვილს არ ეგულებოდა. ამიტომაც გოგონები ხშირად დაჰყავდა ქუთაისის ბაზარში ინდაურების გასაპუტად და ფრთების დასაცლელად. მოგეხსენებათ, ფრთაგაცლილი ინდაური მომცროა, ნაკლებად მიმზიდველი, ამდენად, ნაკლებფასიანი, ამიტომაც იყო, ქუთაისურ ბაზრობაზე ინდაურების გამყიდველნი, შალვა ჯიშიაშვილს რომ ხედავდნენ, ინდაურებს კალთის ქვეშ მალავდნენ — არიქა, შალვა და მისი გოგოები მოდიანო.

სხვა რაღა უნდა ვთქვა: ქეთევან ლოსაბერიძე, ოლიმპიური ჩემპიონი, ვალმოხდილი ქვეყნისა და ხალხის წინაშე, ცხოვრობს საკუთარ ლამაზ ოჯახში, ნანატრ შვილთან და მოსიყვარულე მეუღლესთან ერთად, რაც მთავარია, არ ავიწყდება გუშინდელი დღე და ცხოვრობს ხვალინდელის მოლოდინში, ქართული სპორტის გამარჯვება რომ ჰქვია.

ხათუნა ბაიჩაძე

ძიუდო

უცხოურ კლუბებში წასული ქართველი სპორტსმენების დათვლა ერთობ ძნელი იქნება, რადგან რომელიღაც უსახელო გუნდში მოასპარეზე ჩვენებური აუცილებლად გამოერჩევა. მაგრამ კარგ, ევროპული დონის კლუბებში გადასულები რომ ჩამოვთვალოთ? აქ ორი ხელის თითებიც ეყოფა: სამი-ოთხი ფეხბურთელი, ორიოდ კალათბურთელი, ერთი-ორი სხვაც და სულ ეგ არის. ხუთშაბათს ამგვართა რიცხვს ორი ძიუდოისტი შეემატა: საქართველოს ნაკრების წევრები ივერი ჯიქურაული და გიორგი წმინდაშვილი თურქულ კლუბ „ისთანბულ ბუიუქშეჰირ ბელედიეში" ჩაირიცხნენ.

დღეს ქართველ ძიუდოისტებს ნაღდად არ ულხინთ, მაგრამ საკუთარი თავის ფასი იციან და, სადღაც ნიჟნევარტოვსკის „სამტლორის" მსგავს ფიზკულტურულ კოლექტივებში მაინც არ გაუწევიათ ბედის საძებნელად. ჯიქურაული და წმინდაშვილი ძლიერ გუნდში გადავიდნენ და თავიანთი ჩასვლით კიდევ უფრო გააძლიერებენ მას. არადა, მავანი „თურქულ კლუბს" რომ გაიგებს, უმალ შეიჭმუხნება, ვითომ იქაური გუნდი კარგი როგორ უნდა იყოსო. არადა, „ისთანბულმა" შარშან ევროპის საკლუბო თასის ნახევარფინალს უწია, წლეულს კი მეოთხედფინალში 3:4 დამარცხდა გერმანიის ჩემპიონ „მიუნხენთან".

გიორგი წმინდაშვილი და ივერი ჯიქურაული

ისთანბულმა ქართველებს უხმო

„ისთანბულს" საკმაოდ ძლიერი ძიუდოისტები ჰყავს, რომელთა ვინაობასაც ქვემოთ მოგახსნებთ. მანამდე კი იმას გეტყვით, რომ ეს სტამბოლის მერიასთან არსებული კლუბია, რომელიც სპორტის 9 სახეობის წარმომადგენლებს აერთიანებს. კლუბის პრეზიდენტი თავად სტამბოლის მერი გახლავთ, რაც იმას ნიშნავს, რომ იქ ფინანსური პრობლემები პრაქტიკულად არ არსებობს.

საინტერესოა, რატომ აგებდნენ თურქები ევროპის საკლუბო თასის გადამწყვეტ ეტაპებზე და, ისიც, მინიმალური სხვაობით. იმიტომ, რომ 86 და 95 კილოგრამამდე წონით კატეგორიებში ძიუდოისტების ნაცვლად „ტომრები" ჰყავდათ და ნებისმიერ მეტოქესთან შეხვედრაში ორი ქულა წინასწარ ჰქონდათ დაკარგული. ისთანბულელებმა ბევრი იფიქრეს, მრავალი ვარიანტი გადასინჯეს, ჩვენებური ძიუდოისტის ირაკლი უზნაძის რჩევასაც მიუგდეს ყური და არჩევანი ჯიქურაულსა (95 კგ) და წმინდაშვილზე (86 კგ) შეაჩერეს.

ხუთშაბათს უზნაძე და „ისთანბულის" მთავარი მწვრთნელი ჰალდუნ ეფემგილი თბილისში ჩამოვიდნენ და ძიუდოისტებს შეხვდნენ. წინასწარი მოლაპარაკება უკვე იყო, ამჯერად საბოლოო დეტალები დაზუსტდა. გადაწყდა, რომ ჯიქურაული და წმინდაშვილი მომავალი წლიდან შეეშველებიან „ისთანბულს" ევროპის საკლუბო თასზე. ყოველი გამართული შეხვედრისთვის ბიჭები საკმაოდ სოლიდურ თანხას მიიღებენ, ხოლო თუ გუნდი მატჩს მოიგებს, პრემიალურები კიდევ ცალკე დაერიცხებათ. საჭიროების შემთხვევაში ჯიქურაულს და წმინდაშვილს გაისად თურქეთის გუნდურ ჩემპიონატშიც შეიძლება მოუწიოთ გამოსვლამ. თუმცა, ეფემგილის სიტყვებით, ქვეყნის ჩემპიონატს „ისთანბული" ქართველების დახმარების გარეშეც მოიგებს. მთავარი ევროპის თასია, სადაც ჯიქურაულისა და წმინდაშვილის გამოსვლაზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული.

ჩვენებურების შემატებით „ისთანბულს" გაისად ევროპის საკლუბო თასის მოგების პრეტენზია სავსებით სამართლიანად ექნება. ქართველების თანაგუნდელები იქნებიან: სელიმ თათაროღლუ (მძიმე წონა, ევროპის ჩემპიონი და მსოფლიოს ჩემპიონატის პრიზიორი), ჰუსეინ ოზქანი (65 კგ, ევროპის ჩემპიონი), ბექთაშ დემირელი (71 კგ, მსოფლიოს ჩემპიონატის პრიზიორი), ირაკლი უზნაძე (78 კგ, ევროპის ჩემპიონატის პრიზიორი)...ასეთი გუნდით კი ნებისმიერ მიზანს შეიძლება გაეთამაშო.

ნაგანო 98

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის განცხადება

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი მიზანშეწონილად მიიჩნევს სპორტული საზოგადოებრიობის, გულშემატკივრების ინფორმირებას იმ სერიოზულ პრობლემებზე, რომლებიც შეიქმნა ზამთრის XVIII ოლიმპიურ თამაშებში (ნაგანო, იაპონია, 1998 წლის თებერვალი) საქართველოს სპორტსმენების მონაწილეობის დაფინანსებასთან დაკავშირებით. საქართველოს პრეზიდენტის სახელზე სეოკ-ის წერილის მიუხედავად მიმდინარე წელს ვერ ხერხდება გუნდის მზადების, ეკიპირების, მგზავრობის და სხვა ხარჯების დაფინანსება.

სეოკ-ი თვლის, რომ ოლიმპიურ თამაშებში თუნდაც ძალზე მცირერიცხოვანი დელეგაციით მონაწილეობაზე უარის თქმა გამოუსწორებელ და სერიოზულ ზიანს მოუტანს საქართველოში სპორტის ზამთრის სახეობების განვითარებას, მორალურ ტრავმას მიაყენებს სპორტსმენებსა და მწვრთნელებს.

ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის აუცილებლობა იძულებულს ხდის საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს 1998 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით ნაგანოს ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის დასაფინანსებლად გამოყოფილი 150 000 ლარის გარანტიით სასწრაფოდ აიღოს ბანკის ან სხვა რომელიმე სტრუქტურის სესხი და უზრუნველყოს ზამთრის ოლიმპიური თამაშებისათვის ქართველი სპორტსმენების მზადება და მონაწილეობა.

საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა აღნიშნულის შესახებ აცნობა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და სთხოვა, რომ ნაგანოს ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის მისაღებად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიზნობრივად გამოყოფილი თანხა ოპერატიულად, იანვრის თვეშივე ჩაირიცხოს საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ანგარიშზე, რათა ოპერატიულად ანაზღაურებულ იქნას თამაშებამდე დარჩენილი აუცილებელი ხარჯები და დაიფაროს ვალები.

იაპონია იაპონელებისთვის?

უთანხმოება სწრაფდაშვების ტრასის სიგრძის თაობაზე ნაგანოს ზამთრის ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტსა და მსოფლიოს სამთო-სათხილამურო სპორტის ფედერაციას შორის ჯერაც არ მოგვარებულა, თუმცა მხარეებმა გარკვეულ კომპრომისს მიაღწიეს. შეგახსენებთ, რომ სწრაფდაშვების ტრასა ნაგანოში ორგანიზატორებს 1680 მეტრი სიგრძისა შეურჩევიათ, რაც მსოფლიო ფედერაციას ოლიმპიური შეჯიბრისთვის მეტად მცირე მანძილად მიაჩნია და მისი 120 მეტრით გაზრდას მოითხოვს. თავის მხრივ, იაპონელებიც ჯიქურ დგანან — ტრასა რომ დავაგრძელოთ, ეროვნული პარკის ტერიტორიაზე შევიჭრებით, რაც გარემოს დაცვის წესებს არღვევსო. პირველი ნაბიჯი კომპრომისისკენ ნაგანოს ოლიმპიადის საორაგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ — მაკოტო კობაიაშიმ გადადგა და განაცხადა, რომ დისტანციის 120 მეტრით გაზრდის წინააღმდეგი არ იქნება, თუ ტრასის სტარტი და მისი რომელიმე ნაწილი ეროვნულ პარკზე არ გაივლის. თავად კი მოდავე მხარეს 1740-მეტრიანი ვარიანტი შესთავაზა.

კობაიაშის გეგმის მიხედვით, მთის ამ მხარეზე მოწყობილი საბაგირო გზა დროებით უნდა აიღონ, რათა მოთხილამურეებს ასპარეზი გაუთავისუფლონ. ეს კი დისტანციის გავლის დროს — 1 წუთსა და 30 წამს დაახლოებით 9-10 წამით გაზრდის. ფედერაციის გეგმა (1800 მ) სწრაფდაშვების სტარტს ეროვნული პარკის გარეთ კი ითვალისწინებს, მაგრამ ტრასის ერთი მონაკვეთი აქ მაინც გაჰყავს. ამათ ის ვერ გაუგიათ, რატომ უკრძალავენ სპორტსმენებს პარკში ფეხის შედგმას, როდესაც ნებისმიერ დამსვენებელს იქ თავისუფლად სრიალის უფლება აქვს. ფედერაცია საორგანიზაციო კომიტეტის მიერ შეთავაზებულ ვარიანტს იმითაც იწუნებს, სტარტი ძალზე ციცაბო და უვარგისია, თან სწრაფდაშვების დრო წუთისა და 45 წამის ფარგლებში უნდა იყოსო.

ჟაკმა შუმის ძუდი დაიხსრა

პრიზზე მიღწეული შედეგის გაუქმება აკმარეს. ამით ჩემპიონატში დაძაბულობამ კულმინაციას მიაღწია. გამარჯვებულის ვინაობა ბოლო ეტაპზე პირად ორთაბრძოლაში უნდა გარკვეულიყო. რბოლის წინ მოსლიმ მოასპარეზეთ მიმართა, მეტოქეთათვის არ შეექმნათ ხელოვნური ბარიერები და სამართლიან ბრძოლაში გაერკვიათ ურთიერთობა. მათ მცირე დანაშაულისთვისაც კი სასჯელით დაემუქრა.



შუმახერი ვილნევს: ჩვენ კიდევ ვიომებთ

მართლაც, უძლიერესის საკითხი პირად ორთაბრძოლაში გადაწყდა. მოწინააღმდეგეებიც ჯენტლმენურად უცდიდნენ, რით დასრულდებოდა ვილნევსა და შუმახერის ორთაბრძოლა. და მაინც, ჩემპიონატი სკანდალით დასრულდა — შუმიმ ჩემპიონობის მოპოვება შეჯახებით გადაწყვიტა. თუ ორივე პილოტი რბოლას გამოეთიშებოდა, ჩემპიონობა მას რჩებოდა. მაგრამ ვილნევმა ასპარეზობის გაგრძელება შეძლო და უძლიერესის სახელიც დიდად. საზეიმო სალამოზე კი წითელი კეპით გამოცხადდა, რომელსაც ასეთი წარწერა ამშვენებდა: „შუმახერი — 1997 წლის მსოფლიოს ჩემპიონი“. ასეთი ქუდები ბლომად დაემზადებინათ მოსაზრებულ მეწარმეებს და გასაყიდად გამოეტანათ.

შუმახერის არასპორტულ საქციელს დიდი აურზაური მოჰყვა პრესაში. გერმანელი „მზეჭაბუკის“ იმიჯი სასწრაფოდ შეცვალა „ცუდი ბიჭისამ“. ყველას უცბად გაახსენდა, რომ ეს მისი პირველი ძალისმიერი ილეთი არ იყო:

1990 წელს მაკაოს დიდ პრიზზე ფორმულა 3-ში ასპარეზობისას ახალგაზრდა შუმი ჰაკინენს შეეჯახა და ასე ჩამოიშორა გზიდან.

ერთი წლის შემდეგ C კლასის ავტომობილებით ასპარეზობისას მიხაელმა მსგავსი მანევრით ჩამოიშორა ბრიტანელი დერეკ უორვიკი. 1994 წელს ავსტრალიის დიდ პრიზზე კი ჰილს შეეჯახა. ორივე პილოტი რბოლას გამოეთიშა და შუმი მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. ყოველივე ამის გაანალიზებამ კიდევ უფრო განამტკიცა აზრი, რომ ყველაფერი წინასწარგანზრახვით მოხდა და გერმახელმა კვლავ არაკეთილსინდისიერი გზით მოინდომა ტიტულის მოპოვება. ეს ისტორია ამით არ დასრულებულა და შუმახერს „აგრესიული“ მართვისთვის 2 მილიონამდე ჯარიმა და საგაისოდ რამდენიმე რბოლის გამოტოვებაც ემუქრებოდა, მაგრამ ფია-მ შედარებით ლმობიერი გადაწყვეტილება მიიღო — მას ჩემპიონატში მოპოვებული მეორე ადგილი ჩამოერთვა, რბოლებში მიღწეული წარმატებები კი შეუნარჩუნეს.

ჩაწყობის ფორმულა

პრესაში კვლავ სკანდალია: გამოქვეყნდა ცნობა იმის შესახებ, რომ ბოლო რბოლის მიწურულს ვილნევს ბოქსებიდან უბრძანეს, გამარჯვება „მაკლარენის“ პილოტებისთვის დაეთმო. ვილნევმა მართლაც გაატარა ჰაკინენი და კულჰარდი, მისთვის ჩემპიონობის მოსაგებად 1 ქულაც საკმარისი იყო. ამას მოჰყვა მითქმა-მოთქმა „ჩაწყობილი“ რბოლის შესახებ.

შეფთა ჰუკჰუკი: ფრენკ უილიამსი და ფლავიო ბრეატორე

„ფერარის“ წარმომადგენლებმა ისიც გაიცხადეს, მაკლარენელებმა ირვინს ხელი შეუშალეს, ვილნევს რომ დასწეოდა, კანადელს დაზიანებული ბოლიდით გაუჭირდებოდა „აგრესიულ“ ირლანდიელთან პაექრობაო. მაგრამ რა, გაატარებდნენ ირვინს და ისიც ჩასათვლელ ექვსეულში დაასრულებდა რბოლას, თუ აქაც სხვა ჩანაფიქრი იყო? იქნებ ირვინს უნდა დაესრულებინა ის, რაც შუმიმ დაიწყო — კანადელს რბოლა ვერ დაემთავრებინა? ამას ისიც დაემატა, რომ რბოლისას „ზაუბერის“ პილოტმა ფონტანამ უპრობლემოდ გაატარა შუმახერი, ვილნევი კი კარგა ხანს შეაყოვნა, მოუხედავად რბოლის წინ ფია-ს გაფრთხილებისა. „ზაუბერის“ გუნდს კი ძრავებით „ფერარი“ ამარაგებს. „მაკლარენ“-„უილიამსის“ შეთქმულებაც გახდა ფია-ს კომისიის განხილვის საგანი. შეხვედრის შემდეგ კი ფია-ს თავკაცმა მოსლიმ განაცხადა, რომ ივი კმაყოფილი დარჩა გუნდების ხელმძღვანელებთან გასაუბრებით. მართლაც, „უილიამსმა“ თხოვნით მიმართა „მაკლარენს“ და ყველა გუნდს, ხელი არ შეეშალათ ჩემპიონობის მაძიებელთათვის, სულ ეს იყო და ეს. ფრენკ უილიამსმა კი სინანული გამოთქვა იმის გამო, რომ „ფერარი“ თურმე სხვა გუნდების „შინაურ“ საუბრებს ისმენს. რაც შეეხება მაკლარენელთა გატარებას, აქ უცნაური არაფერია. ვილნევისთვის ამ რბოლაში გამარჯვება არ გაბლდათ მთავარი, მისთვის საჭირო იყო რბოლის დასრულება და ჩემპიონობის მოპოვება. შუმისთან ჭიდილში დაზიანებული ბოლიდით ასპრეზობა კი სულ უფრო ჭირდა და სავსებით ლოგიკური იყო გუნდისა და პილოტის საქციელი.

ქულების მერე ქალების ჯერია

რბოლით და სკანდალებით დაღლილნი ისვენებენ და მომავალზე ფიქრობენ

მსოფლიოს ჩემპიონატი დასრულდა. ფორმულა 1-ს ახალი მბრძანებელი ჰყავს, რომელსაც მთელი კანადა ისე შეხვდა, როგორც ეროვნულ გმირს. გუნდებმა ოდნავ ამოისუნთქეს და მიღწეულის ანალიზს და მომავლისთვის მზადებას შეუდგნენ. ჩვენც გადავხედოთ, რას მიაღწია თითოეულმა მათგანმა და რა პერსპექტივა აქვს სამომავლოდ.

„უილიამსი“
123 ქულა, 8 გამარჯვება

გუნდმა კარგად ჩაატარა სეზონი, უძლიერესის წოდება მოიპოვა როგორც პირად, ასევე გუნდურ ჩათვლაში, მაგრამ მისი უპირატესობა გასულ წლებთან შედარებით ისეთი აშკარა აღარ იყო. იყო ჩავარდნები, მექანიკოსები კვლავ დიდხანს ზოზინობდნენ პილოტთა მომსახურებისას. არც რბოლის ტაქტიკა იყო შეუმცდარი. თითქმის მთელი სეზონის განმავლობაში პილოტები საბურავების არასაკმარის გათბობას უჩიოდნენ. ვილნევმა ღირსეულად ჩაატარა ჩემპიონატი და, შეიძლება ითქვას, ყველანაირად დაჩაგრა მეტოქეები — ყველაზე მეტი — 7 გამარჯვებაც მოიპოვა და ყველაზე ხშირად იდგა პირველ სასტარტო პოზიციაზე. ფრენცენსგან უფრო მეტს ელოდნენ თაყვანისმცემლნი. „ჰა-ჰამ“ (გერმანელის მეტსახელი გახლავთ) შესანიშნავად შეასრულა მეორე პილოტის როლი და პირველი გამარჯვებაც იზეიმა. ეს ორი მრბოლი მომავალ სეზონსაც ერთად გაატარებს, მაგრამ გუნდისთვის კიდევ უფრო რთული იქნება პირველობისთვის ბრძოლა. არავინ იცის, როგორი ხარისხის იქნება „მეკაქრომის“ მიერ მომზადებული „რენოს“ ძრავა, მეტოქეებიც აშკარად უფრო მეტი და მომძლავრებული ეყოლებათ.

„ფერარი“
102 ქულა, 5 გამარჯვება

იტალიელთა სიამაყე წელს აშკარად ძლიერად გამოიყურებოდა. შესანიშნავი ძრავა და კარგად მომზადებული შასი, მიხაელ შუმახერის ნიჭი ჩემპიონობისთვის ბრძოლის საშუალებას იძლეოდა, მაგრამ „უილიამსი“ და ჟაკ ვილნევი ძლიერნი აღმოჩნდნენ. შუმიმ თანაბრად მაღალ დონეზე ჩაატარა სეზონი, თუმცა სამარცხვინოდ დასრულა. ირვინმა კი გაამართლა თავისი ნათქვამი — იგი „ფერარიში“ იმიტომ არის, რომ შუმახერს დაეხმაროს ჩემპიონობის მოპოვებაში. მართლაც, ირლანდიელი ზუსტად ასრულებდა სიტყვას და შუმის გზიდან აშორებდა მეტოქეებს, ხშირად პირდაპირი გაგებითაც. მომავალ სეზონში იტალიელები უპირველეს ფავორიტად ითვლებიან. მათ ძრავიც თავისი აქვთ და შასიც, ეს კი ბოლიდის საუკეთესოდ მომზადების გარანტია გახლავთ. შუმახერი იმედოვნებს, რომ ახალი „ფერარი“ პირველივე ეტაპიდან მისცემს ჩემპიონობისთვის ბრძოლის საშუალებას.

„ბენეტონი“
67 ქულა, 1 გამარჯვება

სეზონისწინა ტესტებზე გუნდი საუკეთესო გახლდათ და ჩემპიონობასაც ვარაუდობდა, მაგრამ დაიწყო სეზონი და პილოტებმა დიდი წარმატებებს ვერ მიაღწიეს, თუმც კი ბერგერიცა და ალეზიც ხშირად ხვდებოდნენ მოწინავეთა შორის. შუა სეზონში გუნდში გამოჩნდა საიმედო ახალგაზრდა ალექს ვურცი, რომელმაც რამდენიმე რბოლაში შეცვალა ბერგერი. ახალგაზრდა ავსტრიელმა მესამე საპრიზო ადგილზე გასვლაც მოახერხა და თავი იმითაც დაგვამახსოვრა, რომ რბოლებში სხვადასხვა ფერის ფეხსაცმლით ასპარეზობს. სეზონის მეორე ნახევარი გუნდმა შედარებით უკეთ ჩაატარა და ბერგერმა გამარჯვებაც იზეიმა. მომავალ სეზონს კი „ბენეტონი“ განახლებული შემადგენლობით იწყებს: წავიდა ბრეატორე, მისი ადგილი დეივიდ რიჩარდსმა დაიკავა, ბერგერი და ალეზი კი ახალგაზრდებმა — ფიზიკელამ და ვურცმა შეცვალეს. „უილიამსის“ მსგავსად, ბოლიდები „მეკაქრომის“ ძრავებით დაკომპლექტდება და იგივე პრობლემების წინაშე დადგება.

„მაკლარენი“
63 ქულა, 3 გამარჯვება

რონ დენისის გუნდმა, როგორც იქნა, თავი დააღწია წარუმატებლობას და ჰაკინენმა და კულჰარდმა შესანიშნავად ჩაატარეს სეზონი. მათი ბოლიდები სულ უფრო და უფრო უმჯობესდება და იმედია, მომავალ წელს „უილიამსის“ ყოფილი კონსტრუქტორის — ნიუის მიერ მომზადებული ბოლიდებით ისინი ჩემპიონობის მაძიებელთა შორის იქნებიან.

„ჯორდანი“
33 ქულა

ირლანდიელებმა კვლავ შეინარჩუნეს ადგილი ხუთეულში. ახალგაზრდებმა ტოლი არ დაუდეს მეტოქეებს და ცოტა იღბალიც რომ ჰქონოდათ, პირველ გამარჯვებასაც იზეიმებდნენ. მომავალ სეზონში გუნდი დეიმონ ჰილით გაძლიერდება. „ჯორდანმა“ დაკარგა „პეჯოს“ ძლიერი და სტაბილური ძრავა, თუმცა, არც „მუგენ-ჰონდა“ უნდა იყოს ურიგო მონაპოვარი. იმედია, ეს გუნდი დეიმონ ჰილს კვლავ მისცემს თავის გამოჩენის საშუალებას.

„პროსტი“
21 ქულა

ფრანგი პროფესორის გუნდმა მთელი სეზონი თანაბრად ჩაატარა და პანის დანანები ავარია რომ არა, ალბათ, ხუთეულშიც მოხვდებოდა. შუა სეზონში პროსტმა დაზარალებული პანის შემცვლელად ტრული მიიწვია. ეს გადაწყვეტილება სწორი აღმოჩნდა — პილოტმა დაამტკიცა, რომ კარგი ბოლიდით გამარჯვებაც კი შეუძლია. აკი მომავალი წლისთვის მიიღო კიდეც მუდმივი ადგილი ამ ფრანგულ გუნდში. გუნდს აშკარად გააძლიერებს „პეჯოს“ ძრავა, პროსტის გამოცდილებასა და გულმოდგინებას კი პირველი სერიოზული წარმატებების მოტანა შეუძლია.



„პროფესორი“ პროსტი ფორმულა 1-ს დაუბრუნდა

„ზაუბერი“
5 ქულა

გუნდს პრობლემები შეუქმნა შასის მომზადებამ, ამიტომ მთელი სეზონი მეტად არათანაბრად ასპარეზობდა. ამას მეორე პილოტის მუდმივი ცვლაც დაემატა. მომავალ სეზონში ალეზის მისვლა აშკარად გააძლიერებს გუნდს, თუმცა სერიოზულ წარმატებებზე ლაპარაკი ძნელია.

„ეროუსი“
9 ქულა

ტომ უოკინშოუმ მოახერხა გუნდში ჰილისა და ბარნარდის მოწვევა, მაგრამ მთელი სეზონის განმავლობაში „ამაჰას“ ძრავა დაშას გვარიანად აწვალებდა პილოტებს. მხოლოდ ერთხელ, „უნგრეთის დიდ პრიზზე“ შეძლო ჰილმა თაყვანისმცემელთა გახარება. გუნდი იმის იმედადაა, რომ შესანიშნავი ჯონ ბარნარდი სამომავლოდ კონკურენტუნარიან ბოლიდს შექმნის, თუმცა საჯინიბო ტოპ-პილოტის გარეშე დარჩა და საპრიზო ადგილისთვის ბრძოლა გაუძნელდება.

„სტიუარტი“
6 ქულა

ჩემპიონატის დებიუტანტის აქილევსის ქუსლს „ფორდის“ ძრავა წარმოადგენდა, რომლის მაზეზითაც პილოტებმა რბოლათა უმეტესობა ვერ დაასრულეს. მიუხედავად ამისა, ბარიჩელო ხშირად ახერხებდა სტარტზე პირველ ათეულში მოხვედრას და მონტე კარლოშიც სენსაციური მეორე ადგილი მოიპოვა. სეზონის ბოლოს მაგნუსენიც გამოფხიზლდა და

ჯეკი სტიუარტს წელს საფიქრალი არ აკლდა

მხარი აუბა თანაგუნდელს. დებიუტანტი გუნდისთვის სეზონი დამკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს, მომავალში კი გუნდის გაძლიერებას უნდა ველოდოთ.

„ტირელი“
2 ქულა

„მოხუცი კენის“ გუნდი კვლავ აუტსაიდერია და მოუხედავად იმისა, რომ მომავალ სეზონში უფრო მძლავრი ძრავებით დაკომპლექტდება, სასწაული, ალბათ, არ მოხდება — გუნდი ისევ რბოლების ბოლომდე მიყვანას და ხელსაყრელ პირობებში ქულების მოპოვებას ეცდება.

„მინარდი“
0 ქულა

ბოლო ჩემპიონატების აშკარა აუტსაიდერი წელსაც „რენტ-კარად“ მოგვევლინა — ის პილოტები ქირაობდნენ, ვისაც მდიდარი სპონსორი ჰყავდა. ამ გუნდის მომავალი ყველაზე ბუნდოვანია და თუ ფინანსური მდგომარეობა არ გამოსწორა, კვლავ ოლიმპიური ლოზუნგის — „მთავარია მონაწილეობა“ — ამარა დარჩება.

მომავალი სეზონი მარტში იწყება, მაგრამ უკვე გამოჩნდა პირველი სირთულეები: კალენდარში ჯერჯერობით არ შეუტანიათ „საფრანგეთის დიდი პრიზი“. მიზეზი — უთანხმოება ტელეგადაცემებზე უფლების მოპოვების თაობაზე. ამ უთანხმოების გადაჭრას დიდი მონდომებით ცდილობენ საფრანგეთის მთავრობა და ფია-ს ხელმძღვანელობა, საკითხი, ალბათ, მოგვარდება და ეს ეტაპიც თავის ადგილს მოძებნის კალენდარში.

არც ლონდონელი ბუკმეკერები სხედან გულხელდაკრეფილნი და გამალებით ითვლიან, რომელ პილოტს რა შანსი აქვს მომავალი სეზონისთვის. აქ მათი პროგნოზი პირველობას შუმახერს აკუთვნებს — 6:4. სხვა მრბოლთა შესაძლებლობები კი ასე ფასდება: ვილნევი 7:4, ჰაკინენი 8:1, ფრენცენი 10:1, კულჰარდი 12:1, ჰილი და ირვინი 25:1.

ალექო ჭაგუჩიანი

ჰანოვერი სისხლისგან იცლება

ოთხშაბათი

დღის პირველ შეხვედრაში წინა ტურის ორი დამარცხებული — ამერიკელი პიტ სამპრასი და ინგლისელი გრეგ რუზეცკი შეხვდა ერთმანეთს. ნახევარფინალში გასვლის შანსების შესანარჩუნებლად ორივეს მოგება სჭირდებოდა. ამიტომ მათგან უშეღავათო ბრძოლა იყო მოსალოდნელი, მაგრამ ამის ნაცვლად მაყურებლებმა ორი სალაზარეთოდ გამზადებულის ცოდვილობა იხილეს. თუმცა, ერთ-ერთი მათგანის აშკარა უპირატესობით. რუზეცკი სათამაშოდ ბარძაყშეხვეული გამოცხადდა, ტკივილი გაღვიძებისთანავე ვიგრძნენი, მყესი დამზიანებიაო. მატჩამდე მცირედ მკურნალობაც მოესწრო ულტრაბგერებითა და მასაჟით, მაგრამ, როგორც შემდგომ გაირკვა, არცთუ დიდი წარმატებით. ტრავმა ინგლისელს მოძრაობაში ხელს უშლიდა, რაც გამოცდილმა ამერიკელმა კარგად გამოიყენა — მეხუთე გეიმში რუზეცკიმ ბადესთან დროულად გასვლა ვერ მოასწრო, ორი უხეში შეცდომა დაუშვა და საკუთარი მოწოდება დაკარგა. 5:4-ზე სამპრასის სასარგებლოდ აღმოჩნდა, რომ მთლად წესრიგში ვერც იგი ყოფილა — გეიმებს შორის დასასვენებლად ჩამომჯდარ მსოფლიოს პირველ ჩოგანს მოულოდნელად ცხვირიდან სისხლი წასკდა და კარგა ხანს დასდაიჩაგრა, თუმცა, პირველ სეტში პირველი მოწოდების 85 პროცენტი ჩააგდო. რაკი ხანგრძლივი გათამაშებით ვერას გახდა, მეორე სეტის დასაწყისში ესპანელმა ბადესთან გასვლას უხშირა, თუმცა კიდევ უფრო ნაკლები წარმატებით. თავის მხრივ რაფტერი უწვეულოდ ირჯებოდა, წინ ჩვეულ ზუსტ თამაშზე რომ არაფერი ვთქვათ, მეტოქე მიღებებითა და შემოვლებებითაც გააწამა. მოიამ, რომელმაც წინა დღეს სამპრასს ექვსჯერ წაართვა მოწოდება, ავსტრალიელთან ერთი ბრეიკ-პოინტიც კი ვერ გაახერხა და მატჩი საათზე ნაკლებში დათმო 4:6, 2:6.

თეთრ ჯგუფში ოთხშაბათს მანამდე უთამაშებელი ევგენი კაფელნიკოვისა და იონას ბიორკმანის შეხვედრა იყო დანიშნული. ორივე ჩოგბურთელმა გასულ კვირას საშობლოში იმარჯვა: კაფელნიკოვმა „კრემლის თასი“ მოიგო, ბიორკმანმა — სტოკჰოლმის ღია პირველობა, ამიტომ ტურნირის ორგანიზატორებმა მათ სხვებთან შედარებით მეტი დასვენების შესაძლებლობა მისცეს. მატჩის პირველი სეტი „სამობითი“ გამოდგა — ჯერ კაფელნიკოვმა მოიგო სამი გეიმი ზედიზედ, მეორე ბიორკმანმა და ამის შემდეგ ისევ კაფელნიკოვმა — 6:3. მეორე ხელის დასაწყისში შვედს სამმაგი ბრეიკ-პოინტი ჰქონდა, მაგრამ ბადესთან გასვლა იჩქარა და სამივე მოჭრილი მოსამზადებელი დარტყმა გააფუჭა. თამაში, ფაქტობრივად, უკანა ხაზიდან წარიმართა. რუსს თავიდან მცირე უპირატესობა კი ჰქონდა, მაგრამ ბიორკმანმა თანდათან მოუმატა და სამკვიდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაჩაღდა. 5:5-ზე სოჭელმა ამ ხელში პირველი ბრეკი გაახერხა და მატჩიც თითქოს მალე უნდა დასრულებულიყო, მაგრამ შვედმა ბოლომდე იბრძოლა და მეტოქეს ბრეიკ-პოინტი დასტყუა. გადამწყვეტ მომენტში ბადესთან გასულმა ყუნიამ კი იოლი სმეში გააფუჭა — ანგარიში გათანაბრდა და ტაიბრეიკი დაინიშნა. აქ ბიორკმანმა ერთი მატჩ-პოინტი ეისით კი გადაარჩინა, მაგრამ დამარცხებას მაინც ვერ გადაურჩა 3:6, 6:7 (6:8). მატჩის შემდეგ კაფელნიკოვმა განაცხადა, სწრაფი საფარის მერე ჰარდზე მიჩვევა ცოტა გაძნელებიაო, მაგრამ მომდევნო მატჩებს გაცილებით უკეთ ვითამაშებო.

ხუთშაბათი

თავისი დაპირება სოჭელმა ყუნიამ ხუთშაბათსვე შეასრულა — მსოფლიოს მეორე ჩოგანი მაიკლ ჩანგი გაანადგურა. მატჩის დასაწყისიდან ბოლომდე ინიციატივას რუსი ფლობდა. უკანა ხაზიდან მის მძლავრ და ზუსტად მიმართულ დარტყმებზე ყველაზე სწრაფ ჩოგბურთელად მიჩნეული ამერიკელი რიგიანად უკან მობრუნებას კი არა, მისწრებას ვერ ახერხებდა. ჩანგს მდგომარეობის გამოსწორება მხოლოდ ერთხელ შეეძლო, როცა 3:5-ზე პირველ ხელში ორი ბრეიკ-პოინტი ჰქონდა, მაგრამ აქაც ვერ იხერხა და თავი საბოლოოდ ჩაქნდრა. მეორე პარტიაში კორტზე მთლიანად რუსი დომინირებდა, რომელიც ან თავად აფუჭებდა ბურთებს, ან, რაც გაცილებით ხშირად ხდებოდა, სუფთად იგებდა. ჩანგმა რუსს ერთი გეიმიც კი ვერ მოუგო და პარტია სამარცხვინოდ, მშრალზე დათმო. კაფელნიკოვმა 57 წუთში მოიგო 6:3, 6:0, თუმცა ეს დღის ყველაზე ხანმოკლე მატჩი მაინც არ გამოდგა.

რუსის მიერ წინა დღეს დამარცხებულმა ბიორკმანმა ესპენელ სერხი ბრუგერას დაბრიყვებას კიდევ უფრო ცოტა დრო მოანდომა. სამპრასისა და რუზეცკის არ იყოს, ამ დღეს ბრუგერაც ვერ იყო მთლად ფორმაში. მატჩის დასაწყისში ზედიზედ ორი ბრეიკის წაგების შემდეგ ესპანელს ნეკნების ტკივილის გამო სამედიცინო დახმარება გაუწიეს და კორტზე მობრუნებულმა ორიოდე გეიმი რიგიანად კი ითამაშა, მაგრამ მეორე ხელიდან წინააღმდეგობის გაწევა შეწყვიტა და ერთადერთ „პრესტიჟის“ გეიმსღა გამოჰკრა ხელი — 6:3, 6:1 ბიორკმანის სასარგებლოდ, 52 წუთში. შვედის წარმატებამ პირველი ნახევარფინალისტიც გამოავლინა — ევგენი კაფელნიკოვმა, რომელსაც ჰანოვერში წინა ორი ასპარეზობის დროს მხოლოდ ერთი მატჩი ჰქონდა მოგებული, ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა და საუკეთესოთა ოთხეულში ბოლო შეხვედრის შედეგის გაუთვალისწინებლადაც.

წინათ ჯგუფში ხუთშაბათს ერთი შეხვედრა გაიმართა. როგორც მოსალოდნელი იყო, გრეგ რუზეცკიმ თამაში ვერ შეძლო და კარლოს მოიას მის ნაცვლად სათადარიგო — ავსტრიელი ტომას მუსტერი შეება. „შეება“ ხმამაღალი ნათქვამია, რადგან მუსტერს მოიასთვის მინცდამინც დიდი წინააღმდეგობა არ გაუწევია. ჩოგბურთელებმა საცირკო სანახაობა გამართეს — ერთი-მეორეს ხშირად აპამპულავებდნენ, რითაც მაყურებელი ისე გაახარეს, მათ შესვენებების დროს ტალღები მოაწყვეს.

ესპანელმა ბევრისთვის მოულოდნელად ბადესთან თამაშისას არცთუ ურიგო ტექნიკა უჩვენა, მეტოქე, რომელიც საკმაოდ ბევრს სცოდავდა, უკანა ხაზზეც დაჩაგრა და 6:2, 6:3 მოიგო, რითაც, როგორც შემდეგ გაირკვა, ნახევარფინალის საგზური მოიპოვა.

გუშინ ამ ჯგუფის უკანასკნელ შეხვედრაში პიტ სამპრასმა 6:4, 6:1 მოუგო პატრიკ რაფტერს და მოიასთან ერთად ნახევარფინალში გავიდა.

წითელი ჯგუფი

	მოგება	წაგება
სამპრასი	2	1
მოია	2	1
რაფტერი	2	1
მუსტერი	0	1

გუშინვე გახდა ცნობილი, რომ სერხი ბრუგერამ თამაშზე უარი განაცხადა. მის მაგივრად ევგენი კაფელნიკოვთან შესახვედრად რომ ვერავინ გამონახეს, ინგლისიდან მსოფლიოს ოდენ მე-17 ჩოგანი — ტიმ ჰენმანილა გამოიხმეს სასწრაფოდ ეროვნული ჩემპიონატიდან. წუხელ ამ ჯგუფიდან ნახევარფინალის მეორე საგზური იონას ბიორკმანმა მოიპოვა, რომელმაც მაიკლ ჩანგს მოუგო 6:4, 7:5, ჰენმანმა კი მატჩში, რომელიც აღარაფერს წყვეტდა, კაფელნიკოვი დაამარცხა 6:4, 6:4.

თეთრი ჯგუფი

	მოგება	წაგება
1. კაფელნიკოვი	2	1
2. ბიორკმანი	2	1
3. ჩანგი	1	2
4. ჰენმანი	1	0

ამრიგად, დღეს ნახევარფინალში ერთმანეთს შეხვდებიან: კაფელნიკოვი — მოია და სამპრასი — ბიორკმანი.

ავთანდილ სვანიძე

ევგენი კაფელნიკოვი

სამპრასს ცხვირიდან სისხლი დასდინდა

თეთრი ინდაურის შურისძიება

ვილანოვა. აშშ. „ადვანტას“ პირველობა. ტარდება დარბაზში ხალიჩაზე. საპრიზო ფონდი 450 ათასი დოლარი

ტურნირის პირველ წრეში ისეთი შეხვედრა გაიმართა, რომელსაც ბევრნი მოუთმენლად ელოდნენ — 17 წლის ვინუს უილიამსი რუმინელ ირინა სპირლეას (7) გადაეყარა. ამათი წინა მატჩი ბევრი რამით იყო გამორჩეული — ჯერ ერთი, ამერიკის ღია პირველობის ნახევარფინალი იყო; მეტოქეებმა გზის დათმობა არ ისურვეს და ერთმანეთს შეასკდნენ; თამაშის მერე სპირლეამ უილიამსი საკმაოდ უშვერი ოთხასოიანი (სამბგერიანი) ინგლისური სიტყვით მოიხსენია, რისთვისაც 5 ათასი დოლარი ჯარიმა დააკისრეს. და ბოლოს, უილიამზის მამა ვალში არ დარჩა და თავად სპირლეას დიდი, თეთრი, უტკივნო და მახინჯი (ვინ ვისზეო) ინდაური უწოდა. რუმინელს არც დაუფარავს, რომ დიდი ხანია ელოდა ამ შეხვედრას და შურისძიების სურვილით იწვოდა. მძლავრი ფორჰენდითა და ბადესთან ხშირი, წარმატებული გასვლებით მან ამჯერადაც აშკარად დაჯაბნა მეტოქე და 6:3, 6:2 გაიმარჯვა. პირველ წრეში ერთადერთი განთესილი გავარდა — ხორვატ ივა ძაიოლის (6) გერმახელმა ახკე ჰუბერმა მოუგო 6:3, 1:6, 6:3, უკვე მეოთხედ ამ სეზონში.

პირველივე წრეში შედგა ამერიკელი ლინდსი დევენპორტისა (5) და ფრანგი ნატალი ტოზიას მატჩი, რომლებიც აქამდე ზედიზედ ორჯერ ფინალში შეხვდნენ ერთმანეთს. გამარჯვება, ისევე, როგორც წინა ორ შეხვედრაში, ახლაც ამერიკელს დარჩა 6:3, 6:3.

პირველი წრე: აი სუგიამა (იაპონია) — ჯენიფერ კაპრიატი (აშშ) 6:1, 6:2; ვმი ფრეზიერი (აშშ) — ჯოანეტ კრუგერი (სამხრეთ აფრიკა) 7:5, 6:1; საბინე აპელმანსი (ბელგია) — რუქსანდრა დრაგომირი (რუმინეთი) 6:4, 6:1; ლაიზა რეიმონდი (აშშ) — ჰელენა სუკოვა (ჩეხეთი) 6:3, 6:4; არანჩა სანჩეს-ვიკარიო (8, ესპანეთი) — იუკ ბაზუკი (ინდონეზია) 6:2, 6:0.

მეორე წრის ყველაზე დაძაბული შეხვედრა ამერიკელ ლაიზა რეიმონდსა და გერმანელ ანკე ჰუბერს შორის შედგა. ჰუბერი მესამე გადამწყვეტ ხელში 5:1-ს იგებდა, მაგრამ ამერიკელმა, რომელიც გამარჯვების შემთხვევაში მსოფლიოს ჩემპიონტზე ხვდებოდა, მაყურებელთა უდიდესი მხარდაჭერით ანგარიშის გათანაბრება მოახერხა. გერმანელმა ძალების მობილიზება დროულად შეძლო და გათამამებული მეტოქე წინ აღარ გაუშვა, მერე რეიმონდის შეცდომებით ისარგებლა და ბრეიკიც გაახერხა, მატჩი კი ორი ეისით დაამთავრა — 2:6, 6:2, 7:5. ორი ძოხძრომას — ლინდსი დევენპორტისა და კონჩიტა მარტინესის მატჩი პირველის დამაჯერებელი გამარჯვებით დასრულდა — 6:3, 6:0, თუმცა, ამერიკელს აქამდე ზედიზედ ექვსჯერ წაეგო იმავე მეტოქესთან.

მეორე წრე: იანა ნოვოტნა (2, ჩეხეთი) — ვმი ფრეზიერი 6:2, 6:1; ამანდა კუტცერი (3, სამხრეთ აფრიკა) — ჩანდა რუბინი 6:4, 7:6 (7:2); მონიკა სელეში (4, აშშ) — ბრენდა შულც-მაკარტი — 4:3-ზე მაკარტიმ ტრავმის გამო შეწყვიტა თამაში; მარტინა ჰინგისი (1, შვეიცარია) — საბინე აპელმანსი 6:2, 4:6, 6:2; ირინა სპირლეა — მარია ვენტო (ვენესუელა) 6:2, 6:1; არანჩა სანჩეს-ვიკარიო — აი სუგიამა 6:1, 7:6 (7:4).

გაიოზ გერიძე

ვინუს უილიამსი დაღონდა

16 დარჩენილი დედაკაცი

გაირკვა შალთა „ჩეხის“ მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურების მფლობელთა ვინაობა. ესენია: მარტინა ჰინგისი, მარი პირსი, მერი ჯო ფერნანდესი, სანდრინ ტესტუ, ნატალი ტოზია, იანა ნოვოტნა, ამანდა კუტცერი, მონიკა სელეში, ბრენდა შულც-მაკარტი, საბინე აპელმანსი, ირინა სპირლეა, არანჩა სანჩეს-ვიკარიო, იჟა მაიოლი, კონჩიტა მარტინესი, ლინდსი დევენპორტი, ანკე ჰუბერი.

ისევ ძველი სურათი

გუშინ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დარბაზში დასრულდა საქართველოს პირველობის პირველი წრე. წლევანდელ ჩემპიონატში გაიზარდა მონაწილე გუნდების გეოგრაფია: ოთხი ქალაქის შვიდი გუნდი ასპარეზობს, თუმცა პირველობა ისევ ადრინდელი სცენარით მიმდინარეობს — საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი წტუ-„შევარდენი“ კვლავ უცილო ფავორიტია, მიუხედავად იმისა, რომ იგი კიდევ ერთმა ძლიერმა მოთამაშემ დატოვა. ბექა ორჯონიკიძე იუგოსლავიის უმაღლეს ლიგაში, პანჩევოს „დინამოში“ გადავიდა. სამაგიეროდ, გუნდში მოვიდა საბერძნეთიდან დაბრუნებული ლევან გელაშვილი.

გუშინ გაიმართა პირველი წრის ცენტრალური მატჩი სტუ-შევარდენსა და „მამულს“ შორის. ეს გუნდები აქამდე დაუმარცხებლად ასპარეზობდნენ. ჩემპიონები მალევე დაწინაურდნენ და ანგარიშიც სწრაფად იზრდებოდა მათ სასარგებლოდ 6:1, 10:2. ამ პერიოდში „მამულმა“ ძალა მოიკრიბა და ტაიმის დამთავრებამდე 8 წუთით ადრე სამ ბურთამდე შეამცირა სხვაობა 12:9. თუმცა პირველი ნახევრის ბოლო მაინც სტუ-„შევარდენისა“ იყო — 16:11.

მეორე ტაიმში „მამული“ ცოტა ხანს კვალში მიჰყვებოდა ჩემპიონს, მაგრამ დათუკაშვილის, მეიფარიანის, გელაშვილის კარგი თამაშის წყალობით სტუდენტებმა მალე გატეხეს მეტოქის წინააღმდეგობა და შეხვედრის ბედიც გადაწყდა. ჩემპიონმა 41:32 გაიმარჯვა. მათგან ყველაზე შედეგიანი დათუკაშვილი იყო, რომელმაც 14 გოლი გაიტანა, თუმცა პირველი წრის საუკეთესო სნაიპერი 42 გოლით უშვერიძე („მამული“) გახდა. დათუკაშვილი მას ორი ბურთით ჩამორჩა. პირველი წრის შემდეგ მდგომარეობა ასეთია: სტუ-„შევარდენი“ — 12 ქულა, „მამული“ — 10, სტუ 2 — 8, თელავის ასკ — 6, ბათუმის „მენავთობე“ — 4, „მართვე“ — 2, „ქუთაისი“ — 0.

ქოტე მგალობლიშვილი

ბავშვთა კვება

Gerber
ახალი სიცოცხლის
უმშვენიერესი დასაწყისი
ამერიკული და მსოფლიო ბაზრის აღიარებული
ლიდერის გერბერის პატარა ქილებში
თქვენი შვილების გოლიათური ჯანმრთელობაა

კოლორადოში დიდ გულზე არიან

NHL. რეგულარული ჩემპიონატი

ფილადელფია — კოლორადო 1:2

იბები: საკიკი 11(0:1), კრუპი 2(0:2), პოდინი 3(1:2)

განრიგის ნებით კოლორადოს ზედიზედ მოუხდა სტენლის თასის ორ ფინალისტთან თამაში — დეტროიტთან უმძიმესი პაექრობის შემდეგ არანაკლებ მრისხანე ლადელფიას შეებრძოლა. ისევე, როგორც წინა მატჩში, კოლორადოს „მეომრებმა" რველივე წუთიდან დაიწყეს ანგარიშის გასწორება ფილადელფიელ კოლეგებთან.

კოლორადოს მეკარე რუა მატჩის გმირი იყო

ერთოდ, უნდა ითქვას, რომ ბოსტონელი ოჯერსის გადაბირების შემდეგ „ეველა- ს" აგრესიულობამ იმატა და იგი საკადრის პასუხს აძლევს ნებისმიერ მეტოქეს. ტომაც უშელავათო ბრძოლა გაჩაღდა. მეტოქეთ თანაბრად შეეძლოთ წარმატების წევა, განსაკუთრებით აქტიურობდნენ მასპინძელთა წამყვანი ფორვარდები — კლერი და ლინდროსი, მაგრამ წინა შეხვედრაში თადარიგში დარჩენილმა გოლკი- მა რუამ სასწაულებრივად ითამაშა და სანამ მისიანებმა ორი გოლი არ გაიტანეს, ოქე არ გაახარა, თანაც საკიკმა და კრუპმა სულ რაღაც 68 წამში შეაგდეს. ბოლო თებზე მასპინძლებმა კიდევ უფრო იძალეს, მაგრამ კვლავ რუამ იყოჩაღა და ბოდას, გრეტონისა და ბრინდამორის უმძიმესი დარტყმები მოიგერია.

მ ორმა შთამბეჭდავმა გამარჯვებამ კიდევ უფრო წარმოაჩინა კოლორადოს ამბი- ბი და მისი სურვილი, კვლავ მთავარ ფავორიტად დარჩეს.

2 ნოემბერი. პიტსბურგი — ვაშინგტონი 1:4, რეინჯერსი — ნიუ ჯერსი 2:3, ფლორიდა — აილენდერსი 2:2, დალასი — ბოსტონი 3:3, ედმონტონი — კაროლინა 4:6, სან ხოსე — ვანკუვერი 2:5, ანაჰაიმი — მონრეალი 3:4.

ნოემბერი. ბუფალო — ვაშინგტონი 2:3, ოტავა — დეტროიტი 2:4, ჩიკაგო — ტორონტო 1:2, სენტ ლუისი — ბოსტონი 4:2, ფინიქსი — მონრეალი 2:5, კალგარი — კაროლინა 2:4, ლოს ანჯელესი — სან ხოსე 6:3.

ქებათა-ქება მონრეალს! კანადის ყველაზე პოპულარული კლუბი წელს საბ- ოდაა განწყობილი და ეს ბოლო ჩებშიც დაადასტურა. განსაკუთრებულ ბაცებას იმსახურებენ მონრეალელები -ჰაიმთან გამარჯვებისთვის: მიუხე- ავად მათი დიდი უპირატესობისა, მასპ- ძლებს ბედი სწყალობდათ და ბოლო თებამდე 3:2 იგებდნენ, მაგრამ კანა- ელთა საუკეთესო მცველმა მალახოვმა რიცხმრავლობაში გაათანაბრა ანგა- ში, ოვერტაიმში კი ვალერი ბურემ აშქრა ებერის კარი. იმ დღეს დაინა- ა ანაჰაიმის ბომბარდირი ტეემუ სე- ანე, რომელსაც მონრეალის გოლკი- რმა ტიბომ (22 მოგერიება) საუცხოო ატჩიანი (და 17-გოლიანი) სერია შეა- ეტინა და ვაჟიშვილის დაბადებით გა- წვეული სიხარულიც ჩაუშხამა. კანა- ლებმა კი თავიანთი მომგებიანი სერია ატჩამდე გაზარდეს და აღარც ფინი- თან შეჩერდნენ. ფინიქსის ძლევა იმა- ც გააიოლა, რომ გუნდის ორ წამყვან ეულს სავაჟი (2+1, 3) და მისი პარ- ორები — ბრიუნე (1+1) და ბორდელო 2 პასი) დაეხმარნენ. ამ წარმატებით რეალმა კიდევ უფრო ჩამოიშორა მთა- რი მდევრები, რომელთაც საკმაო ქუ- ბი დაკარგეს.

ტავამ ზედიზედ მეოთხედ წააგო. მი- ა მეტოქემ — თასის მფლობელმა ტროიტმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, მ ბრწყინვალედ თამაშობს სტუმრად. ვი გამოიჩინა სტუმართა კაპიტანმა აი- ერმანმა, რომელმაც პირველ პერიოდში ტანილ გოლს და შედეგიან პასს ცარი- ლ კარში შეგდებული შაიბაც დაამატა. ტავას სასარგებლოდ კი იმას ვიტყვით, მ მან ამ ოთხი წაგებული შეხვედრი- ან ორი ლიგის კიდევ ერთ გრანდთან ფილადელფიასთან ჩაატარა.

ოსტონმა ორ მატჩში მხოლოდ ერთი ლა აიღო, თანაც დალასთან აშკარად უმართლა, როცა ბოლო წუთზე მეკა- ედამოცვლილმა ანგარიში გაათანაბრა. ათა შორის, დალასს ამ შეხვედრაში მყვანი ფორვარდი მაიკ მოდანო აკლდა ეს მოვალეობა ნუინდაიკმა და ვერბიკმა ერთეს.

სამაგიეროდ, სენტ ლუისთან ბოსტონი კარგა ხანს წინ იყო, მაგრამ მასპინძლებმა ბოლო მესამედის პირველსავე წუთზე ორი შაიბა შეაგდეს და „დათვები" წონასწორობიდან გამოიყვანეს. გამოვყოფთ ახალგაზრდა სენტლუისელ სლოვაკ დემიტრას (3 პასი), რომელმაც ბოლო მატჩებში გამოაცოცხლა მასთან შეამხანაგებული ჰალი (1+2, 10) და ამან ორ თამაშში 7 (2+5) ქულა დააგროვა.

ორ-ორი შეხვედრა მოიგეს ვაშინგტონმა და კაროლინამ. დედაქალაქის გუნდი წამყვან მოთამაშეთა ტრავმებმა შეაწუხა, რის გამოც თავდასხმაში ერთობ დაიტვირთნენ ბონდრა და ოუთსი. ისინი რომ ყველაფერს აკეთებენ „კეპიტალსის" წარმატებისთვის, ამ მატჩებმაც გამოაჩინა: პიტსბურგთან სწორედ ოუთსი (1+2, 6) გახდა მეორე პერიოდში ოთხი უპასუხო გოლის სულისჩამდგმელი, ბუფალოსთან კი მის მიერ წამოწყებული კომბინაცია ბონდრას (2+1, 10 ორ მატჩში) გადამწყვეტი გოლით დაგვირგვინდა.

და მაინც, ეს ყველაფერი არ მოხდებოდა, რომ არა ვაშინგტონის გერმანელი გოლკიპერი კოლციგი, რომელმაც განსაკუთრებით ბუფალოსთან იმარჯვა — არაერთხელ იხსნა თავისიანები და მისივე თქმით, კარიერაში საუკეთესო მატჩი ჩაატარა. ამას ვერ ვიტყვით შარშანდელი სეზონის ტრიუმფატორ ჰაშეკზე, რომლის სუსტმა თამაშმაც მწვრთნელები აიძულა, იგი თადარიგში გადაეყვანათ.

რაც შეეხება კაროლინას, 6 მატჩში მის 5 გამარჯვებას არავინ ელოდა. თუმცა, კარგ შემსრულებელთა ნაკლებობას გუნდი არ განიცდის და იგი უიმედო აუტსაიდერებს არ უნდა მივაკუთვნოთ.

ედმონტონთან და კალგარისთან ჩატარებულ ორ საგარეო მატჩში კაროლინელთა გოლკიპერმა შონ ბურკმა მშვენივრად ითამაშა, პარტნიორებმაც აუბეს მხარი და ფორვარდმა კაპანენმა 5 (4+1) ქულა დააგროვა, თანაც ედმონტონში ჰეთ-თრიქი გახერხა. ფინელისა და ორი თავდამსხმელის — პრიმოს (2+1, 7) და რობერტსის (1+2, 5) სამეულმა 2 თამაშში 7 გოლი მიითვალა.

ტორონტომ სამი დღის განმავლობაში ზედიზედ მეორედ მოუგო ჩიკაგოს. მატჩის გმირნი კვლავ კოროლიოვი (6) და სუნდინი (6) გახდნენ. ამით ტორონტომ გაუსწრო ჩიკაგოს, რომელიც დივიზიონის ბოლო საფეხურზე ჩაეშვა.

როგორც იქნა, გაიხარა ვანკუვერმა. კანადელებმა შეწყვიტეს სარეკორდო — 10-მატჩიანი უიღბლო სერია და ნავსი სან ხოსესთან შეხვედრაში გატეხეს. მწვრთნელებმა, სეზონში პირველად, ბურე, მესიე და მოგილნი შეაერთეს და ამან ნაყოფი გამოიღო. თავი არ დაზოგა ბურემ, რომელმაც გატანილ ბულიტს ორი საგოლე პასიც დაუმატა, ყოფილმა სანხოსელმა, გაოლკიპერმა ირბემ კი 30 დარტყმა მოიგერია.

სან ხოსემ მანამდე მეზობელ ლოს ანჯელესთანაც წააგო. სასიხარულოა, რომ კვლავ ჩინებულ ფორმაშია ახალი თაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, „მეფეთა" ფორვარდი იანიკ პერო. შარშანდელი მძიმე ტრავმის შემდეგ აღარავინ ელოდა, რომ იგი კვლავ გამოჩნდებოდა ყინულზე, მაგრამ ჰოკეისტმა ყველა გააოცა: წინა მატჩის ჰეთ-თრიქს მან ორი გოლი (სულ — 14) და ერთი პასიც დაამატა, თანაც ახალი პარტნიორები ჰყავდა — რეინჯერსიდან გადასული ვეტერანი რას კურტნოლი და პერსპექტიული კრის ჯონსონი.

ნიუჯერსელმა „ეშმაკებმა" კიდევ ერთხელ გაამართლეს დაცვაში ყველაზე მარჯვე გუნდის რეპუტაცია და მას შემდეგ, რაც ბობი ჰოლიკის შორეული დარტყმა „რეინჯერმა" რიხტერმა ვერ მოიგერია, მათ ერთ გოლზე მეტი არ გაატანინეს შეტევაზე გადასულ მეტოქეს. ნიუიორკელები იმით თუ დაიმშვიდებენ თავს, რომ გრეცკისა და სუნდსტრომის (2+0,7) დუეტი ბოლო 8 მატჩში უგოლოდ არ რჩება.

ფილადელფიელმა ბრინდამორმა კარიერაში 350-ე პასი გააკეთა, ფინიქსის მეკარე ხაბიბულინმა კი ზედიზედ მე-60 მატჩი ჩაატა და ამ მაჩვენებლით ლიგის ისტორიაში მეორე ადგილზე გავიდა. მან წარსულში ცნობილი გოლკიპერი ედ ჯაკომინი ჩამოიცილა (58 თამაში), ლიდერი კი გრანტ ფიური, რომელმაც 1995-96 წლებში ზედიზედ 76 მატჩში დაიცვა სენტ ლუისის კარი.

სამეულ ლარიბიანი

ჩრდილო აღმოსავლეთი						
მონრეალი	19	13	2	4	65:41	28
ბოსტონი	19	10	2	7	48:44	22
ოტავა	20	9	3	8	57:50	21
პიტსბურგი	20	8	4	8	53:56	20
კაროლინა	20	8	3	9	57:58	19
ბუფალო	18	5	4	9	45:58	14
ატლანტიკა						
ფილადელფია	20	11	3	6	60:47	25
ნიუ ჯერსი	17	12	0	5	53:31	24
ვაშინგტონი	20	11	2	7	57:46	24
აილენდერსი	18	7	4	7	52:48	18
რეინჯერსი	18	4	7	7	44:48	15
ფლორიდა	17	5	4	8	39:52	14
ტამპა	17	2	2	13	30:61	6
ცენტრი						
დეტროიტი	20	13	3	4	68:44	29
სენტ ლუისი	20	13	2	5	64:43	28
დალასი	20	10	4	6	61:54	24
ფინიქსი	18	8	2	8	54:51	18
ტორონტო	17	6	3	8	36:48	15
ჩიკაგო	20	7	1	12	37:52	15
წყნარი ოკეანე						
კოლორადო	19	10	6	3	59:44	26
ლოს ანჯელესი	20	9	4	7	71:55	22
ანაჰაიმი	19	8	4	7	51:52	20
ედმონტონი	19	5	4	10	44:65	14
სან ხოსე	20	6	1	13	51:66	13
ვანკუვერი	19	4	2	13	46:70	10
კალგარი	20	3	4	13	51:69	10

ბომბარდირები: ლეკლერი 26 (16+10), ლინდროსი (ორივე — ფილადელფია) 26 (9+17), სელიანე (ანაჰაიმი) 24 (18+6), მოდანო (დალასი) 23 (9+14), კორსონი (მონრეალი) 23 (7+16), საკიკი (კოლორადო) 22 (11+11), ჰალი (სენტ ლუისი) 22 (10+12), შტუმპელი (ლოს ანჯელესი) 22 (7+15), პალფი (აილენდერსი) 21 (11+10), რექი (მონრეალი) 21 (8+13), ფრენსისი და იაგრი (ორივე — პიტსბურგი) და რაიჰელი (აილენდერსი) 21 (7+14), ფორსბერგი (კოლორადო) 21 (4+17), ტკაჩუკი (ფინიქსი) და რობიტაილი (ლოს ანჯელესი) 20 (10+0).

სნაიპერები: სელიანე 18, ლეკლერი 16, პერო (ლოს ანჯელესი) 14, დოუ (ბუფალო), პალფი (აილენდერსი), ნუინდაიკი (დალასი), საკიკი და კაპანენი (კაროლინა) 11.

ასისტენტები: ფორსბერგი და ლინდროსი 17, კორსონი და დიუშენი (სენტ ლუისი) 16, გილმორი (ნიუ ჯერსი) და შტუმპელი 15, ჯენი (ფინიქსი), გრეცკი (რეინჯერსი), რაიჰელი, მოდანო, ფრენსისი და იაგრი 14.

მცველები: დიუშენი 20 (4+16), მალახოვი (მონრეალი) 18 (5+13), ლიდსტრომი (დეტროიტი) 17 (6+11), მაკინისი (სენტ ლუისი) 16 (8+8), ბერარი (აილენდერსი) 16 (7+9), ზუბოვი (დალასი) 15 (2+13), მერფი (დეტროიტი) 14 (2+12), იუჰანსონი (ვაშინგტონი) 13 (7+6), მირონოვი (ანაჰაიმი) და იუნსონი (აილენდერსი) 13 (4+9).

ჯონ ლეკლერი კვირის ყოჩაღ

ფილადელფიელი ჯონ ლეკლერი წინა კვირის (3-9 ნოემბერი) საუკეთესო მოთამაშე გახდა. „მფრინავთა" წამყვანმა ფორვარდმა 3 შეხვედრაში 4 გოლი და 4 შედეგიანი პასი მიითვალა და თავისი კლუბის 5-მატჩიანი მომგებიანი სერია გააგრძელა. მისი მთავარი კონკურენტი მონრეალელი შეინ კორსონი იყო, რომელმაც, ისევე, როგორც ლეკლერმა, 8(4+4) ქულა დააგროვა, ოღონდ 4 მატჩში.

საუკეთესო ექვსეული (31 ოქტომბერი — 13 ნოემბერი)

მარტინ ბროდო (ნიუ ჯერსი); ბრაიან ბერარი (აილენდერსი) — ვლადიმერ მალახოვი (მონრეალი); ტეემუ სელიანე (ანაჰაიმი) — შეინ კორსონი (მონრეალი) — ჯონ ლეკლერი (ფილადელფია).

საიმონი რასისტია

მოგეხსენებათ, ჰოკეი ამერიკელ შავკანიანთა შორის არაპოპულარულია და ლიგაში ისინი თითზე ჩამოითვლებიან. ერთადერთი ცნობილი ზანგი გოლკიპერი გრანტ ფიური. ბოლო წლებში ნჰლ-ში ბევრი კეთდება საიმისოდ, რათა ამ რასის წარმომადგენლები როგორმე მათთვის უჩვეულო სახეობამ გაიტაცოს და ამაში გარკვეულწილად წინსვლასაც შეინიშნება: ედმონტონში მაიკ გრირი გამოდის, ბოსტონში — ენსონ კარტერი, ფლორიდაში კი წელს გოლკიპერ კევინ უიკსს ჰქონდა დებიუტი. მაშინ, როცა ლიგის მამები ასე ცდილობენ შავკანიანთა მიზიდვას, მათი გარჯა ლამის წყალში ჩაყარა ვაშინგტონისა და ედმონტონის მატჩის შემდეგ მომხდარმა ინციდენტმა — დედაქალაქელმა კრის საიმონმა რასისტული გამონათქვამებით შეურაცხყო ზემოხსენებული გრირი. ყველაზე საოცარი ის გახლავთ, რომ თავად საიმონს კანის სითეთრე არ დაეკვეხნება — ინდიელია. ასე იყო თუ ისე, ამერიკის კიდევ ერთი ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლის საქციელი საგანგებო სხდომაზე განიხილება და მოსალოდნელია, რომ საიმონი სასტიკად დაისჯება. საინტერესო ფაქტი: ლიგაში მოთამაშე თითქმის ყველა „მეომარი" ინდიელია, საიმონი კი თავის სხვა თვისტომებთან — ბერუბესა და ოჯიკთან ერთად ამ თვალსაზრისით საუკეთესოა.

ბებერი ბოუმენი ყველაზე მდიდარია

ნჰლ-ის მოთამაშეთა ანაზღაურება არავისთვის წარმოადგენს საიდუმლოს. ხელშეკრულების გაფორმების დროს გაუმხელელი საკონტრაქტო თანხის რაოდენობას მერე ყველა იგებს და იგი ისეთივეა, როგორიც თავად ჰოკეისტი. ამიტომაცაა, რომ უმდიდრესის სახელის მოხვეჭა ოდენ ვარსკვლავთა ხვედრია.

მწვრთნელთა გასამრჯელო კი ხშირად არ შეესაბამება იმ ღვაწლს, რომელიც მათ მოუძღვით გუნდის წარმატებაში. მაგალითად ლიგის ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული მწვრთნელი ჟაკ მარტენიც იკმარებს. ოტავას ბოლოდროინდელი მიღწევების საფასურად მას მხოლოდ 236 ათასი დოლარი ერგო და კოლეგათა შორის უკანასკნელ, 26-ე ადგილზეა. თუმცა, თვით მარტენი წუწუნს ფილოსოფიურ განსჯას ამჯობინებს და ამბობს, რომ ასეთი ხელფასის გამო უფრო მეტად მოინდომებს.

მარტენთან ერთად აუტსაიდერის ხვედრს მონრეალის ახალი თავკაცი ალენ-ვინიოც იზიარებს — იგი 254 ათასს იღებს. ეტყობა, დამწყებ სპეციალისტებს დიდად არ ენდობიან და ჯერჯერობით მათგან კარგ შედეგს არ ელიან.

უმდიდრესი კი ნჰლ-ის ყველაზე ავტორიტეტული და იღბლიანი სპეციალისტი, დეტროიტელი სკოტი ბოუმენია 970 ათასდოლარიანი ხელფასით. ნიუჯერსელ ჟაკ ლემერს 850 ათასი აქვს. ლოს ანჯელესის მწვრთნელი ლარი რობინსონი მესამეა — 700 ათასი. დანარჩენთა ანაზღაურება 400-500 ათას დოლარს არ აღემატება.

მწვრთნელთა ღვაწლის დაუფასებლობაზე ისიც მეტყველებს, რომ მათი უმეტესობის გასამრჯელო ლიგის იერარქიის ყველაზე დაბალ საფეხურებზე მყოფ ჰოკეისტთა საკონტრაქტო თანხებს უტოლდება, მაშინ, როცა წარუმატებლობის შემთხვევაში პირველი მსხვერპლი ყოველთვის გუნდის თავკაცია. მწვრთნელთ არც მაშინ ულხინთ, როცა საჯარიმო სანქციებზე მიდგება საქმე — ჯარიმებს ისინი ჰოკეისტთა დარად იხდიან. მაგალითად, მსაჯის გალანძღვისთვის ფლორიდელ დუგ მაკლინს 5 ათასით შეუმსუბუქეს ჯიბე.

დიქტატორი დაბრუნდა

მაიკ კინენი და მარკ მესიე კვლავ ერთად არიან

მაიკ კინენი 80-90-იან წლებში ლიგის ერთ-ერთ უძლიერეს მწვრთნელად ითვლებოდა, რაზეც სამ სხვადასხვა გუნდთან მისი, იღბლიანი თანამშრომლობაც მეტყველებს. 1994 წელს კინენმა, რეინჯერსი უმაღლეს მწვერვალამდე მიიყვანა, 1987-სა და 1992-ში კი ფილადელფიასა და ჩიკაგოს თასის ფინალამდე მიაღწევინა. მისმა გარჯამ კანადის ნაკრებისთვისაც გამოიღო ნაყოფი: იგი ორჯერ — 1987 და 1991 წლებში კანადის (ამჟამად მსოფლიოს) თასს დაეუფლა. მოკლედ, კინენის გუნდში მისვლა და პროგრესი ერთი იყო, მაგრამ ეს გამარჯვებებს ჩვეული მწვრთნელი ნამდვილი დიქტატორია. დემოკრატიისა და სხვისი აზრის უგულებელყოფამ ჯერ კიდევ ფილადელფიაში მუშაობისას განაწყო არაკეთილმოსურნედ ჰოკეისტები მის მიმართ — ისინი კინენის ზურგსუკან „ჰაილ, ჰიტლერ"-ს გაიძახოდნენ და ამას შესაბამის ჟესტსაც აყოლებდნენ. ასე რომ, როცა ბოლო კლუბ სენტ ლუისში სიახლეებმა და საკადრო ცვლილებებმა კინენს შედეგი უმალ ვერ მოუტანა, მას კარისკენ მიუთითეს. ჰოდა, აგერ ერთი წელია, რაც ეს ძალაუფლებისმოყვარე, საბჭოური დროის ცნობილი მწვრთნელების — ტიხონოვისა და ტარასოვის ყაიდის სპეციალისტი უმუშევარია. თითქოსდა კინენის ჟამს უკვე ჩაევლო, დასავლეთისთვის უჩვეულო მისი მუშაობის მეთოდებსაც მოძველებულად მიიჩნევდნენ, ამიტომაც ყველა განაცვიფრა ამერიკული საგენტოების მიერ გავრცელებულმა ინფორმაციამ იმის თაობაზე, რომ ვანკუვერის მეპატრონეები მისით დაინტერესდნენ და წინასწარი მოლაპარაკებაც გამართეს. ვარაუდობდნენ, კინენი, ალბათ, გუნდიდან გათავისუფლებული გენერალური მენეჯერის პატ ქუინის ადგილს დაიკავებს, ან სულაც მთავარი მწვრთნელის პოსტს ჩააბარებენ, მით უმეტეს, რომ ქუინის დათხოვნამ ვერაფრით გააუმჯობესა ვანკუვერის თამაში და ამის გამო გუნდის ახლანდელ თავკაცს ტომ რენის გამუდმებით აკრიტიკებენო. და აი, გუშინ შევიტყვეთ, რომ მაიკ კინენი ვანკუვერის მთავარ მწვრთნელად დაინიშნა და უკვე პირველი წვრთნაც გამართა.

საქართველოს ძიუდოს ფედერაცია სამძიმარს უცხადებს ოლიმპიურ პრიზიორს სოსო ლიპარტელიანს
მამის
გარდაცვალების გამო.

„ვოლაბების" ტურნე

პომები, ოზები და ქუქის თასი

ავსტრალია ინგლისს სპორტში რომ ეჯიბრება, ორივე ქვეყნისთვის ფრიადი მოვლენაა. სახეობას მნიშვნელობა არა აქვს: კრიკეტი, რაგბი თუ ლიგა ერთნაირად უფორიაქებთ სულს ექს-მეტროპოლიისა და ექს-დომინიონის მცხოვრებლებს, პომებად და ოზებად რომ არიან ცნობილი.

ასე, ამ უქმეებზეც ავსტრალია — ინგლისის ორი ჭიდილი და ორივე ოვალური ბურთით. მორაგბეები შაბათს, თვიქნემში (ლონდონი) ითამაშებენ, 13-კაცა ლიგელები კი კვირას, ლიდსის „ელანდ როუდზე".

რაგბის მატჩი წელს დაწესებული „ქუქის თასისთვისაა". ავსტრალიამ ივლისში სიდნეიში პირველი შებმა 25:6 მოიგო და თვიქნემში თუ უფრო დიდი სხვაობით არ დამარცხდა, თასს პირველი დაეუფლება.

სტუმრებს საქმე ჭაკადა აქვთ. ისინი ინგლისს არგენტინიდან ჩავიდნენ, სადაც იქაურმა „პუმებმა" ტესტ-სერია ფრედ 1-1 დაუმთავრეს, მეორე ტესტში კი 18:16 ძლიეს.

არგენტინამ ამ მოგებით სასწაულად გაიხარა, რაკი თავად სამოყვარულო გუნდია, ავსტრალიის „ვოლაბებს" კი მათი რაგბის კავშირი გვარიან გასამრჯელოს უხდის. მიუხედავად ამისა, ნაკრებს პროფესიონალიზმისა არაფერი ეტყობაო, ჯავრობს ავსტრალიის მედია.

პრესამ „ვოლაბების" ახალ მოძღვარ როდ მაკქვინს მაგრად შეუტია, ნაკრებში განხეთქილება რადა გაქვსო. ეს კაცი ეროვნულ გუნდში კანბერის „ბრომბიზიდან" დაწინაურდა და ტესტ-დონეზე პროვინციული ზე-12-ში ნაცადი ბურთაობის ხერხების დანერგვას შეუდგა, მაგრამ ჭერჭერობით არაფერი გამოსდის. არგენტინა სერიაში ისე გამეტებით იცავდა თავს, რომ ავსტრალიის უკანა ხაზის ჩახლართულ კომბინაციებს უპირატესობის ხაზის გადალმადვე ახშობდა.

თვიქნემი, 1991 წელი. II მსოფლიო თასის ფინალის ერთადერთი ლელო. იმ მატჩის მონაწილეთაგან დღეს ოთხნი შედგამენ ფეხს რაგბის მექის წმინდა ბალახზე

მაკქვინის დაწინაურებას ნაკრებში კანბერული თემის გამრავლება მოყვა. როდი ნოვატორი მწვრთნელია და ვარჯიშსა და მატჩისწინა დამოძღვრას ტელე-შოუს ყაიდაზე ატარებს. ამან აქამდე უსახელო კანბერელები ისე გააკადნიერა, რომ „ვოლაბთა" ქვინზლენდელ კაპიტან ჯონ ილზზე მეტს ლაყბობენ და აღარც ახალი სამხრეთი უელსის ბიჭებს აგდებენ აინუნში.

არადა, მოედანზე კანბერელები, მეტადრე კი შერკინების მესამე ხაზი, ვერ ვარგიან. კრიტიკოსებმა მაკქვინს მიუთითეს, რობინსონსა და ფინეგანს ფლანკერებად ნუ ათამაშებო, მაგრამ მან სადღეისოდ ოდენ 8 ნომერი ქოქერი დაიწუნა. მის მაგივრად შერკინებას ტომით ტონგელი, „ტორპედოდ" ცნობილი ვილი ოფენგაუე შეკრავს.

„ვილი O" 27 წლისაა. მისი კბილანი არიან 13 ნომერი ჰორანი და მეორეხაზელი ილზიც. სამივე მონაწილეობდა 1991 წლის მსოფლიო თასის ფინალში. მაშინ ავსტრალიამ ინგლისი თვიქნემში 12:6 ძლია. ჟირაფა ილზი დღეს საიუბილეო, 50-ე კეპს მოიხვეჭს, პომებს კი იმ გუნდიდან ერთადერთი კაცი, ბურჯი ლენარდი შემორჩენიათ.

სხვაფრივ, ინგლისის ნაკრები ერთიანად სახეცვლილია. ახალმა მწვრთნელმა კლაივ ვუდვორდმა პირველსავე არჩევანში ერთბაშად ხუთი ახალბედა დააწინაურა: მცველი პერი, გარემარბი რიისი, შუამარბი გრინვუდი, კვაჭი ლონგი და ბურჯი გრინი. ამით ვილ გრინვუდი შეიქნა მე-11 ინგლისელი, ვისი მამაც ასევე ნაკრების მოთამაშე ყოფილა. მეტიც, ვილის მშობელი 80-იან წლებში ერთი პირობა „პომებსაც" მოძღვრავდა.

ვუდვორდმა 10 ნომრად ასევე ახალბედა კინგი შეიყულა, მაგრამ ეს რომ დაშავდა, ცენტრიდან პივოტად გადაიყვანა უნივერსალი მაიკ ქეთი, მის ადგილას კი ნაკრების წლევანდელი კაპიტანი ფილ დეგლენვილი აღადგინა. მულატმა შუამარბმა ჭერი გასკოტმა ხერხემლის ოპერაცია გაიკეთა და უქმობს, ახალი კაპიტანი კი ფლანკერი ლოურენს დალალიოა.

ვუდვორდი პრინციპული კაცი ჩანს. მედიამ ნაკრები ექსპერიმენტულად რომ მონათლა, მწვრთნელმა მიუგო, ვილ ქარლინგის მარადი კაპიტნობის ეპოქა პროფესიონალიზმის შემოღებით დასრულდა; ახლა გუნდში ის ბიჭები უნდა თამაშობდნენ, ვინც დღესდღეობითაა უძლიერესი; კაპიტანსაც თხუთმეტეულში ადგილი დაბევებული აღარ უნდა ჰქონდესო.

მაკქვინის იდეებს ვუდვორდის რაზმი სერიოზულად შეამოწმებს. ავსტრალიელები ეშხიანად ბურთაობას გეგმავენ. ბებერი 10 ნომერი ნოქსი რომ დაუშავდათ და ამერიკიდანვე შინ გაგზავნეს, მის ადგილას 20 წლის ქვინზლენდელი ელტონ ფლეტლი დააწინაურეს. ამ ბიჭს სუპერ-ლიგა კალთებს ახევდა და დიდ ფულს თავაზობდა, მაგრამ მან მაინც რაგბში დარჩენა ამჯობინა და ვინძლო დღესვე პირველად დაიქუხოს.

ლუკა ჯორჯიაშვილი

დღეს, ჩვენებურად 19 საათზე,
პირდაპირ თვიქნემიდან:
ინგლისი — ავსტრალია!

„ოლ ბლექსის" ტურნე

I თამაში. 11.11. პონტიპრიზი. სარდის როუდი: უელსი „ა" 8 (5) (ლ: ჯეიმზი; ს: პეივორდი) — ახალი ზელანდია 51 (13) (7ლ: მილერი, ოლივერი, რობინსონი, ლომუ, მაკლეოდი 2, კარტერი; 5გ და 2ს: სპენსერი)

„ქურციკების" ტურნე

I თამაში. 11.11. ბიარიცი: ფრანგი ბარბაროსები 40 (17) (5ლ: მატიუ, დევილიერსი, თ. ლიერმონი 2, ვუნიბაკა; 3გ, 2ს და ა: სერევი) — სამხრეთი აფრიკა 22 (5) (4ლ: დროცკე, სკინსტადი, მონთგომერი, დებეერი; გ: დებეერი)

სუპერ-ლიგის სერია

I ტესტი. 1.11. ლონდონი. უემბლი: ბრიტანეთი 14 (14) (2 ლელო, 3 გოლი) — ავსტრალია 38 (22) (7ლ, 5გ) (41 ათასი მაყურებელი)

II ტესტი. 8.11. მანჩესტერი. ოლდ ტრეფორდი: ბრიტანეთი 20 (10) (2ლ, 6გ) — ავსტრალია 12 (6) (2ლ, 2გ)

სტუმრებს ბურთები არ მოწონთ

ახალი ზელანდიის „ოლ ბლექსს" ბრიტები „რიბოკით" აბურთავებენ, სამხრეთი აფრიკის „ქურციკებს" კი ფრანგები „ადიდასით" მასპინძლობენ. ბურთის მიუჩვევლობა ელიტარულ დონეზე მნიშვნელოვანი ფაქტორია. ამიტომ ორივე სტუმარი ჩივის, მასპინძლებმა სლიპინა ბურთები განგებ შეგვირჩიესო.

დღეს როგორც ზელანდია, ასევე აფრიკა ტესტს მართავს. „ოლ ბლექსს" დუბლინის „ლენზდაუნ როუდზე" ირლანდია ეთამაშება, „ქურციკებს" კი ლიონში საფრანგეთი მასპინძლობს.

შუა კვირაში სტუმრებმა მეორე შემადგენლობა გამოცადეს. ზელანდიამ პონტიპრიზში დედლად დაიწყო, მაგრამ დასკვნით 20 წუთში გახელდა და კიდევ ხუთი ლელო გაიტანა. ერთი მათგანი ჯონა ლომუს ანგარიშზეა. მიუხედევად ამისა, მწვრთნელი ჯონ ჰართი მთაკაცის ტესტში დაყენებას მაინც არ ჩქარობს.

ირლანდია 1905 წლიდან მოყოლებული „ოლ ბლექსს" 13-ჯერ ეთამაშა და ერთი ფრედ, 10:10 დამთავრებული მატჩის გარდა, ყველა წააგო. ის ისტორიული ფრე 1973 წელს დუბლინში ალინუსხა. მაშინ ირლანდიას დიდი მორკინალი მაკბრაიდი და გენიალური შუამარბი გიბსონი ყავდა, ახლა კი ბრიტანული რაგბის უდაო მაჩანჩალა და ყოვლად უსუსური გუნდია.

„სამყურები" შინ ყოველთვის კბილებით თამაშობენ, მაგრამ საეჭვოა, რომ ზელანდიას გაუმკლავდნენ. თანაც, ერთობ გამოუცდელი უკანა ხაზი ყავთ. რაც შეეხება „ოლ ბლექსს", 91 კეპის პატრონსა და მის კაპიტანს, კვაჭ შონ ფითსპატრიკს მუხლი გამიზეზებია, რის გამოც ნორმ ჰიუიტი ენაცვლება, სკიპერი კი 9 ნომერი ჯასტინ მარშალი იქნება. და კიდევ, მესამე ხაზში ზინზან ბრუქი რომ დაუბრუნებიათ, ამის გამო კრონფელდისთვის ადგილი ველარ გამოიძებნა, რაკი ჰართს ფლანკერებად ბლაუერსი და რენდელი ურჩევნია.

ლიონში თანაბარი მეტოქეები შეიბმებიან, თუმცა ბალანსი აქაც აშკარად სტუმრების სასარგებლოდაა: 1913 წლიდან აფრიკასა და საფრანგეთს 26-ჯერ უთამაშიათ. ლათინებს მხოლოდ 5-ჯერ მოუგიათ, 5-ჯერაც ფრე ალენუსხულა, „ქურციკთა" მონაგარი კი 16 მოგებაა. შარშანწინ, მსოფლიო თასის ნახევარფინალის მომგებმა აფრიკამ შარშანაც წარმატებით მოვლო საფრანგეთი და ბორდოში 22:12 გაიმარჯვა, პარიზში კი 13:12.

მას აქეთ გუნდმა ორი მწვრთნელი გამოიცვალა. ახლანდელი მოძღვარი ნიკ მალითი მიმომხილველთა შეფასებით მარკჰრააფსაც ჯობს და დიუპლესისაც, რაკი მსოფლიო თასის შესანარჩუნებლად გუნდის მზადებას საფუძვლიანად შედგომია და არც თანამედროვე, მარდი ზელანდიური სტილის გადაღებას თაკილობს.

მალითი მწვრთნელად საფრანგეთშია ნამუშევარი. ამდენად, „მამლებთან" თავისი ანგარიშები აქვს. ამავე დღეში იყო აფრიკელთა ნაკრები, სამშაბათს ბასკეთში ქარსა და წვიმაში რომ ხვდებოდა „ფრანგ ბარბაროსებს".

საქმე ისაა, რომ მას აქეთ, რაც „ქურციკები" საერთაშორისო ასპარეზს დაუბრუნდნენ, „ბარბაროსებთან" აგებენ. ახლაც 1992 და 1996 წლების ტურნეების ისტორია გამეორდა.

მასპინძლებს ფრიადი გეგმები დაესახათ: შუამარბად ინგლისიდან მოუყავდათ ექს-ზელანდიელი, აწ კი სამოელი, ნალიგარი ვააიგა თუიგამალა, ფლანკერად — უელსელი სკოტ ქვინელი. მატჩამდე ორივე დაიმტვრა, მაგრამ 10 ნომრად კი დიდებულად ითამაშა ინგლისის „ლესტერის" წევრმა, შვიდკაცას ფიჭელმა ჯადოქარმა ვაისალე სერევიმ. ადგილობრივმა კლუბმა „ბარბაროსებად" გამწესა მორკინალები — კამერუნელი ბეტსენი და სამოელი მატიუ, ბებერ „მამლებს" კი მეორეხაზელი რუმა და კვაჰი ვანსონ მოსკატო წარადგენდნენ. ეს კაპიტანიც კი იყო!

„ქურციკთა" მეორე შემადგენლობას თავკაცობდა ქარრის თასის გამარჯვებული დასავლეთი კონცხის ბებერი 8 ნომერი ენდრიუ ეიტკენი, ვინაც ნატალის შერკინების ყოჩობის შემდეგ ავსტრალიაში 13-კაცა ლიგის თამაშიც მოასწრო, რაგბში კი წელსლა დაბრუნდა. რაგინდ უცნაურიც იყოს, „ბარბაროსებთან" ამ ოსტატმა ნაკრების კვართი პირველად მოიზომა, მაგრამ იმდენი კი ვერა ქნა, რომ პირველ შემადგენლობაში გადაიყვანონ.

თავიდან რუმამ რომ მოიგო ორი დერეფანი, ამას ორი ძალისმიერი ლელოთი მოუყვა 14:0. მეორე ნახევრის დასაწყისში სტუმრები გარემოს შეეწყვნენ და კიდეც დაწინაურდნენ 22:20, მაგრამ ცოტა ხნით ადრე მათ გაუძევეს ბურჯი ტოკს ფანდერლინდე, ვინაც ზედახორაში თავში ფეხი უთავაზა ფრანგთა შუამარბ დონტიანკს. ამას ერთი გაწევ-გამოწევა მოყვა, ფრანგმა მსაჯმა დიუმემ კი თვისტომებს დაუჯერა და გააძევა აფრიკელი, ვისაც 60-დღიანი დისკვალიფიკაცია მიცეს და შინ გაგზავნეს, 14 კაცის ამარა დარჩენილმა გუნდმა კი წააგო.

ნიკო ვეფხვაძე

საქართველოს პირველობა

დღეს ვაკეში ჩემპიონატის ლიდერი „ყოჩები" უმასპინძლებს ქუთაისის „აიას".

სრულიად ბრიტანეთი თუ განახევრებული ავსტრალია

ხვალ ლიდსის „ელანდ როუდზე" ტევა არ იქნება. 13-კაცა ბურთაობა ტრადიციული ჩრდილოეთ-ინგლისური თამაშია, რაკი XIX საუკუნეში სწორედ იქაურ მუშურ კლუბებში ჩაისახა. ესენი რაგბის კავშირის ფარისევლობით უკმაყოფილო იყვნენ; მას აუჯანყდნენ, გამოეყვნენ და ხელი მიუყვეს პროფესიულ რაგბს, რომელიც მშობელ თამაშს თანდათან დაშორდა.

ავსტრალია ლიგის უდაო ჰეგემონია. ბრიტანეთს მასთან 1970 წელს აქეთ ტესტ-სერია ვერაფრით მოუგია, მაგრამ საქმეს ახლა ისეთი პირი გამოუჩნდა, რომ ნავსი შეიძლება ხვალ გატყდეს.

ავსტრალიური 13-კაცა სამყარო შუაზეა გახლეჩილი. მისი ერთი ნახევარი კვლავაც ოდინდელ ARL-შია თავმოყრილი, მეორე კი მედია-ბარონ რუპერტ მერდოქის სუპერ-ლიგაში დანარჩენი მსოფლიოს მხარდამხარ გაერთიანებულა. ამჟამად სწორედ ავსტრალიის სუპერ-ლიგის ნაკრები ბრძანდება ბრიტანეთში და იქაურ სუპერ-ლიგელებს სამ-ტესტა სერიად ეჭიბრება.

ანგარიში საყაიმოა 1-1. სტუმარმა „კენგურუებმა" „უემბლიზე" ისეთი დღე აყარეს მასპინძელ „ლომებს", რომ ბრიტთა დიდოლრაშმა მორის ლინდზიმ საჯაროდ აღიარა, ჩვენი საშველი არაა: ეს უკვე მერამდენედ უკეთესი ლიგური გარემოდან ჩამოდის გუნდი და ჩვენსავე ტაძარში გვმუსრავს; ამის გამეორება გაცვეთილი ფირფიტის პატეფონზე დამღერებასავით მექცაო.

მაგრამ გაიმართა „ოლდ ტრეფორდის" ომი და მასპინძლებმაც სასწაული მოახდინეს. ლინდზიმ უმალ ქოში უკუ ყარა, ჩემი აღსარებით ბიჭები გავახელე და იმად მოიგესო.

საინტერესოა, გადამწყვეტი შებმის წინ რაღას მოიმოქმედებს სუპერ-ლიგის ბრიტანელი იდეოლოგი.

ქიციცა & ქიცმაცურიც

ზვიგენის ზნე ზოოპარკზე უკეთ სად უწყიან?

პერთში (დასავლეთი ავსტრალია) გაისად, 8-დან 18 იანვრამდე ცურვის სამყარო შეიკრიბება. იქ ხომ მსოფლიო პირველობაა!

ჩვენში გულუბრყვილოდ გონიათ, რომ დიდი ცურვა მხოლოდ აუზში იმართება. არა, ბატონო, მსოფლიო ჩემპიონატის ოთხი ნომერი შუა ზღვაშია დაგეგმილი. 8 იანვარს ქალებიცა და ვაჟებიც 5 კილომეტრზე შეეჯიბრებიან ერთურთს, 11 იანვარს კი — 25 კილომეტრზეც.

ამ გრძელ დისტანციებზე 25 ქვეყნის 80 სპორტსმენის მონაწილეობას ვარაუდობენ. ყველა ესენი, რა თქმა უნდა, ფრიად ნაწრთობი ხალხია და ორგანიზატორებიც ზედმეტი კითხვებით არ შეუწუხებიათ, მაგრამ სად იყო და სად არა, თავი წყალჯომარდობის საერთაშორისო ფედერაციამ (ფინა) გამოიდო.

ამის მოხელეებს გახსენებიათ, რომ პერთი ინდოეთის ოკეანის ნაპირზეა, ამ ოკეანეში კი ზვიგენები ბინადრობენ. ემანდ ზღვის მტაცებლები მოცურავეებს არ დაესხან თავსო და ფინა-ს მოთხოვნის პასუხად ავსტრალიელებს არც მეტი, არც ნაკლები, ზვიგენ-საწინააღმდეგო პროგრამა შეუმუშავებიათ.

მის თანახმად შეჯიბრის დროს მონაწილეებს საგანგებო კატარღები გააცილებენ. სათვალთვალოდ გამოიყენებენ შვეულმფრენებსა და თვითმფრინავს, ზვიგენთა მოსაგერიებლად კი შეიქმნება წყალქვეშ მონადირეთა რაზმი, რომელიც ბარჯის მსროლი თოფებით აღიჭურვება.

ავსტრალიელებს ფრიად ემაყებათ, რომ ზვიგენებს ეგზომ ყურადღებას მიაპყრობენ. მათი თავკაცი ამბობს, ჩვენი სამზადისის წყალობით ვერცერთი თავმოყვარე ზვიგენი ვერ მობედავს მსოფლიო ჩემპიონატზეო. ისე კი, სიდნეის ზოოპარკს გამოუქვეყნებია საგულისხმო სტატისტიკა, საიდანაც ირკვევა, რომ 1803 წლიდან მოყოლებული დასავლეთ ავსტრალიაში ზვიგენთა თავდასხმის გამო ოდენ 10 ადამიანი დაღუპულა.

მეტიცო, ირწმუნება ზოოპარკი, იანვარში ზვიგენები ვეშაპების მიგრაციის კვალად სამხრეთისკენ გადასახლდებიან, რის გამოც მოცურავეთა მსოფლიო პირველობაზე მათი გამოჩენის ალბათობა ერთობ მცირეაო.

რეზო ნემსაძე

აფროსნობა

ვიტბრედის გარსაქვეყნო ნაოსნობა ვოლვოს თასზე

II სტადია. ქეიფთაუნი — ფრიმენთლი

8 - 24 ნოემბერი (4600 მილი)

ვითარება ბუშინ, გრინვიჩის დროით 06.00 საათზე

იახტა	დროშა	ქ	სკიპერი	დარჩა
სვიდიშ მეჩ	შვედეთი	36	გ. კრანცი	3115.4
ინოვეიშენ კვერნერ	ნორვეგია	97	კ. ფროსტადი	+223.1
ტოშიბა	აშშ	60	პ. სთენდბრიჯი	+344.2
მერით ქაფ	მონაკო	110	გ. დოლთონი	+550.7
ი-ეფ ლენგვიჯ	შვედეთი	125	პ. კაიარდი	+554.8
ბრიუნელსანერჯი	პოლანდია	12	პ. ბუსხოლცი	+576
სილქ ქათ	ბრიტანეთი	84	ლ. სმითი	+578.3
ჩესი რეისინგ	აშშ	72	მ. ფიშერი	+615.3
ი-ეფ ედუქეიშენ	შვედეთი	24	კ. გიუ (ქალი)	+697.5

სხვაობა იზრდება

სამხრეთი ოკეანის სტადიას ლამისაა აზრი დაეკარგოს: სამი მოწინავე იმდენად დაშორდა ერთი მხრივ დანარჩენებს და მეორე მხრის ერთი მეორეს, რომ ფინიშს რა მიმდევრობით მიაღწევს, უკვე ცხადია.

„მეჩის" სკიპერი გუნარ კრანცი ამბობს, I სტადიაზე იღბალმა ისე შეგვაქცია ზურგი, რომ ერთი უქარო ზოლიდან უმალ მეორეში ვხვდებოდით; ახლა ჩვენი მეტოქეების გაწბილების ჯერი დამდგარაო. შვედური ნავის ეკიპაჟის წევრები თურმე თავდაუზოგავად მუშაობენ და იახტათა პოზიციების ყოველი, 6-საათა შეჯერების შემდეგ კიდევ უფრო გამეტებით ეკვეთებიან სტიქიას.

სხვებს საქმე ცუდად მისდით. ბევრი იმდენად შეუღვნდა, რომ საგზლის დაზოგვა დაიწყო. I სტადიის გამარჯვებული „ლენგვიჯი" ისე ნელა მიცურავდა, რომ მავანმა მეზღვაურმა კორპუსს აკრული რვაფეხაც კი დაიჭირა, „ჩესიმ" (ფოტოზე) კი იმდენი მოახერხა, რომ თუ სამშაბათს ლიდერთან მხოლოდ 160 მილს აგებდა, ახლა მასვე 600-ზე მეტით ჩამორჩება.

მიხო ნინუა

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის
ორშაბათობით, სამშაბათობით,
ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია
რედაქტორი
თამაზ მიგრიაული
სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
ზურაბ მექველია

ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, მერაბ მამულაშვილი, ონისე შინჯიკაშვილი
სხვა სახეობათა განყოფილება:
ილია მხეიძე, ავთანდილ სვანიძე, ლევან ჯავახიშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში
იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი ლონდონში
დავით მჭედლიშვილი
ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი
ბადრი კეთილაძე
სტილისტები: მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი
კომპიუტერული ცენტრი:
ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ვანო კიკნაძე, ლევან ჩხეიძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29